მასწავლებელი

№6(55),2018

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე, თეა ურუშაძე,
ანა ჯანელიძე, ქეთევან ოსიაშვილი,
მაია მენაბდე, ლელა კოტორაშვილი,
თამთა კობახიძე, ლევან ალფაიძე,
მაია ჯალიაშვილი,
მეგი კავთუაშვილი,
ირმა კახურაშვილი, ანი კოპალიანი,
მანანა სეხნიაშვილი,
ნინო ჭიაბრიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.
ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

ნატო ინგოროყვა

ამ წერილში სამი ამბავი მინდა მოგიყვეთ. სამი ამბავი, რომელიც შესაძლოა თქვენც იცით, თუმცა – „გამეორება, რომ ცოდნის დედაა“, – ამას იმდენად ხშირად ვამბობთ, რომ შეუძლებელია არ დაიჯერო. ჰოდა, დავიწყოთ:

ამბავი პირველი:

„იაპონელები უძველესი დროიდან მისდევენ თევზჭერას. ოდითგანვე თევზი მათი ყველაზე საყვარელი კერძი, ხოლო თევზჭერა ყველაზე სარფიანი საქმე იყო. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა კუნძულის მოსახლეობა, მით უფრო ძნელი იყო თევზის მოპოვება სანაპიროს სიახლოვეს და მეთევზეებს თანდათანობით სულ უფრო და უფრო შორს უწევდათ ოკეანეში შესვლა. რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ოკეანეში, მით უფრო დიდხანს უნდებოდნენ უკან დაბრუნებას. თევზი ძველდებოდა, კარგავდა გემოს და კარგავდა კვებით ღირებულებას, ამიტომ მეთევზეებმა გემებზე დიდი მაცივრების დამონტაჟება დაიწყეს, მაგრამ გაყინულ თევზს მაინც სხვა გემო ჰქონდა და ისე არ იყიდებოდა, როგორც ახალი. მაშინ თევზსაჭერ გემებზე დაიწყეს უზარმაზარი წყლის რეზერვუარების განთავსება. თევზს ამ რეზერვუარებში აგროვებდნენ, სანამ ისინი არ გაივსებოდა და მერე ბრუნდებოდნენ უკან. ამ ხნის განმავლობაში მათ კვებავდნენ და ცოცხლად მოჰყავდათ კუნძულზე. მაგრამ, რადგანაც თევზები დიდი ხნის განმავლობაში თითქმის უძრავად იმყოფებოდნენ ამ რეზერვუარებში, მაინც კარგავდნენ ახალი თევზისთვის ჩვეულ გემოს და შესაბამისად მათი ფასიც ეცემოდა. საზრიანმა იაპონელებმა შემდეგი რამ მოიფიქრეს: ისინი თითოეულ რეზერვუარში სვამდნენ მომცრო ზომის ზვიგენს. მართალია, კუნძულზე დაბრუნებამდე ზვიგენები თევზების ნაწილს ჭამდნენ, მაგრამ გადარჩენილები ინარჩუნებდნენ ცოცხალ, ახალი თევზისთვის დამახასიათებელ გემოს. რატომ? – ზვიგენის არსებობა რეზერვუარებში თევზებს აიძულებდა ყოფილიყვნენ მუდმივ მოძრაობაში!“

ამბავი მეორე:

„ჩემი საცხოვრებლიდან არც ისე შორს არის ადგილი, სახელად „სიკვდილის ხეობა“, ეს ყველაზე ცხელი და მშრალი ადგილია ამერიკაში. იქ არაფერი იზრდება. არაფერი იზრდება, რადგან არასდროს წვიმს. 2004 წლის ზამთარში მოულოდნელად იწვიმა ხეობაში, მსხვილი წვეთები ეცემოდა ხეობას მცირე ხნით. 2005 წლის გაზაფხულზე სასწაული მოხდა: „სიკვდილის ხეობის“ მთელი მიდამო დაიფარა ყვავილებით. რას ამტკიცებს ეს? იმას, რომ „სიკვდილის ხეობა“ არ არის მკვდარი, უბრალოდ, თვლემს. ზუსტად ზედაპირის ქვეშ არის სიცოცხლის შესაძლებლობის მარცვლები, რომლებიც ელოდებიან შესაბამის პირობებს, რომ აღმოცენდნენ. ორგანული სისტემით თუ პირობები ზუსტია, სიცოცხლე გარადაუვალია, ის ყოველთვის მიმდინარეობს... იღებ ერთ ადგილს: სკოლას, უბანს... ცვლი პირობებს, აძლევ განსხვავებულ საშუალებებს და განსხვავებულ მოლოდინს, სთავაზობ მოქმედების თავისუფლებას, ეხმარები, იყვნენ ინოვაციურები იმაში, რასაც აკეთებენ და სკოლები, რომლებსაც აკლდა ეს, ივსებიან სიცოცხლის წყურვილით“.

ამბავი მესამე:

„დაწყებით კლასში ხატვის გაკვეთილია. ბოლო მერხზე ზის გოგონა, რომელიც გაკვეთილებზე აქტიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ არა ხატვის გაკვეთილზე. გოგონა ოცი წუთის განმავლობაში თავდავიწყებით ხატავდა.

მასწავლებელი დაინტერესდა, ასე მონდომებით რას ხატავდა გოგონა. გოგონას თავი არ აუწევია, ისე უპასუხა: „ღმერთს“. განცვიფრებულმა მასწავლებელმა ჰკითხა: „კი მაგრამ, განა ვინმემ იცის, როგორ გამოიყურება ღმერთი?“ გოგონამ კი უპასუხა: „მალე გაიგებენ“.

თუ არ შემატებთ ამ გოგონას რწმენას რაიმეს, იქნებ არ მოუკლათ ღმერთი, რომელსაც ის ხატავს...



ინტერვიუ

4 ნატო ინგოროყვა

განათლება ნამდვილად თავისუფლებაა, ოღონდ ეს გზა პასუხისმგებლობაზე გადის

ინტერვიუ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან

ვერავითარი სასკოლო გარემო, ვერავითარი თანამედროვე ტექნოლოგიები ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ საგანმანათლებლო სისტემა ღირებულებებისგან დაიცალა.



პრობლემა

36 თამთა კობახიძე

პლაგიატი და ღიტერატურის მითითება

ის ფაქტი, რომ ქართველ მოსწავლეებს საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში პლაგიატთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ, არ ნიშნავს, რომ ყველა ყველასგან „იპარავს“. ეს, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციისა და პრაქტიკის ნაკლებობის შედეგია.

39 ლევან ალფაიძე

ერთი მასწავლებლის ისტორია

შეუძლებელია სიღარიბეზე, ომზე, რასიზმზე ან ტერორიზმზე საუბარი განათლებაზე საუბრის გარეშე. განათლება პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოში არსებულ უამრავ პრობლემას და, ამავე დროს, მათი მოგვარების გასაღებია.

რესურსი

8 მაია ფირჩხაძე

კონცეპტუალური ცხრილები და კრიტიკული აზროვნების განვითარება

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების კომპეტენცია.

20 თეა ურუშაძე

განმავითარებელი შეფასების მეთოდების შესახებ

არჩევანის თავისუფლება და ამ არჩევანზე პასუხისმგებლობა საგრძნობლად ზრდის მოსწავლის მოტივაციას.

23 ანა ჯანელიძე

სათამაშო მოედნები – თამაშის მივიწყებული ოაზისები

თამაში უნივერსალური ქცევაა, რომელიც ყველა კულტურასა და დროში გვხვდება. თამაშის ზოგიერთი თეორეტიკოსის მოსაზრებით, ის ევოლუციურად ჩამოყალიბებული ქცევაა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანებისთვის, პრიმატებისა და ბევრი სხვა ცხოველისთვის.

48 ანი კოპალიანი

სტრატეგიული თამაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

მე მგონი, ამ თამაშის ყველაზე ლოგიკური დასასრული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა, რაშიც მეფეებთან ერთად უდიდესი წვლილი სწორედ გრიგოლსა და მის თანამედროვე თუ მემკვიდრე სასულიერო პირებს მიუძღვით.

54 ნინო ჭიაბრიშვილი

დისკუსია წინასწარგანსაზღვრულ საკითხზე

დააკვირდნენ დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას, სოციალურ ქცევებს, მონაწილეთა პოზიციების დამაჯერებლობას და ა.შ. დისკუსიის მიზანია საუბრის ხელოვნების განვითარება. ამ მიზანს შეესაბამება დახურული შიდა წრე.



გამოცდილება

31 **მაია მენაბდე**
სასვენი ნიშნების დღე
სასვენი ნიშნების მნიშვნელობაზე რომ ვესაუბრები ბავშვებს, ფილოლოგებში გავრცელებული ლეგენდით ვიწყებ – როგორ გადაარჩინა ერთმა მძიმემ ადამიანი. ერთ ჩინოვნიკს ბრძანების დაწერისას მძიმის ადგილი შეშლია და დასახვრეტად გამზადებული ადამიანი გაუთავისუფლებიათ.

45 **ლელა კოტორაშვილი**
სკოლის ბლოგის დანიშნულება
თუ წიგნის კითხვა და მასთან დაკავშირებული აქტივობები წიგნიერების დონეს ამაღლებს, ბლოგის წარმოება კიდევ ერთი გამჭოლი კომპეტენციის – მედიაწიგნიერების – განვითარებას უწყობს ხელს.

51 **მანანა სეხნიაშვილი**
რამდენიმე აქტივობა რეფლექსიისთვის
მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის სტრუქტურის სავალდებულო ეტაპია რეფლექსია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა აქტიურობაზე გაკვეთილის დასასრულს. ამ შემთხვევაში პედაგოგი ორგანიზატორის როლს ასრულებს და მთავარი გმირები მოსწავლეები არიან.

27-30

მოსაზრება

14 **მაია ჯალიაშვილი**
მოსწავლეები და იდეები
პედაგოგი არ უნდა შეუშინდეს მოსწავლის გონებაში გაჩენილი თუნდაც რადიკალური და აბსურდული იდეების მოსმენას, მათზე ყურადღების გამახვილებას, კლასში საჯაროდ განხილვას. ხშირად შეიძლება სწორედაც ულოგიკო თვალსაზრისს მოჰყვეს ახალი იდეა.

17 **მეგი კავთუაშვილი**
სკოლა + ოჯახი = მეგობრებს
მშობელთა ინიციატივების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას, სკოლისა და ოჯახის მოკავშირეობასა და მეგობრობას.

42 **ირმა კახურაშვილი**
თამაში – ბავშვის განვითარების ყველაზე ბუნებრივი საშუალება
ბავშვები, რომლებიც არ თამაშობენ, შესაძლოა საბავშვო ბაღში აუტსაიდერებად იქცნენ, მერე კი იგივე განმეორდეს სკოლაშიც. მათ მასხარად აიგდებენ, დასცინებენ, რაც ფსიქიკურ დაავადებებს გამოიწვევს. ასეთ ბავშვებს ხშირად უწევთ საძილე საშუალებების მიღება, რადგან ინსომნია აქვთ.

განათლების ფსიქოლოგია

11 **ქეთევან ოსიაშვილი**
კლასის ხელმძღვანელის როლი თანამედროვე სკოლაში
სკოლის მთავარი სტრუქტურული ელემენტი კლასია. სწორედ აქ ხდება შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება, ყალიბდება სოციალური ურთიერთობები მოსწავლეებს შორის, იქმნება ემოციური ატმოსფერო, ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევასა და სწავლაზე.

განათლება ნამდვილად თავისუფლებაა, ოღონდ ეს გზა პასუხისმგებლობაზე გადის

ინტერვიუ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან

ნატო ინგოროყვა

„ერთხელ, დილით, სამსახურში მიმავალს, ლიფტში მეზობლის ბიჭი დამემგზავრა, სკოლაში მიდიოდა. გამოველაპარაკე, ვკითხე, უხაროდა თუ არა სკოლაში წასვლა, მოსწონდა თუ არა სკოლა. მან ბავშვური გულწრფელობით შემომიბრუნა კითხვა: „თქვენ გგონიათ, არსებობს ბავშვი, რომელსაც სკოლაში წასვლა უხარია?" მისი ეს სიტყვები დღემდე ჩამესმის და გამუდმებით მახსენებს თავს".

> მასწავლებლობა სწავლებასთან ერთად სწავლაცაა, რომელიც მთელი სიცოცხლე გრძელდება. მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს თავის პროფესიულ განვითარებაზე და ამისთვის მას დრო და რესურსები უნდა ჰქონდეს.

საუბრის ასეთი დასაწყისის შემდეგ პირველი კითხვა მინისტრისთვის თითქოს აღარც კი უნდა დამესვა, მაგრამ მაინც ვკითხე:

ბატონო მინისტრო, საზოგადოებამ მოისმინა თქვენი წარდგინება განათლების თითოეულ საფეხურზე განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს შესაძლებლობა მიეცათ, სხვადასხვა საინფორმაციო არხის საშუალებით გასცნობოდნენ თქვენს პოზიციას, ასე რომ, მათ ალბათ უკვე აქვთ წარმოდგენა იმის თაობაზე, რას ითვალისწინებს თქვენ მიერ წარდგენილი რეფორმა და რას ველოდოთ მისგან. ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის უფრო ნათელი რომ გახდეს მინისტრის დამოკიდებულება, მოდით, ოდნავ უკან დავიხიოთ: მეტნაკლებად ხომ იცნობდით განათლების სისტემას და მის პრობლემებს; რატომ დასთანხმდით მინისტრობას?

გადამწყვეტი როლი სწორედ იმ გამოცდილებამ შეასრულა, რომელიც განათლების სფეროსთან მაკავშირებდა. სისტემაში არსებული პრობლემები და გამოწვევები ჩემთვის მართლაც არ ყოფილა უცხო. როცა გარედან აკვირდები საქმიანობას, რომელიც შენს ინტერესებთანაა გადაჯაჭვული, ხარვეზები უკეთ ჩანს. თანამოაზრეებსა და უცხოელ კოლეგებთანაც არაერთხელ მისაუბრია ამ საკითხებზე და როცა მინისტრის თანამდებობა შემომთავაზეს, ვიფიქრე, რომ მართლაც მინდოდა, თავად მიმეღო მონაწილეობა იმ ცვლილებებში, რომლებიც განათლების სისტემას სჭირდებოდა. **საზოგადოდ, მიმაჩნია, რომ როცა რაღაც არ მოგწონს და გეძლევა ამის გამოსწორების შანსი, არ უნდა ელოდო, როდის აიღებს პასუხისმგებლობას სხვა.** პრობლემები არის სწავლების ყველა საფეხურზე და ამას ყველა ვაღიარებთ.

„განათლება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია" – ეს სიტყვები ხშირად გვესმის ადამიანებისგან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ და ადგენენ, რა თანხა უნდა გამოიყოს ამისთვის

სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რას ნიშნავს თქვენთვის განათლების პრიორიტეტულობა?

განათლების პრიორიტეტულობაა ის, რომ სახელმწიფო აღიარებს მის უპირობო მნიშვნელობას, მხარს უჭერს რეფორმას, გამოყოფს ამისთვის თანხას თუ ადამიანურ რესურსებს და არა მხოლოდ. პრიორიტეტულობაა ის, რომ განათლებას საზოგადოების თვალში სათანადო ფასი დაედოს, **განათლებამ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა მოგცეს, გჯეროდეს, რომ ცოდნა და უნარები, რომლებსაც სკოლასა თუ უნივერსიტეტში იძენ, მომავალში თვითრეალიზაციაში დაგეხმარება და შენს კეთილდღეობას უზრუნველყოფს.**

განათლების პრიორიტეტულობა გამოიხატება იმითაც, რომ ვაცნობიერებთ: შეცდომების დრო აღარ გვაქვს, ამიტომ ბევრი ფიქრის, კამათის და განხილვის შემდეგ ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც უფრო მეტად არ დააზიანებს სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ხედვა შეჯერებულია, თითოეული საქმიანობა – დროში გაწერილი. ახლა დაშვებული ერთი შეცდომის გამოსწორებას შესაძლოა წლები დასჭირდეს. ჩვენი თითოეული ნაბიჯის უკან გააზრებული, კვლევასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება უნდა იდგეს.

არის სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემები. ერთი მათგანია სახელმძღვანელოების გრიფირება. ბევრი ვიმსჯელეთ, განვიხილეთ ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესს ახლდა, ვესაუბრეთ სახელმძღვანელოების ავტორებს, გამომცემლებს, ექსპერტებს, გავითვალისწინეთ ყველა შენიშვნა და კარგი ის არის, რომ თითოეულ მათგანთან კომუნიკაცია შედგა. გავაანალიზეთ შეცდომები და სამომავლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში მსგავსი ხარვეზები აღარ იქნება. ავტორებს და გამომცემლებს გონივრული დრო უნდა ჰქონდეთ სახელმძღვანელოებზე სამუშაოდ.

წარდგინებას დავუბრუნდეთ, ოღონდ არა იმას, რაც საპრეზენტაციო სლაიდებზე ჩანდა – მინდა, კულისებში შეუძღვეთ ჩვენს მკითხველს. მოსალოდნელი ცვლილებების თქვენეული ხედვა საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, ცხადია,

> მასწავლებლობა ძალიან რთული პროფესიაა, ამიტომ არჩევანი ზედმიწევნით გააზრებული უნდა იყოს. ბუნებრივია, ეს რთული საქმიანობა სათანადოდაც უნდა დაფასდეს – ანაზღაურებით, მასწავლებლის სოციალური სტატუსით...

ვერავითარი სასკოლო გარემო, ვერავითარი თანამედროვე ტექნოლოგიები ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ საგანმანათლებლო სისტემა ღირებულებებისგან დაიცარა.

კიდევ უფრო საინტერესო იქნება, როგორ და როდის განხორციელდება რეფორმა. საინტერესოა, როგორ ხედავს მინისტრი მოსწავლეზე ორიენტირებულ სკოლას – სკოლას, სადაც მოსწავლეს მიუხარია, მის ფიზიკურ გარემოს, მის შინაარსს... ავიღოთ თუნდაც უსაფრთხოება. რას გააკეთებთ ამისთვის? საკმარისია თუ არა ვიდეოკამერები, პოლიციელი სკოლასთან ან მანდატური სკოლაში?

სხვაგან დანერგილი, თუნდაც წარმატებული სასკოლო მოდელის პირდაპირ გადმოღება შეუძლებელია. ჩვენ ჩვენი სინამდვილის გათვალისწინება მოგვიწევს. სკოლის შინაარსი და გარემო მოსწავლისა და მასწავლებლისთვის სასურველი უნდა იყოს. მშობელს უნდა სჯეროდეს, რომ მისი შვილი უსაფრთხო გარემოშია. ასეთი გარემოს შესაქმნელად კი აუცილებელია როგორც სკოლის მანდატურის, ასევე სკოლის ფსიქოლოგის როლის გათვალისწინება და, რაც მთავარია, მშობლის, მოსწავლის და სკოლის ურთიერთანამშრომლობა.

როცა ეს კავშირი არსებობს, როცა პროცესში მისი ყველა მონაწილე თანაბრადაა ჩართული, ფორმის პოვნა უფრო ადვილია. შესაძლოა, შედეგი გამოიღოს საკლუბო მუშაობამ, ცნობილი და წარმატებული ადამიანების მაგალითმა და მათმა ჩართულობამ, სპორტულმა ღონისძიებებმა, კინოფილმების ჩვენებამ და განხილვამ, მწერლების მოწვევამ და მათთან საუბარმა, სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებმა.

ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი ხედვის და სასკოლო რეფორმის ერთი მოდელის თბილისის ერთ ჩვეულებრივ სკოლაში დანერგვა. ნოემბერში უკვე შეგვეძლება პირველი შედეგების გაზომვა, ვნახავთ, რამ იმუშავა კარგად, სად იყო შეფერხება, გავაანალიზებთ მონაცემებს და ამის მიხედვით გადავწყვეტთ, დავნერგოთ თუ არა ეს მოდელი სხვა სკოლებშიც, ან, თუ დავნერგავთ – რამდენში. მოდელი ითვალისწინებს როგორც საგაკვეთილო პროცესში ცვლილებების შეტანას, ისე თანამშრომლობას, ერთი მხრივ, კოლეგებს, მეორე მხრივ კი მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის. **თუ თანამშრომლობა არ შედგა, ცალკეული რგოლების თუნდაც სწორი ფუნქციონირება უსაფრთხო სასკოლო გარემოს ვერაფრით შექმნის.**

საპილოტე სკოლა შემთხვევითი პრინციპით შევარჩიეთ, განსაკუთრებული არ გვიძებნია, რადგან იქ მიღებული შედეგები სხვა სკოლებზეც უნდა განვაზოგადოთ. წლის ბოლოს უკვე გვექნება მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი და ამ მოდელის დეტალებს და შედეგებს საჯაროდ განვიხილავთ. თუ ისინი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რისი დიდი იმედიც გვაქვს, რეფორმა 2023 წლამდე საქართველოს ყველა სკოლას მოიცავს.

როგორ დაახასიათებს მინისტრი მასწავლებელს, რომლის ხილვაც სურს საკლასო ოთახში თუ მის მიღმა? რას გააკეთებს იმისთვის, რომ მასწავლებლობის მსურველ ადამიანებს გაუადვილდეთ პროფესიაში მოსვლა? ისიც საინტერესოა, სისტემაში არსებულ რომელ რეგულაციას უნდა დავემშვიდობოთ.

იდეალური მდგომარეობაა, როცა ადამიანი საყვარელ საქმეს აკეთებს. შემთხვევითი ადამიანები მასწავლებლის პროფესიას არ უნდა ირჩევდნენ; ამ პროფესიას არ უნდა ირჩევდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა სამსახური არ აქვთ. როცა შენ თვითონ გიხარია, რასაც აკეთებ, სიხარულს სხვასაც გადასდებ. **მასწავლებლობა ძალიან რთული პროფესიაა, ამიტომ არჩევანი ზედმიწევნით გააზრებული უნდა იყოს. ბუნებრივია, ეს რთული საქმიანობა სათანადოდაც უნდა დაფასდეს – ანაზღაურებით, მასწავლებლის სოციალური სტატუსით...** ჩვენ ვთქვით, რომ 2022 წლისთვის მასწავლებლის მინიმალური ხელფასი 1500 ლარი უნდა გახდეს. ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიაში ახალი ადამიანების მოზიდვაც, რომლებსაც გადაულახავ ბარიერებს არ უნდა ვახვედრებდეთ – რეგულაციები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ **ვერავითარი სასკოლო გარემო, ვერავითარი თანამედროვე ტექნოლოგიები ვერ გამოიღებს**

სასურველ შედეგს, თუ საგანმანათლებლო სისტემა ღირებულებებისგან დაიცალა. მასწავლებელი უნდა იყოს ის, ვინც საგნობრივ ცოდნასთან ერთად მოსწავლეებს ამ ღირებულებებსაც გადასცემს პირადი მაგალითით თუ სხვადასხვა უნარის განვითარებით. მესმის, რთულია, მაგრამ სხვაგვარად უკეთეს საზოგადოებას ვერ აღვზრდით.

როგორ დავეხმარებით მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში? საზოგადოდ, როგორი იქნება მათი პროფესიული განვითარების გზა და რა ელით მათ ამ გზაზე?

მასწავლებლობა სწავლებასთან ერთად სწავლაცაა, რომელიც მთელი სიცოცხლე გრძელდება. **მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს თავის პროფესიულ განვითარებაზე და ამისთვის მას დრო და რესურსები უნდა ჰქონდეს.** მასწავლებლის სახლი ამ პროფესიის ადამიანებს უნდა სთავაზობდეს მათ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს, რომელთა ფორმატი და შინაარსი ასევე მოითხოვს ცვლილებებს. აუცილებელია თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით მათი უზრუნველყოფა, მეტი დისკუსია პრობლემების გარშემო, კოლეგების მიერ გამოცდილების ურთიერთგაზიარება. მასწავლებლებს რეგულაციების საპირწონე სერვისები უნდა შევთავაზოთ და მათ უნდა სჯეროდეთ, რომ თუ კარიერული წინსვლის სქემაში რაიმე რეგულაცია არსებობს, ეს მათივე პროფესიული განვითარებისთვისაა.

რეფორმის წარდგენისას აქცენტი „ხარისხიან განათლებასა“ და „განათლების ხელმისაწვდომობაზე“ დასვით. რას გულისხმობს ეს განაცხადი?

უპირველეს ყოვლისა – მოწესრიგებულ, თანამედროვე სასკოლო ინფრასტრუქტურას, რომლის შექმნა ადვილი არ არის და ვერც სწრაფად მოხერხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით არ ვმუშაობთ. ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი ხარჯები მომავალი წლის ბიუჯეტში გაორმაგდება. ამასთან ერთად, უნდა მოხდეს სკოლების თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა. სკოლები ეტაპობრივად უნდა გადავიდეს ელექტრონულ მართვაზე.

მინდა გითხრათ ისიც, რომ ჩვენ არ ვართ ორიენტირებული რაოდენობაზე და ამით თავის მოწონებას არ ვაპირებთ – ხარისხზე ვფიქრობთ.

რეფორმა არ გახლავთ ცალკეული პრობლემების ფრაგმენტული მოწესრიგება – ეს არის მთელი სისტემის გარდაქმნა და მასში არსებული ხარვეზების თანმიმდევრული აღმოფხვრა. რეფორმა ცოცხალი პროცესია, გზადაგზა თავს იჩენს ახალი საჭიროებები და სისტემა სათანადოდ მოქნილი უნდა იყოს ამ გამოწვევების დასაძლევად.

აუცილებლად უნდა გკითხოთ: თქვენი რეფორმის ფარგლებში როგორი უნდა გახდეს სკოლის დირექტორი?

დირექტორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც იცნობს განათლების სისტემას და მის გამოწვევებს; აქვს მენეჯერის უნარ-ჩვევები; შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება და პასუხი აგოს მასზე; ლიდერია და შეუძლია მოსალოდნელი შედეგების გათვლა. **დირექტორი უნდა იყოს თავისუფალი, იკისროს პასუხისმგებლობა სკოლის შიდა რეფორმაზე და ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღოს.** ეს იოლი არ არის, მაგრამ მეტი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პირობებში შესაძლებელია.

რატომ უნდა ენდოს ჩვენი ჟურნალის მკითხველი დაპირებას, რომ თქვენი საქმიანობა ეფექტური და მდგრადი იქნება? და აქვე – რა არის თქვენი მთავარი გზავნილი „მასწავლებლის“ მკითხველისთვის?

ამ კითხვას პასუხს ჩვენ მიერ განხორციელებული განათლების რეფორმა გასცემს. რეფორმის მდგრადობა და ეფექტურობა ცალკეულ ადამიანებზე არ იქნება დამოკიდებული და მათი შეცვლა ცვლილებებს ვერ შეაფერხებს.

მთავარი გზავნილი კი განათლებას და ღირებულებას უკავშირდება: **განათლება ნამდვილად თავისუფლებაა, ოღონდ ეს გზა პასუხისმგებლობაზე გადის.**

> რეფორმა არ გახლავთ ცალკეული პრობლემების ფრაგმენტული მოწესრიგება – ეს არის მთელი სისტემის გარდაქმნა და მასში არსებული ხარვეზების თანმიმდევრული აღმოფხვრა.

მაია ფირჩხაძე

კონცეპტუალური ცხრილები როგორც კრიტიკული აზროვნების განვითარების საშუალება

> ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების კომპეტენცია.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების კომპეტენცია.

კრიტიკული აზროვნება როგორც ინფორმაციის დახარისხების საუკეთესო საშუალება სასწავლო ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. არსებობს მისი განვითარების მრავალი სტრატეგია და მიდგომა. თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს მოცემული კომპეტენციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ერთი მათგანია **კონცეპტუალური ცხრილების** გამოყენების სტრატეგია. დიდი მოცულობის ინფორმაციის კრიტიკული შესწავლისთვის, დამუშავებისა და ორგანიზებისთვის მას საკმაოდ ხშირად იყენებენ.

კონცეპტუალური ცხრილები მხოლოდ ობიექტის, საგნის არსებითი, დამახასიათებელი ნიშან-თვისებების აღმოჩენასა და გაანალიზებაში, თემის სხვადასხვა კუთხით განხილვასა და განზოგადებაში კი არ ეხმარება მოსწავლეს, არამედ განვლილი მასალის განმტკიცებისა და ცოდნის სტრუქტურირების ეფექტური საშუალებაცაა.

კონცეპტუალურ ცხრილებს როგორც სტრატეგიას უმთავრესად იყენებენ გაკვეთილის საწყის ეტაპზე ან რეფლექსიის დროს, ისიც მაშინ, როდესაც თემა აქტუალურია და მასალის კრიტიკული გააზრებისთვის საჭიროა რამდენიმე ობიექტის შედარება. ასეთ ცხრილებზე სამუშაოდ მასწავლებელი წინასწარ არჩევს თემას, თუმცა მოსწავლეებს თავადაც შეუძლიათ შეარჩიონ შესადარებელი ობიექტები, გამოთქვან მოსაზრებები, შეავსონ და ჩაასწორონ ცხრილები და ამ მიზნით ვიზუალური მასალაც კი გამოიყენონ.

კონცეპტუალური ცხრილის გამოყენებისას ვითარდება ისეთი უნარები, როგორიცაა:

- სისტემატიზაცია;
- შედარება და ანალიზი;
- ძირითადი, განმსაზღვრელი ნიშნების გამოყოფა;
- ანალოგიის გამოყენება;
- შესწავლილი ობიექტების შესახებ მთლიანი წარმოდგენის ფორმირება;
- ურთიერთდაკავშირება და შეპირისპირება და სხვ.

კონცეპტუალური ცხრილის შაბლონი: ჰორიზონტალურად თითოეული სვეტის სათავეში იწერება ის, რაც ექვემდებარება შედარებას, რაც უნდა შედარდეს (მოვლენები, ობიექტები/საგნები), ვერტიკალურად კი ჩამოიწერება ნიშან-თვისებები, რომლებიც აუცილებელია შედარებისთვის.

განვიხილოთ კონცეპტუალური ცხრილის მაგალითი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ბლოკიდან – **„საქართველო გვიან შუა საუკუნეებში“**:

შედარების ხაზი	ქართლი	კახეთი	იმერეთი	სამცხე
პოლიტიკური ვითარება				
სტრატეგიული მდებარეობა				
მმართველობის ფორმა				
სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა				

მასწავლებელს შეუძლია, გაკვეთილზევე შესთავაზოს მოსწავლეებს მოცემული ცხრილის შევსება და ამუშაოს ისინი წყვილებად ან ჯგუფებად. თუ მოცემულ საგაკვეთილო დროში მათ ვერ მოასწრეს მუშაობის დასრულება, შეუძლიათ, შინ დაასრულონ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ბლოკიდან განვიხილოთ კონცეპტუალური ცხრილის გამოყენების ორი პრაქტიკული მაგალითი:

ა) კონცეპტუალური ცხრილი როგორც რეფლექსიის საშუალება

გაკვეთილის თემა: „კოლუმბამდელი ამერიკა“
გაკვეთილის მიზანი: კოლუმბამდელი ამერიკის კულტურის შესწავლა; ამ კულტურისთვის დამახასიათებელი უნიკალური თვისებების გამოყოფა; მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი შედარების ხაზის გამოყენების გზით.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

I აქტივობა – საწყის ეტაპზე, გონებრივი იერიშის დროს, მოსწავლეებს სთავაზობენ, შეისწავლონ და განიხილონ გაკვეთილის თანმხლები ვიზუალური მასალა (კოლუმბამდელი ამერიკის კულტურის ძეგლები) და უპასუხონ კითხვას: „რომელი ხალხის კუთვნილებაა ეს ძეგლები?“

პასუხის მისაღებად მასწავლებელს შეუძლია დასვას შემდეგი ტიპის კითხვები: „სად ცხოვრობდა ეს ხალხი?“; „რა ძირითად საქმიანობას ეწეოდნენ?“; „რომელ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს?“; „რა არის გასაოცარი მათ კულტურაში?“ – და ა.შ.

II აქტივობა – მასალის გააზრების ეტაპზე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემის სათაურს: „კოლუმბამდელი ამერიკა“. თემის გააზრებისთვის მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს რუკას, რომელზეც გამოკვეთილია მაიას, აცტეკებისა და ინკების სახელმწიფოთა ტერიტორიები. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი სახელმძღვანელოს ილუსტრაციებს და გაეცნონ გაკვეთილის ძირითად ტექსტს („ისტორია“, XI კლასი, &58, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“).

ტექსტი პირობითად დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად. მოსწავლეებს მიეცემათ ალგორითმი ტექსტზე სამუშაოდ: ტექსტის წაკითხვა; ტექსტიდან ძირითადის, მთავარის გამოყოფა და რეზიუმირება; ინფორმაციის განხილვა ჯგუფში; შედარების ხაზის შედგენა – შესადარებელი ობიექტების/საგნების/ მოვლენების გამოყოფა, ანუ კატეგორებად დაყოფა (ამისთვის შეიძლება გამოიყენონ გონებრივი იერიშის ეტაპზე დასმული კითხვები და მიღებული პასუხები).

III აქტივობა – ანალიზის ეტაპზე ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ „შედარების ხაზს“, რომლის საფუძველზე დასრულდება კონცეპტუალური ცხრილის შევსება. აქტივობის ბოლოს კი მოხდება მიღებული ცხრილის პრეზენტაცია:

შედარების ხაზი	აცტეკები	ინკები	მაია

პრეზენტაციის დროს შეიძლება ყურადღება მიექცეს ასეთი საკითხის განხილვასაც: „რომელი საჭირო ინფორმაცია ვერ მოხვდა ცხრილში?“

> კონცეპტუალური ცხრილები მხოლოდ ობიექტის, საგნის არსებითი, დამახასიათებელი ნიშან-თვისებების აღმოჩენასა და გაანალიზებაში, თემის სხვადასხვა კუთხით განხილვასა და განზოგადებაში კი არ ეხმარება მოსწავლეს, არამედ განვლილი მასალის განმტკიცებისა და ცოდნის სტრუქტურირების ეფექტური საშუალებაცაა.



IV აქტივობა – საშინაო დავალება: მოსწავლემ უნდა გამოიყენოს მისთვის ცნობილი მასალის გრაფიკული მაორგანიზებელი (ცხრილი, გრაფიკი...) ან მოიგონოს საკუთარი სქემა, რომლის შევსებაც თავად მოუნდება, გამოყოს ტექსტიდან ის შესადარებელი მასალა, რომელსაც გაკვეთილზე ვერ დაეთმო სათანადო ყურადღება ან ყურადღების მიღმა დარჩა და შეავსოს მიღებული კონცეპტუალური ცხრილი.

ბ) კონცეპტუალური ცხრილი როგორც გაკვეთილის ძირითადი სტრატეგია

შესასწავლი თემა: „სამხრეთი პოლუსი“ (კონტინენტების გეოგრაფიიდან)

გონებრივი იერიშის ეტაპზე მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცნება „სამხრეთი პოლუსის“ ასოციაციურ სქემას. მოსწავლეები პასუხობენ: „თოვლი“, „სიცივე“, „საფრთხე“ და ა.შ.

შემდეგ, კონცეპტუალური ცხრილის შესადგენად და შესავსებად, მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად და ხაზავენ **შედარების ხაზს.**

ამისთვის **მასწავლებელი სვამს** რამდენიმე კითხვას: „წარმოიდგინეთ, რომ სახიფათო მოგზაურობისთვის ემზადებით, მაგალითად, პოლუსზე მიემგზავრებით. რა დაგჭირდებათ სამოგზაუროდ?“

მოსწავლეთა პასუხები ფიქსირდება „შედარების ხაზში“. მაგალითად, „რუკები“, „სათანადო აღჭურვილობა“, „გამოცდილება“, „ჯგუფის ორგანიზება“, „კარგი ამინდი“ და ა.შ.

გააზრების ეტაპზე მოსწავლეებს სთავაზობენ ნაწყვეტებს რობერტ სკოტის და რუალ ამუნდსენის მოგზაურობის შესახებ. მოცემული ტექსტების მიხედვით მათ უნდა შეადარონ ამ მოგზაურობათა პარამეტრები, გამოიყენონ უკვე მიღებული პასუხები და შეავსონ/ან დაამატონ „შედარების ხაზი“.

ანალიზის ეტაპზე მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ცხრილს:

შედარების ხაზი	რობერტ სკოტი	რუალ ამუნდსენი
ჯგუფი		
აღჭურვილობა		
გამოცდილება		
ამინდი		

საშინაო დავალება: მოსწავლეებს შეუძლიათ შეასრულონ შემოქმედებითი ხასიათის დავალება: „ჩანაწერები მოგზაურთა დღიურიდან“.

ამგვარი მუშაობით და კონცეპტუალური ცხრილების შევსებით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ინფორმაციასთან სწორი კომუნიკაციის უნარი; შეძლებენ ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირებას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ეს კი, საბოლოო ჯამში, პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მიზნებს და ხელს უწყობს კომპეტენტური, ინტელექტუალური პიროვნების ფორმირებას. ამიტომ კონცეპტუალური ცხრილები აქტიურად შეგვიძლია გამოვიყენოთ საგაკვეთილო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესასრულებლად.

ქეთევან ოსიაშვილი

კლასის ხელმძღვანელის როლი თანამედროვე სკოლაში

ძნელად იპოვით ადამიანს, რომელიც ბავშვობაზე საუბრისას სკოლას, იქ გატარებულ წლებს და საყვარელ მასწავლებელს არ გაიხსენებს, მასწავლებელს, რომელთანაც დაკავშირებულია ურთიერთობის სასიხარულო წუთები, რომელიც ყოველთვის მზად არის, დაეხმაროს მოსწავლეებს პიროვნული და ურთიერთობის პრობლემების მოგვარებაში, ცხოვრების გზის არჩევაში, მასწავლებელს, რომელსაც ბავშვი უსიტყვოდ ენდობა და ყველა საიდუმლოს უმჟღავნებს. ასეთი მასწავლებელი უმეტესად კლასის ხელმძღვანელია. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ის ნამდვილად ყველაზე ახლოს დგას ბავშვთან.

სკოლის მთავარი სტრუქტურული ელემენტი კლასია. სწორედ აქ ხდება შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება, ყალიბდება სოციალური ურთიერთობები მოსწავლეებს შორის, იქმნება ემოციური ატმოსფერო, ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევასა და სწავლაზე. კლასში არსებულ მდგომარეობაზე მთელი პასუხისმგებლობა კლასის ხელმძღვანელს აკისრია. ის სასწავლო-პედაგოგიური პროცესის მთავარი ორგანიზატორია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის ცხოვრებაში. სწორედ ის ასრულებს მთავარ როლს მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენასა და რეალიზებაში, ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ კლასის ხელმძღვანელი თავის საქმიანობას სწორად და კეთილსინდისიერად წარმართავს, უფრო მეტი ეცოდინება ბავშვის შესახებ, ვიდრე მის მშობელს. უფრო მეტიც: ბევრი ბავშვისთვის კლასის ხელმძღვანელი უფრო ახლობელი ხდება, ვიდრე მშობელი.

კლასის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები თანამედროვე სკოლაში:

- მოსწავლეთა აღზრდა. აღმზრდელობით ფუნქციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა პედაგოგი ასრულებს, თუმცა აღმზრდელობით მუშაობაში წამყვანი როლი კლასის ხელმძღვანელს ეკისრება. მისი მუშაობის წარმატებაზეა დამოკიდებული მოსწავლეთა აღზრდის დონე და პიროვნებათაშორისი ურთიერთობები ჯგუფში;
- ხელსაყრელი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პირობების შექმნა ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის;
- თითოეული ბავშვის განვითარების თავისებურებების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ემოციური თავისებურებების შესწავლა;
- ბავშვის ინტერესების, მიდრეკილებების, უნარების, შესაძლებლობების გარკვევა, მისთვის ისეთი საქმიანობის შეთავაზება, რომელშიც ის მაქსიმალურად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს და წარმატებას მიაღწევს;
- კლასში თითოეული აღსაზრდელისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროსა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა;
- მოსწავლეების დახმარება იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც იჩენს თავს

> „როცა კლასის ხელმძღვანელის მუშაობაში ხარვეზებია, კლასი საკმაოდ რთულია. იქ მრავლად არიან მოსწავლეები სასწავლო და ქცევითი პრობლემებით. ბევრ მასწავლებელს არ სურს ასეთ კლასში გაკვეთილების ჩატარება, რადგანაც სასწავლო მიზანს ძნელად აღწევენ.

პედაგოგებთან, თანატოლებთან, მშობლებთან ურთიერთობაში;

- ბავშვის დახმარება ჯგუფის წევრებთან ადაპტირებასა და მათი მხრიდან აღიარების მოპოვებაში, ჯგუფში სასურველი ადგილის დამკვიდრებაში;
- მოსწავლეთა თვითაღზრდის, თვითგანვითარების, თვითრეალიზაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა. სკოლის ფსიქოლოგთან ერთად მათი ფსიქოლოგიური განათლების ორგანიზება;
- სასწავლო საქმიანობაში წარმოშობილი პრობლემების დაძლევაში მოზარდთა დახმარება;
- საჭიროების შემთხვევაში სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება და პედაგოგებთან თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია კლასში აღმზრდელობითი პროცესის შედეგიანად წარმართვა. კლასის ხელმძღვანელი ვერ იმოქმედებს იზოლირებულად და ვერ გაუძღვება აღმზრდელობით პროცესს მარტო, კლასში შემსვლელ პედაგოგებსა და მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე;
- მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მშობელთა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირება, მათი როგორც სკოლის სოციალური დამკვეთების ჩართვა სასკოლო ცხოვრებასა და იქ მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ბავშვის ინდივიდუალურობა თავდაპირველად ოჯახში ყალიბდება. არ შეიძლება, სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობა აიგოს მოსწავლის განვითარების ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად. თავისი სტატუსით კლასის ხელ-

მძღვანელი სკოლის ძირითადი სუბიექტია, რომელიც აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში თანამშრომლობს მოსწავლეთა მშობლებთან; მას განსაკუთრებული როლი აკისრია მოსწავლეების მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში, სკოლისა და ოჯახის აღმზრდელობითი საქმიანობის ერთიანობის მიღწევაში. ის აყალიბებს სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის ძირითად სტრატეგიას მოსწავლის პიროვნების აღზრდის პროცესში;

- მოსწავლის სასწავლო მოტივაციის გაძლიერება მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც დაეხმარება ბავშვს იმ ფსიქოსოციალური მოთხოვნილებების რეალიზებაში, რომლებიც ადამიანის მოტივაციური სფეროს საფუძველია. იმისთვის, რომ ბავშვი წარმატებული გახდეს, მას უნდა სურდეს წარმატება, მიისწრაფოდეს მისკენ, კმაყოფილებას პოულობდეს წარმატებაში. აღზრდისა და აღმზრდელის მთავარი ამოცანაა მოსწავლის არა გონების, კუნთებისა და ფიზიკური უნარების, არამედ მოტივაციური სფეროს განვითარება, ანუ გაღვივება მაღალი ზნეობის ადამიანად ყოფნის სურვილისა, მისწრაფებისა, რომელიც განმტკიცებული იქნება გონებით და გრძნობით;
- კლასში ყველა იმ საქმიანობის ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას, პიროვნებად მათ ჩამოყალიბებას, ჯგუფის წევრთა ჰარმონიულ თანაარსებობას;
- სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ყველა მონაწილის (პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები) პოზიტიური ურთიერთობის კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა პიროვნებისა და მოსწავლეთა ჯგუფების განვითარების დინამიკის კონტროლი და მართვა;
- მოსწავლეთა ყოველდღიური საქმიანობის პროგნოზირება, ანალიზი, ორგანიზება და კონტროლი;
- თითოეული ბავშვის შესაძლებლობების, ნიჭის მაქსიმალური გამოვლენა, მისი განუმეორებლობის შენარჩუნება; სულიერი, გონებრივი და ფიზიკური სრულყოფისთვის პირობების შექმნა.

ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რა დიდი სამუშაოს შესრულება უწევს კლასის ხელმძღვანელს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას ყოველდღიურად საკუთარი გაკვეთილებიც აქვს ჩასატარებელი. და თუ ამ ყველაფერს კლასის ხელმძღვანელი კეთილსინდისიერად შეასრულებს, მას იმდენი ენერგიის (როგორც ფიზიკურის, ასევე ფსიქიკურის) დახარჯვა მოუწევს, რომ შესაძლოა, კარგა ხანს ვერ შეძლოს მისი აღდგენა. ამდენად, იქნებ გამართლებული იყოს სკოლაში გათავისუფლებული კლასის ხელმძღვანელის შტატის შემოღება – ეს გაცილებით ხარისხიანს, ეფექტიანს და შედეგიანს გახდიდა მის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ამის პრაქტიკა ცალკეულ სკოლებში უკვე არსებობს. კლასის ხელმძღვანელის მუშაობაზე რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული, ვფიქრობ, ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს. იქ, სადაც კლასის ხელმძღვანელი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, კლასი ნაკლებად პრობლემურია, პედაგოგები ხალისით ატარებენ გაკვეთილებს და შედეგებიც უკეთესი აქვთ. ხოლო თუ კლასის ხელმძღვანელის მუშაობაში ხარვეზებია, კლასი საკმაოდ რთულია. იქ მრავლად არიან მოსწავლეები სასწავლო და ქცევითი პრობლემებით. ბევრ მასწავლებელს არ სურს ასეთ კლასში გაკვეთილების ჩატარება, რადგანაც სასწავლო მიზანს ძნელად აღწევენ.

> სკოლის მთავარი სტრუქტურული ელემენტი კლასია. სწორედ აქ ხდება შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება, ყალიბდება სოციალური ურთიერთობები მოსწავლეებს შორის, იქმნება ემოციური ატმოსფერო, ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევასა და სწავლაზე.

მაია ჯაღიაშვილი

მოსწავლეები და იდეები

> ახალი იდეების დაბადება უმნიშვნელოვანესია პიროვნებისა თუ საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფისთვის. მოსწავლეები სკოლიდანვე უნდა მიეჩვიონ იმგვარ შემოქმედებით აზროვნებას, რომელიც ხელს შეუწყობს ნაცნობ საგანთა თუ მოვლენათა განსხვავებულად დანახვას.

ახალი იდეების დაბადება უმნიშვნელოვანესია პიროვნებისა თუ საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფისთვის. მოსწავლეები სკოლიდანვე უნდა მიეჩვიონ იმგვარ შემოქმედებით აზროვნებას, რომელიც ხელს შეუწყობს ნაცნობ საგანთა თუ მოვლენათა განსხვავებულად დანახვას, ძველი, გაცვეთილი თემებისა და საკითხების თანამედროვეობისთვის შესაფერის კონტექსტებში წარმოჩენას, სტერეოტიპებსა და შაბლონებზე უარის თქმას, ორიგინალური და უჩვეულო ინტერპრეტაციების გაბედულად შემოთავაზებას, გაუკვალავი გზების აღმოჩენას. ეს, რა თქმა უნდა, რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. სხვისთვის რამის სწავლება, ცოდნის გადაცემა კი პროცესია, რომელიც არა მხოლოდ მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის საშუალებით ხორციელდება – მასზე გავლენას ახდენს უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება, ხელშემწყობი თუ ხელისშემშლელი პირობები. შეიძლება, მასწავლებელმა, რომელიც გამუდმებით ზრუნავს საკუთარი ცოდნის გამდიდრება-გამრავალფეროვნებაზე, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესებაზე, მოსწავლეებს სწავლების ახალი მეთოდები და საშუალებები შესთავაზოს, მაგრამ აუცილებლად უნდა იზრუნოს მოტივაციის ამაღლებაზეც, მოსწავლეებს უნდა დაანახოს, შეაგრძნობინოს, შეამეცნებინოს ახლებურად მიწოდებული მასალის ფუნქციურობა.

თანამედროვე ტექნოლოგიების, აუდიო– და ვიდეომასალების გამოყენება ზრდის შესაძლებლობას, მოსწავლემ მეტი ინტერესი გამოიჩინოს იმის მიმართ, რასაც ასწავლიან; ამგვარად, იძულება იქცეს სურვილად და თვითგანვითარების ძლიერ იმპულსად.

ბევრი ფიქრობს, რომ იდეების დაბადება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანი განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, თუმცა თანამედროვე გამოკვლევები ადასტურებს, რომ ამ ამბავში არაფერია მისტიკური, ხილვისა თუ გასხივოსნების მსგავსი. შთაგონება, რომელიც იდეის წარმოშობას უწყობს ხელს, შეიძლება გამოვიწვიოთ და ამისთვის მასწავლებელსაც შეუძლია გამოიყენოს უამრავი ნაცადი გზა; ამავე დროს, თვითონაც მოიფიქროს ისეთი ხერხები და საშუალებები, რომლებიც მოსწავლეებს იდეების მოფიქრებაში დაეხმარება.

უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა ასოციაციური აზროვნების განვითარებას, გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის გონებრივი რუკა, კოგნიტური სქემები, საქმეში ჩართოს იოლად ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსები, კომპიუტერიული პროგრამები თუ ონლაინ ინსტრუმენტები.

როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ჩვენი ტვინი ბუნების ყველაზე იდუმალი და ამოუცნობი ფენომენია. ტვინი უამრავ ინფორმაციას ინახავს, რომლებსაც ადამიანი საჭიროებისამებრ ერთმანეთთან აკავშირებს. რაც უფრო მეტად დაუსახავს პედაგოგი მოსწავლეებს ასოციაციური კავშირების საშუალებით ამოსახსნელ ამოცანებს, მით უფრო გავარჯიშდება ეს უნარი. ამგვარი ამოცანები ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეთა ტვინი მიეჩვიოს ახალი ასოციაციური ბმულების შექმნას, რომლებიც იდეების დაბადებას იწვევს. ხანდახან მართლაც უნათდება ადამიანს გონება და თითქოს არსაიდან ჩნდება გამოსავალი, მაგრამ ამ შემთხვევაში ის, უბრალოდ, ვერ აანა-

ლიზებს თავისსავე არაცნობიერში მიმდინარე პროცესებს. შემთხვევა, რა თქმა უნდა, კანონზომიერი შედეგია ხანგრძლივი, ყოვლისმომცველი და ღრმაზროვანი ფიქრისა, ადამიანს მოსვენებას რომ უკარგავს და ამოძრავებს.

ლეგენდასავით ჰყვებიან ამბავს, როგორ დაეხმარა ხის ქვეშ დასასვენებლად ჩამომჯდარ ნიუტონს მიზიდულობის კანონის აღმოჩენაში ნიავის დაბერვაზე შემთხვევით ჩამოვარდნილი (თუ თავზე დაცემული) ვაშლი. ასე „შემთხვევით“ აღმოაჩინა არქიმედემ ცნობილი კანონი ლეგენდარული შეძახილის თანხლებით: „ევრიკა!“ მასვე მიეწერება ფრაზა: „მომეცით საყრდენი წერტილი და მე დავძრავ დედამიწას!“ ამგვარი თავდაჯერებულობა ყოველ მაძიებელ ადამიანში მხოლოდ აღტაცებას კი არ იწვევს, არამედ აღვიძებს იმის რწმენასაც, რომ შეუძლებელი არაფერია. მასწავლებელმა სკოლაში სწორედ ამ ძიების სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე უნდა იმუშაოს.

„თუ სწორად ივლი, შორს ვერ წახვალ“, – ეუბნება სენტ-ეგზიუპერის პატარა უფლისწული მფრინავს. სწორად სვლა გამორიცხავს იმ უამრავ გზასა და ბილიკს, რომლებიც ახალ სამყაროებთან შეგახვედრებენ. პედაგოგის ამოცანაც ეს უნდა იყოს: არასწორხაზოვან აზროვნებას მიაჩვიოს მოსწავლე – ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვანაირად ახსნა შესთავაზოს, კონტრასტულ და, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებათა შორის ისე გაატაროს, რომ მოსწავლემ თავისი აზრი, დამოკიდებულება არ დაკარგოს. ამისთვის კარგია სხვადასხვა ტიპის დისკუსიის ხშირი გამოყენება, არგუმენტირებული მსჯელობის განმავითარებელი მეთოდების მოხმობა.

საკლასო დისკუსიისას ერთ თემასა თუ საკითხზე შეიძლება სრულიად განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდეს. პედაგოგი არ უნდა შეუშინდეს მოსწავლის გონებაში გაჩენილი თუნდაც რადიკალური და აბსურდული იდეების მოსმენას, მათზე ყურადღების გამახვილებას, კლასში საჯაროდ განხილვას. ხშირად შეიძლება სწორედაც ულოგიკო თვალსაზრისს მოჰყვეს ახალი იდეა. ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიის დარგში ლაინუს კარლ პოლინგი ამ სტრატეგიას ასე გამოთქვამს: „კარგი იდეის მოფიქრების საუკეთესო საშუალება უამრავი იდეის მოფიქრებაა“. როგორც ცნობილია, რაოდენობა ბოლოს ხარისხში გადაიზრდება. თომას ედისონი წერდა: „მე არასოდეს ვმარცხდები. წარმატებით ვიყენებ ათასობით არასწორ ხერხს. ისღა მრჩება, ვიპოვო ერთი სწორი გადაწყვეტილება“. მართლაც, ნათურის გამოსაგონებლად მან 111000-ზე მეტი ექსპერიმენტი ჩაატარა.

შეიძლება, ადამიანის რომელიმე გენიალური იდეა პირდაპირ არ უკავშირდებოდეს მის სხვა იდეებს. შემოქმედებითი პროცესის აღწერის საინტერესო სქემა შექმნეს სოციოლოგ-ფსიქოლოგმა გრემ უოლესმა და მათემატიკოს-ფსიქოლოგმა ჟაკ ადამარომ. მათ უამრავი მეცნიერის მონათხრობი შეისწავლეს და იდეის დაბადების ოთხი ეტაპი გამოკვეთეს:

- **პირველი ეტაპი:** ამოცანაზე კონცენტრირება, ყურადღების ცენტრში ერთი ამოცანის მოქცევა და პრობლემის მაქსიმალურად სწორად ფორმულირება;
- **მეორე ეტაპი:** რადგან მიზანი განსაზღვრულია, ჩამოყალიბებულია, შეიძლება გონების ერთგვარად „მიშვება“, გათავისუფლება, სხვა

> პედაგოგი არ უნდა შეუშინდეს მოსწავლის გონებაში გაჩენილი თუნდაც რადიკალური და აბსურდული იდეების მოსმენას, მათზე ყურადღების გამახვილებას, კლასში საჯაროდ განხილვას. ხშირად შეიძლება სწორედაც ულოგიკო თვალსაზრისს მოჰყვეს ახალი იდეა.

რამეზე გადართვა და არაცნობიერისთვის მუშაობის საშუალების მიცემა;

- **მესამე ეტაპი:** როდესაც ამოხსნა ნაპოვნია, თითქოს გონება ნათდება;
- **მეოთხე ეტაპი:** ნაპოვნი იდეა მოწმდება, ნამდვილად ახალია თუ არა? სწორია თუ მცდარი? აქვს თუ არა რაიმე ღირებულება?

თანამედროვე ნეირობიოლოგია ამ სქემას აღიარებს და, ერთი შეხედვით, რომანტიკისთვის ადგილს არ ტოვებს. თუმცა საიდუმლოს მთლიანად რომ ვერ განდევნის, ამას შემდეგი მაგალითიც მოწმობს. ალბერტ აინშტაინი წერდა: „მეცნიერული აღმოჩენა ხშირად ლოგიკის გზით არ მიიღწევა. ლოგიკურ ფორმას ის მხოლოდ მას შემდეგ იღებს, რაც სიტყვიერად ლაგდება. ყველაზე მცირე აღმოჩენაც კი გასხივოსნების შედეგია, რომელიც ისეთი მოულოდნელია, თითქოს ვიღაცამ გიკარნახა“.

იდეების დაბადებას ხელი რომ შეუწყოს, მასწავლებელმა ხანდახან უკრიტიკოდ ან ნაკლებკრიტიკულად უნდა შეხედოს განსხვავებულ მოსაზრებებს, გონებრივი იერიშის მეთოდის ხშირი გამოყენება მოსწავლეთა ასოციაციური და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულად აქციოს. პრობლემის საკლასო, ჯგუფური განხილვა ხელს უწყობს თვალსაზრისთა გაცვლა-გამოცვლას და ახალ იდეათა წარმოშობას. ამ შემთხვევაში განხილვაში მონაწილე ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება, თანაც ისე, რომ არავინ შეუსწოროს თუ გააკრიტიკოს. ეს უკონფლიქტო დისკუსიის შესანიშნავი ფორმაცაა, რომელიც გაღიზიანების გარეშე მიმდინარეობს. ყველას აქვს განცდა, რომ მისი თვალსაზრისი ღირებულია, ყურადღების ღირსია. იდეების შერჩევა, გაცხრილვა და კლასიფიკაცია მხოლოდ მომდევნო ეტაპზე უნდა მოხდეს. თავდაპირველი ამოცანა კი უნდა იყოს არა სწორი პასუხის უმალვე გამოკვეთა, არამედ პრობლემის მრავალმხრივ წარმოჩენა.

ამგვარი ხერხებით აქტიურდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები. ინტროვერტები და ექსტრავერტები (საკუთარ თავში ჩაკეტილი თუ ლაღი ბავშვები) თანაბრად მონაწილეობენ განხილვაში. მორცხვები სითამამეს იძენენ და აზრის გამოთქმისა აღარ ერიდებათ. მოსწავლეები, რომლებიც მუდმივ ყოყმანსა და ჭოჭმანში იყვნენ და არ იცოდნენ, როგორ მიიღებდნენ გარშემო მყოფნი მათ აზრს (იმ გამოცდილების საფუძველზე, რომ წინათ მათი ყოველი პასუხი კრიტიკულად აღიქმებოდა), ახლა სხვაგვარ გამბედაობას იძენენ. ეს კი საკლასო გარემოს გააუმჯობესებს, საუკეთესო პირობებს წარმოშობს სწავლის პროცესის გასამრავალფეროვნებლად, გადასახალისებლად და ისეთი ნიადაგის შესაქმნელად, რომელზეც მშვენიერი იდეები აღმოცენდება.

ქართველი მასწავლებლები ამგვარი შემოქმედებითი მეთოდების ნაკლებობას რომ არ განიცდიან, ამას მოწმობს არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, ოლიმპიადა თუ სხვა ტიპის ღონისძიება, რომლებშიც ქართველი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შრომა არასოდეს ჩაივლის უნაყოფოდ, თუ მიზანდასახულად, წარმატების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის რწმენით განხორციელდება.

მეგი კავთუაშვილი

სკოლა + ოჯახი = მეგობრებს

წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფომ მანქანით ზოლში მოძრაობა მოგთხოვოთ, მაგრამ ქუჩები არ დახაზოს! საღებავიც კი არ დახარჯოს ზოლების გავლებაზე! თქვენ კი უხილავი საზღვრების დაცვა მოგეთხოვებოდეთ! ანუ იმ წესების დაცვა, რომლებიც არ არსებობს! თქვენ მოძრაობის დროს ქაოსს ქმნიდეთ, ამის გამო კი გსაყვედურობდნენ.

დაახლოებით ასეა სკოლებში მშობელთა ჩართულობის საქმე. საგანმანათლებლო პროცესებში მშობელთა მონაწილეობის არც ერთიანი ცენტრალიზებული სტანდარტი არსებობს და არც თავად სკოლებს გაუწერიათ ოჯახის მონაწილეობის პროგრამები. ასობით სკოლის კარი მშობლებისთვის კვლავ დახურულია და მხოლოდ პარასკევს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, იღება ერთი ან ორი საათით.

სასწავლო პროცესში ოჯახის მონაწილეობა მოსწავლეზე რომ დადებითად აისახება, მეტ-ნაკლებად ყველამ გაიგო, მაგრამ როგორ უნდა ჩაერთონ, ვინ უნდა ჩართოს ან რას ნიშნავს ჩართულობა, მაინც გაურკვეველი რჩება. უყურებენ მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთს, იციან, რომ საერთო საქმე აქვთ, ერთ ქვაბში უნდა მოამზადონ სადილი, მაგრამ ორივეს თავისი რეცეპტი აქვს და არც ერთი მათგანი არ აპირებს ნაცადი ინგრედიენტების გადახედვას.

ყინულის გალღობას დრო სჭირდება.

ხიდის აშენებასაც დრო უნდა.

წესით და რიგით, სკოლა უნდა იყოს ინიციატორი და მთელი ამ აქტივობების მაუწყებელი; სკოლამ უნდა შეიმუშაოს პროგრამები, მიიწვიოს მშობლები, სთხოვოს თანამშრომლობა, გადაამზადოს პედაგოგები, მაგრამ რაკი დრო გადის და ასე არ ხდება, მშობლებს შეუძლიათ, თავად გამოთქვან ინიციატივა. არ ღირს ლოდინი, როდის შემოგთავაზებენ ჩართულობას. თუ ასეთი იდეები გაქვთ, ჯობს, თავად იაქტიუროთ, გაუზიაროთ სკოლას, დამრიგებელს, ადმინისტრაციას.

ვიდრე თანამშრომლობა უფრო მაღალ სტანდარტებზე გადავიდოდეს, ურთიერთობა მარტივი აქტივობებით უნდა დაიწყოს.

ზოგადი წესი: ნებისმიერი ინიციატივით, რომელიც კლასს ეხება, უმჯობესია, მშობელმა ჯერ სხვა მშობლებს მიმართოს და მათი მხარდაჭერა მოიპოვოს, თანამოაზრეებთან ერთად კი სკოლის ადმინისტრაციას და კლასის დამრიგებელს დაელაპარაკოს. სასურველია, პირველი შეხვედრა ვერბალური კომუნიკაციით შემოიფარგლებოდეს, ანუ მშობლებმა ორიოდე სიტყვით აუხსნან სკოლას და მასწავლებელს, რატომ და როგორ სურთ ჩართულობა.

მიზანი შეიძლება გადმოიცეს ასე:

მშობელთა ინიციატივების მიზანია, მშობლებს, შვილებსა და სკოლას მეტი საერთო ინტერესი გაუჩნდეთ; განმტკიცდეს ურთიერთობები და ამაღლდეს შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობლების პოზიტიური ჩართულობის ხარისხი, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობასა და მოსწავლეთა მიღწევებზე.

ან ასე:

> მშობელთა ინიციატივების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას, სკოლისა და ოჯახის მოკავშირეობასა და მეგობრობას.

მშობელთა ინიციატივების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას, სკოლისა და ოჯახის მოკავშირეობასა და მეგობრობას.

ან უფრო მარტივად:

მშობლების მიზანია, აჩვენონ შვილებს, რომ ერთმანეთთან მეგობრობენ და ამით დაამარცხონ კლასში გავრცელებული ბულინგი.

მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანია, მშობლებმა ინიციატივების ჩამონათვალი წერილობით წარუდგინონ სკოლას – მარტივი ინიციატივებისა, რომლებიც მაინცდამაინც დიდ ხარჯს და ბევრი ადამიანის თავისუფალ დროს არ მოითხოვს. გასათვალისწინებელია, რომ მშობელთა ჩართულობა ხელს არ უნდა უშლიდეს გაკვეთილების მიმდინარეობას.

ასეთი აქტივობა მრავალია. მაგალითად:

1. „მკითხველთა კლუბი“

აქტივობას ორი მიზანი აქვს:
ა) ბავშვებმა შეიყვარონ კითხვა;
ბ) წიგნებში აღწერილ რთულ და დელიკატურ საკითხებზე ღიად და თავისუფლად ისაუბრონ უფროსებთან ერთად.

აუცილებელია, ამ აქტივობაში ჩართოთ ქართული ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც სემესტრში ერთხელ მაინც მოაწყობს „მკითხველთა კლუბს“. ამ კლუბის ფარგლებში, კლასის გამოწვევების საპასუხოდ, ქართულის მასწავლებელთან ერთად შეარჩიეთ წიგნი, რომელსაც მშობლები და შვილები ერთად წაიკითხავთ, მერე კი გამართავთ შეხვედრას, სადაც ასევე ერთად განიხილავთ წაკითხულ წიგნს. სასურველია, განხილვები გასვლით შეხვედრებზე მოეწყოს და მათი ფასილიტაცია მასწავლებელმა უზრუნველყოს. შეხვედრის ადგილი შეიძლება იყოს ბიბლიოთეკა, მედიათეკა, მწვანე გარემო ან რომელიმე მოსწავლის სახლი.

2. გასვლითი ღონისძიებები, რომლებიც სკოლის კედლებში ბავშვების რუტინულ ყოფას გაამრავალფეროვნებს

მასწავლებელს იშვიათად რჩება დრო არაფორმალური განათლებისთვის. სამაგიეროდ, მშობლებს ადვილად შეუძლიათ ბავშვებისთვის იმაზე მეტი ინფორმაციის მიწოდება, ვიდრე სკოლის ფანჯრებიდან ჩანს. ამისთვის კი საუკეთესო გზაა შენობიდან მათი ერთობლივი გაყვანა.

სად შეიძლება კლასის წაყვანა?

- მშობელი ერთგვარი რესურსია. თითოეულ მათგანს განსხვავებული სოციალური კავშირები აქვს. შესაძლოა, რომელიმეს საინტერესო სამსახური ჰქონდეს. კარგი იქნებოდა, შვილის თანაკლასელები დაეპატიჟებინა და მათთვის თავისი სამუშაოს სპეციფიკა გაეცნო.





> მშობელთა ინიციატივების მიზანია, მშობლებს, შვილებსა და სკოლას მეტი საერთო ინტერესი გაუჩნდეთ; განმტკიცდეს ურთიერთობები და ამაღლდეს შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობლების პოზიტიური ჩართულობის ხარისხი, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობასა და მოსწავლეთა მიღწევებზე.

- შოკოლადის ან ლიმონათის საწარმოში ექსკურსიის ორგანიზება. ინფორმაცია ბავშვთა ექსკურსიების შესახებ მოძებნეთ ინტერნეტში, ქართულ საწარმოთა ვებგვერდებზე.
- სემესტრში ერთხელ მაინც თეატრში/ოპერაში/მუზეუმში/კონცერტზე ერთობლივი გასვლა, მერე კი ნანახის/მოსმენილის განხილვა. მართალია, ზოგიერთი მშობელი თავად ზრუნავს შვილის სულიერ აღზრდაზე, მაგრამ როცა საქმე კლასში საერთო ინტერესების გაჩენას ეხება, სახელოვნებო ექსკურსიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სასურველია, განხილვა ისე დაიგეგმოს, რომ მშობლებმა და ბავშვებმა ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება შეძლონ.

3. ღირებულებითი განათლების პროექტი

ბულინგის და რელიგიური თუ პოლიტიკური ომების ეპოქაში მნიშვნელოვანია, ბავშვებს თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს აღიარებულ ჭეშმარიტებებზე გავუმახვილოთ ყურადღება, ადამიანის უფლებები იქნება ეს, კონფლიქტების მართვა, მოლაპარაკების ხელოვნება თუ სხვა. კარგი იქნება, თუ მშობლები თავიანთი სოციალური კავშირების გამოყენებით მოახერხებენ და ბავშვებს შეახვედრებენ:

- სახალხო დამცველს ან მისი აპარატის წარმომადგენელს, რომელიც ისაუბრებს ადამიანის უფლებათა შესახებ;
- დიპლომატს, რომელიც ისაუბრებს მოლაპარაკების ხელოვნებისა და კონფლიქტების დიალოგით მოგვარების შესახებ;
- რაგბის კავშირის წევრს, რომელიც ისაუბრებს იმაზე, რატომ გამოდის ეროვნული ნაკრები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელიც აუხსნის მათ პირადი სივრცის დაცვის აუცილებლობას.

4. ექსკურსია, პიკნიკი და გასვლითი გაკვეთილი მშობლების მონაწილეობით

ექსკურსია ის გამონაკლისია, რომლის ორგანიზებასაც სკოლა მშობლებს ანდობს. თუმცა ფორმა, რომელსაც დღეს ვხედავთ: ბავშვები ანიმატორებთან ერთად, ხოლო მასწავლებლები და მშობლები – სუფრასთან, – ანადგურებს ექსკურსიის არსს. მშობლის მონაწილეობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს დაფინანსებით, ავტობუსის მოყვანით და მწვადების შეწვით. მშობლები, შვილები და მასწავლებლები ერთად უნდა ერთობოდნენ. ამისთვის კი მნიშვნელოვანია, წინასწარ შედგეს გეგმა, გაიწეროს თამაშები, აქტივობები, გადანაწილდეს როლები, შედგეს მუსიკის ფლეილისტი და, რაც მთავარია, ცოტა ხნით ყველამ დავიიწყოთ, რომ ზრდასრულები ვართ. ვირბინოთ, ვიხტუნოთ, ვიმღეროთ, ვიხმაუროთ და ვაჩვენოთ ბავშვებს, რომ ჩვენ, მათი მშობლები, ერთმანეთთან ვმეგობრობთ. შესაბამისად, მათაც აქვთ საფუძველი, იმეგობრონ! ამასთან, გარდა ისტორიული ძეგლის მოლოცვა-მონახულება-მნიშვნელობის გაცნობისა, ექსკურსიას შეიძლება ჰქონდეს უბრალოდ პიკნიკის სახე. მაგალითად, ასეთი სახელწოდებით: „სკოლა + ოჯახი = მეგობრებს“.

ჩამოთვლილი აქტივობები დაგეხმარებათ, მოიხსნათ სკოლასთან დაკავშირებული დისკომფორტი. მეგობრული დამოკიდებულება სკოლასა და მშობელს შორის შედეგიანი ურთიერთობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

მშობლებო, ღრმად ამოისუნთქეთ, გათავისუფლდით და გადადგით პირველი ნაბიჯი! ეს თქვენს შვილებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე სისტემის დაქირავებულ რომელიმე თანამშრომელს!

თეა უჩუშაძე

განმავითარებელი შეფასების მეთოდების შესახებ

არჩევანის თავისუფლება და ამ არჩევანზე პასუხისმგებლობა საგრძნობლად ზრდის მოსწავლის მოტივაციას. ყოველი თემის დასრულების შემდეგ აუცილებელია ამ თემის შეჯამება და შეფასება. ამასთან, შეუძლებელია, ერთი და იმავე ტიპის შეჯამების დროს ყველა მოსწავლემ თანაბარი ცოდნა გამოამჟღავნოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ წერითი შემაჯამებელი არ არის საკმარისი მოსწავლეების შესაფასებლად. ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. ეს მეთოდი განსხვავებული შესაძლებლობებისა და მზაობის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოამჟღავნონ ცოდნა, სწრაფად მიიღონ უკუკავშირი და ცოდნა გაიმდიდრონ. თუ რომელიმე მეთოდი არ იქნება მათი ტემპისა და მზაობის შესაფერისი, ისინი სხვას აირჩევენ და ამისი არ შეეშინდებათ.

როდესაც ერთი ან რამდენიმე თემის შეჯამება გვინდა, მოსწავლეს ვთავაზობთ, აირჩიოს მინიმუმ ორი ვარიანტი შემდეგი ოთხიდან:

1. ბლიცი;
2. კითხვა-პასუხი;
3. ამოცანა;
4. ლოგიკა.

ეს არის საშუალება, მოსწავლემ მიიღოს სწრაფი უკუკავშირი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის მოემზადოს. შეჯამების ამ ფორმას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ფუნქცია აკისრია.

- ბლიცი, ძირითადად, ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს
- კითხვა-პასუხი – რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა მასალა და შეიძინეს მისი გამოყენების უნარი.
- ამოცანები მოითხოვს მაღალ საარზროვნო უნარებს. ამით მოსწავლე აანალიზებს და ამთლიანებს თემას.
- ლოგიკა მოსწავლისთვის საშუალებაა იმის შესაფასებლად, რა ისწავლა და ზოგადი დასკვნების გამოსატანად. ეს ერთგვარი აღმოჩენების დავალებებია.

რას გულისხმობს თითოეული მათგანი

ბლიცი შეზღუდული დროის პირობებში კითხვებზე პასუხის სწრაფად გაცემაა. ვირჩევთ ერთ მოსწავლეს, რომელიც დაინიშნავს დროს და მეორე მოსწავლეს, რომელიც სწორ პასუხებს დაითვლის. პასუხის უქონლობის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს, მოითხოვოს მომდევნო შეკითხვაზე გადასვლა. შეცდომის და მომდევნო კითხვაზე გადასვლის შემთხვევაში იქვე ვაძლევთ უკუკავშირს. მოსწავლეს არ უნდა რცხვენოდეს შეცდომის. დროის ამოწურვის შემდეგ ვატყობინებთ მას, მოაგროვა თუ არა დამაკმაყოფილებელი ქულა. ეს ქულა შეიძლება განისაზღვროს კლასის შესაძლებლობის მიხედვით და სხვადასხვა კლასისთვის სხვადასხვა იყოს. მოსწავლეს ვაძლევთ ფერად ბარათს, რომელზეც წერია: „თქვენ გაიარეთ ბლიცრაუნდი“.

ბლიცის კითხვები მოკლეა. ამ კითხვებს ისე ვადგენთ, რომ მოსწავლემ პირდაპირ დაასრულოს მასწავლებლის მიერ დაწყებული წინადადება, რათა არ დახარჯოს ზედმეტი დრო.

> არჩევანის თავისუფლება და ამ არჩევანზე პასუხისმგებლობა საგრძნობლად ზრდის მოსწავლის მოტივაციას.

ნუ გამოვიყენებთ სიტყვებს:

- რას უდრის?
- როგორია?
- რომელია?

მხოლოდ დავიწყოთ წინადადება და მოსწავლეს მივცეთ საშუალება, სწრაფად გააგრძელოს ის ან თქვას: „შემდეგი“.

მაგალითად:



სამკუთხედების თემა. VII კლასი

1. სამკუთხედის კუთხეების ჯამი...
2. ბლაგვკუთხა სამკუთხედში ბლაგვი კუთხეების რაოდენობა...
3. ტოლგვერდა სამკუთხედის ერთი კუთხის ზომა...
4. სამკუთხედის წვეროს მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილთან შემაერთებელი მონაკვეთი...
5. მართკუთხა სამკუთხედში მართი კუთხის მოპირდაპირე გვერდი...
6. მართკუთხა სამკუთხედში მართი კუთხის მიმდებარე გვერდი...
7. მართკუთხა სამკუთხედის მცირე კუთხე, როცა კათეტი ჰიპოტენუზის ნახევარია...
8. სამკუთხედის კუთხის მეზობელი კუთხე...
9. სამკუთხედი, რომლის ორი კუთხე ტოლია...
10. სამკუთხედში მოპირდაპირე გვერდისადმი გავლებული მართობი...

და ასე შემდეგ.



ყოველი თემის დასრულების შემდეგ აუცილებელია ამ თემის შეჯამება და შეფასება. ამასთან, შეუძლებელია, ერთი და იმავე ტიპის შეჯამების დროს ყველა მოსწავლემ თანაბარი ცოდნა გამოამჟღავნოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ წერითი შემაჯამებელი არ არის საკმარისი მოსწავლეების შესაფასებლად. ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.

სიმრავლეების თემა. VII კლასი

1. ორი სიმრავლის საერთო ნაწილი...
2. სიმრავლე, რომელიც ელემენტს არ შეიცავს...
3. სიმრავლიდან აღებული ნაწილი...
4. ყოველი სიმრავლის ქვესიმრავლეა თავისი თავი და...
5. ელემენტთა ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის ერთ ან მეორე სიმრავლეს...
6. თვლის შედეგად მიღებული რიცხვები...
7. მთელ რიცხვთა სიმრავლე აღინიშნება სიმბოლოთი...

და ასე შემდეგ.

კითხვა-პასუხის დროს მოსწავლე დროში აღარ არის შეზღუდული. ის მოისმენს ათ შეკითხვას. კლასის შესაძლებლობისა და მზაობის გათვალისწინებით გადავწყვეტთ, რამდენ სწორ პასუხს მივიჩნევთ საკმარისად. თუ მოსწავლე მიიღებს საკმარის ქულას, მას მივცემთ ბარათს, რომელზეც წერია: „თქვენ გაიარეთ კითხვა-პასუხის რაუნდი“.

მაგალითად:

სამკუთხედების თემა

1. რას უდრის სამკუთხედის გარე კუთხე, თუ მისი ორი არამოსაზღვრე შიგა კუთხე 60 და 80 გრადუსია?
2. რას უდრის სამკუთხედის გვერდები, თუ ისინი ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2:3:4 და პერიმეტრი უდრის 18 სმ-ს?
3. რას უდრის მართკუთხა სამკუთხედის კათეტი, თუ ჰიპოტენუზაა 17 სმ და ერთი კუთხე – 60 გრადუსი?

და ასე შემდეგ.

ამოცანების რაუნდის არჩევისას მოსწავლეს მიეცემა სულ რამდენიმე მოცულობითი ამოცანა და თუ მათ დამოუკიდებლად, ჩვენი ჩარევის გარეშე გაუმკლავდა, გადავცემთ ბარათს, რომელზეც წერია: „თქვენ გაიარეთ ამოცანების რაუნდი“.

ლოგიკის რაუნდი კი არის ზოგადი დასკვნების გამოტანა, თეორემის დამტკიცება, ამოცანის ამოხსნა ან შედგენა პარამეტრების გამოყენებით. ამ რაუნდში ხშირად ერთი დავალებაც საკმარისია. ამ დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა ბარათი: „თქვენ გაიარეთ ლოგიკის რაუნდი“.

მაღალი მზაობის მოსწავლეებმა შესაძლოა ოთხივე რაუნდის გავლის სურვილი გამოთქვან. თუ წერითი განმსაზღვრელი შეჯამების დღეს მოსწავლეს ორზე მეტი ბარათი აღმოაჩნდა, უკვე შეიძლება, ის განმსაზღვრელი შეფასებით შევაფასოთ.

ამ მეთოდის ნაკლია ის, რომ როცა კლასი მრავალრიცხოვანია, საგაკვეთილო დრო საკმარისი არ არის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსწავლეებს არ ეზარებათ დამატებითი დროის გამოძებნა.

ბარათის მიღება გამჭვირვალეა ყველა მოსწავლისთვის. მათ წინასწარ იციან შეფასებისთვის აუცილებელი პასუხების რაოდენობაც.

მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია მე-7-9 კლასების მოსწავლეებთან, ბევრ თემას ერგება და იძლევა მასალის დიფერენცირების საშუალებას. მისი მეშვეობით ვფარავთ ბლუმის ტაქსონომიის ყველა დონეს.

ანა ჯანელიძე

სათამაშო მოედნები – თამაშის მივიწყებული ოაზისები

თამაში უნივერსალური ქცევაა, რომელიც ყველა კულტურასა და დროში გვხვდება. თამაშის ზოგიერთი თეორეტიკოსის მოსაზრებით, ის ევოლუციურად ჩამოყალიბებული ქცევაა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანებისთვის, პრიმატებისა და ბევრი სხვა ცხოველისთვის. ადრეულ განათლებაში არსებული დომინანტური თეორიები თამაშისა და განვითარების მჭიდრო ურთიერთკავშირის ახსნას სხვადასხვა პერსპექტივიდან ცდილობს. ბავშვის განვითარებაში თამაშის განსაკუთრებულ როლზე ემპირიული მტკიცებულებებიც მიუთითებს: სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გრძელვადიანი კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ როდესაც ბავშვებს საკმარისი დრო აქვთ თამაშისთვის, ვითარდება ის უნარები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატებისთვის. თამაშის დროს ბავშვს უვითარდება მოტორული უნარები, წიგნიერება, მეტყველება, თანამშრომლობითი უნარები, შემოქმედებითობა, კონცენტრაციის უნარი, დამოუკიდებლობა და თვითმოვლის უნარ-ჩვევები, ინიციატივა, წარმოსახვა, კრიტიკული აზროვნება, სივრცითი და მათემატიკური წარმოდგენები; უყალიბდება თავდაჯერებულობა და თვითრწმენა; ბავშვები სწავლობენ რიგის დაცვას, კონფლიქტების მოგვარებას, გაზიარებას; თამაში ხელს უწყობს შფოთვის შემცირებას.

ასეც რომ არ იყოს, თამაში მნიშვნელობას მაინც არ დაკარგავდა, რადგან ბავშვებისთვის (და არა მხოლოდ) ბუნებრივი და სასიამოვნო პროცესია, რომელიც ხალისსა და ინტერესს სძენს ყოველდღიურობას.

თამაშის უფლება აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით (მუხლი 31). მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს თამაშის შესაძლებლობა ძალზე შეზღუდული აქვს, რაც სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შიშები, ზედმეტად სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც ფოკუსირებულია ტრადიციულ აკადემიურ უნარ-ჩვევებსა და ინფორმაციის დაზეპირებაზე; ბავშვების მიერ შეთავსებული პასუხისმგებლობა ოჯახურ საქმეებზე; ეკრანული ტიპის მედიაზე დამოკიდებულება და თამაშის ვირტუალურ სივრცეში გადატანა. სამწუხაროდ, ბევრ საბავშვო ბაღში თამაშს ანაცვ-

> თამაში უნივერსალური ქცევაა, რომელიც ყველა კულტურასა და ეროში გვხვდება. თამაშის ზოგიერთი თეორეტიკოსის მოსაზრებით, ის ევოლუციურად ჩამოყალიბებული ქცევაა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანებისთვის, პრიმატებისა და ბევრი სხვა ცხოველისთვის.

ლებენ „მეცადინეობებით“, რომლებიც თითქოსდა ხელს უწყობს ბავშვების „სასკოლო მზაობას“, სინამდვილეში კი ართმევს მათ თამაშის გზით უმნიშვნელოვანესი უნარების განვითარების შესაძლებლობას.

სწორედ ამიტომ თამაშის შესანარჩუნებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სათამაშო მოედნებს. სათამაშო მოედანი, სახლსა და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად, უმთავრეს ადგილს იკავებს ბავშვების ცხოვრებაში, განსაკუთრებით – 12 წლამდე. თუმცა, თუკი საბავშვო ბაღებში, სკოლებში თუ სხვა ტერიტორიებზე მოწყობილ სათამაშო მოედნებს დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ხშირად სივრცე არასაკმარისი ან სათანადოდ მოუწყობელია. საჯარო დისკუსიებში ხშირად გაისმის მშობელთა და აღმზრდელთა კრიტიკა იმის გამო, რომ ბავშვებს ეკრანებთან მეტისმეტად ბევრი დროის გატარების საშუალებას აძლევენ, მაგრამ ამ პრობლემას ისიც განაპირობებს, რომ რეალურად არ არსებობს სივრცეები, სადაც ბავშვებს უსაფრთხო გარემოში მრავალფეროვანი თამაშის შესაძლებლობა ექნებათ. სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სკვერებსა თუ პარკებში სათამაშო მოედნების მოწყობა ხშირად სტანდარტული და საკმაოდ პრიმიტიული მიდგომით ხდება. მათი ფუნქციური და ესთეტიკური დიზაინი გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ამ მიმართულებით არ მუშაობენ ბავშვის განვითარების სპეციალისტები ან სათამაშო მოედნების დიზაინერები. სათამაშო მოედნები თითქმის ყველგან ერთმანეთს ჰგავს: ჭრელი პლასტმასის სასრიალო გორაკები და საქანელები, ამავე მასალის ასაძრომები და პატარა ქვიშის მოედნები. ამასთანავე, ძნელია მათი შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა, დაბალი ხარისხისა და არამდგრადი მასალის გამო ისინი ადვილად ზიანდება, მათი შეცვლა კი საჭიროებისამებრ არ ხდება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში საროსკოა ბავშვის ჯანმრთელობისთვის.

სათამაშო მოედნების დიზაინს დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, თუ გვსურს, ბავშვებს მრავალფეროვანი, საინტერესო თამაშის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი მოწყობა უფრო ძვირი დაჯდება. პირიქით, სხვადასხვა ქვეყნისა თუ ორგანიზაციის გამოცდილება ცხადყოფს, რომ არასტანდარტული, ბუნებრივი და მეორეული რესურსებით შესაძლებელია უფრო იაფად უფრო მდგრადი, ბავშვებისთვის მიმზიდველი და საინტერესო სათამაშო მოედნების მოწყობა.

სათამაშო მოედანს ისევე სჭირდება დაგეგმვა, როგორც ფუნქციური დატვირთვის მქონე ნებისმიერ სხვა სივრცეს. მათმა დიზაინერებმა შეიმუშავეს პრინციპები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სათამაშო მოედნების მოწყობის პროცესში. გთავაზობთ ამ პრინციპების მოკლე მიმოხილვას:

1. სივრცე სხვადასხვა ტიპის თამაშის წასახალისებლად

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვანაირი თამაშის შესაძლებლობა. სხვადასხვა ტიპის თამაში ხელს უწყობს სხვადასხვა უნარის განვითარებას. ამიტომაა მნიშვნელოვანი სათამაშო მოედნების სივრცის დაგეგმვისას და შესაბამისი მოწყობილობების/აღჭურვილობის განთავსებისას სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის საჭირო გარემოებათა გათვალისწინება. ეს პრინციპი ხშირად დარღვეულია, რადგან სათამაშო მოედნები ძირითადად აქტიური ფიზიკური თამაშებისთვის ეწყობა ხოლმე. სასურველია შესაბამისი სივრცის/აღჭურვილობის გათვალისწინება ისეთი ტიპის თამაშებისთვის, როგორიცაა:

ბევრ საბავშვო ბაღში თამაშს ანაცვლებენ „მეცადინეობებით“, რომლებიც თითქოსდა ხელს უწყობს ბავშვების „სასკოლო მზაობას“, სინამდვილეში კი ართმევს მათ თამაშის გზით უმნიშვნელოვანესი უნარების განვითარების შესაძლებლობას.

- აქტიური თამაში: სხეულის მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით, სირბილი, ხტუნვა, აძრომა, სრიალი, ტრიალი, ქანაობა და სხვ.;
- სენსორული თამაში: სხვადასხვა ტიპის ზედაპირთან შეხება, მცენარეებისა და ყვავილების სურნელის ყნოსვა, მუსიკისა და ხმების მოსმენა, საჭმელად ვარგისი მცენარეებისა და ხილის დაგემოვნება, გარემოს, ფერებისა და ფორმების სხვადასხვა კუთხიდან თვალიერება;
- შემოქმედებითი თამაში – ხატვა, გაფერადება, აპლიკაციების დამზადება, წერა, სიმღერა, ცეკვა, დაკვრა და ა.შ.;
- წარმოსახვითი თამაში – გადაცმა, ვითომ-ვითომ თამაშები. სათამაშო სახლები, გემები, თოჯინები და სხვადასხვა ტიპის რეკვიზიტები;
- კონსტრუქციული თამაში – აშენება, ჩამოსხმა/ფორმის მიცემა, მასალის მანიპულაცია, გადასხმა, აწყვა, შეგროვება, შეკრება და სხვ.;
- სოციალური თამაში – საუბარი, გაზიარება, რიგის დაცვა, წესების დამორჩილება, სპორტული თამაშები;
- რეფლექსიური თამაში – ყურება, დასვენება, რეფლექსია, ფიქრი და უბრალოდ სივრცეში ყურება.

2. თვითმყოფადი და „ჩვენი“

სათამაშო მოედნის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ გარემოს, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს მისი როგორც „საკუთარის“ აღქმა, სადაც გარემო ნაცნობი, გასაგები და საამაყოა. ასეთი საბავშვო მოედნები ადგილობრივი კულტურისა და გარემოს იერს ატარებს. ამიტომაცაა პრობლემური ერთ თარგზე მოჭრილი სტანდარტული სათამაშო მოედნების მოწყობა ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში, რადგან ისინი დაშორებულია ადგილობრივ თემსა და მათ გარემოს. სხვადასხვა ტიპის დეტალების გათვალისწინება შესაძლებელია, მაგალითად, წარმოსახვითი თამაშების სივრცეში (მაგ., ბაზრის დახლი, სახლი) და სხვ.

3. შემოქმედებითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა

სათამაშო მოედნები ბავშვებს უნდა აძლევდეს საშუალებას, სივრცე და მოწყობილობები მრავალნაირად გამოიყენონ. ჩვენთვის შესაძლოა სასრიალო მხოლოდ ჩამოსრიალებისთვის იყოს განკუთვნილი, საქანელა კი – ქანაობისთვის, ბავშვებს კი შეუძლიათ ათასი სხვა ხერხის მოფიქრება ამა თუ იმ სივრცის სათამაშოდ გამოსაყენებლად. რაც უფრო მეტი ადგილია შემოქმედებითი ინტერპრეტაციისთვის, მით უკეთესი. სასურველია, სათამაშო მოედანზე უხვად იყოს ე.წ. „თავისუფალი ნაწილების“ ტიპის რესურსი. ეს ისეთი რესურსებია, რომელთა გადაადგილება, შეცვლა და სხვადასხვანაირად გამოყენებაა შესაძლებელი. მაგალითად, ჯოხები, ნაჭრები, ქვები, ყუთები, ნიჟარები ბავშვებს ათასნაირად შეუძლიათ გამოიყენონ.

4. პატარა საიდუმლოებები და სიურპრიზები

ბავშვებს ირგვლივ ყველაფერი აინტერესებთ. პატარ-პატარა დეტალები, რომლებიც დიდებისთვის შეუმჩნეველი რჩება, მათთვის დაკვირვებისა და ინტერესის საგანია. მათ უყვართ ასეთი დეტალების აღმოჩენა, რაც თამაშს კიდევ უფრო საინტერესოს და სახალისოს ხდის. სათამაშო მოედნების მოწყობისას ასეთი მცირე დეტალების გათვალისწინება გარემოს განსაკუთრებულობას სძენს. ეს შეიძლება იყოს ჩიტის ბუდე, ნახატი ღობეზე, პატარ-პატარა სამალავები, ლამაზი კაუჭები და სხვა.

5. სივრცის ნაწილების ურთიერთკავშირი

სათამაშო მოედნის სივრცეებს შორის გადაადგილება მარტივი უნდა იყოს. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს სწორხაზოვნად უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ მათი დამაკავშირებელი გზები ლოგიკურად უნდა მოჩანდეს და ხელს უწყობდეს სივრცეებში ბავშვების გადანაწილებას ისე, რომ რომელიმე ერთი სივრცე ზედმეტად არ გადაიტვირთოს.

6. ზონების დაყოფა ენერგიის დონის მიხედვით

მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის გამიზნული სივრცეები ისე განლაგდეს, რომ ბავშვებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. აქტიური ფიზიკური თამაშებისთვის გამიზნული სივრცე (მაგალითად, სასრიალოები და საქანელები) შედარებით ხმაურიანი იქნება და მის გვერდით ბავშვებს გაუჭირდებათ „მშვიდ“ თამაშში ჩართვა, ხატვა ან უბრალოდ საუბარი. ამიტომ სათამაშო მოედანი სივრცეებად ენერგიისა და ხმაურის დონის მიხედვით უნდა დაიყოს. სივრცეები ერთმანეთისგან ისე უნდა იყოს დაშორებული, რომ ბავშვებს მოედანზე ერთდროულად შეეძლოთ მრავალ სხვადასხვანაირ აქტივობაში მონაწილეობა, ყვირილი, სიცილი, მეგობრებთან საუბარი და მშვიდად ჩაფიქრება.

7. ბავშვებისთვის მიმზიდველი, მაგრამ ვიზუალურ მხარეზე ზედმეტი ყურადღების გარეშე

სათამაშო მოედნები ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ გარემო ბავშვებს სათამაშოდ იწვევდეს. სხვა შემთხვევაში სივრცე უბრალოდ ლამაზი ადგილი იქნება და მთავარ ფუნქციას სათანადოდ ვერ შეასრულებს.

8. გადაკვეთის სივრცეები

ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებათა გათვალისწინება. ეს არ ნიშნავს, რომ თითოეული სანტიმეტრი ყველა ბავშვისთვის ერთნაირად მისაწვდომი იქნება. სათამაშო მოედნის განსაზღვრული სივრცეები განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და თამაშის საშუალებას უნდა აძლევდეს. გადაკვეთის სივრცეების მოწყობისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა შეზღუდულობა, არამედ ბავშვების შესაძლებლობების სხვადასხვა დონე, მაგალითად, საცოცკედელზე შესაბამისი საფეხურების დაყოლება და ა.შ.

9. ბუნებასთან ერთად და არა მის საწინააღმდეგოდ

ბუნება საუკეთესო სათამაშო მოედანია ბავშვისთვის, ამიტომ მოედნების მოწყობის დროს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენებოდეს. ხის მსხვილი ტოტები შესანიშნავია ასაძრომად ან საქანელას დასაკიდებლად, დიდი ქვები კი – ხტუნვა-ხტუნვით სიარულისთვის. შესაძლებელია სათამაშო მოედნების გამდიდრება და გალამაზება ხეებით, ყვავილებით, ბუჩქებით, ხის მორებით... ასევე სასურველია სათამაშო მოედნის ბუნებრივი რელიეფისა და რესურსის მაქსიმალურად გამოყენება დიზაინის პროცესში. მაგალითად, სასრიალოზე ასასვლელი კიბის ფუნქცია შეიძლება გორაკის ფერდობს ან რაიმე შემაღლებას დავაკისროთ; ხის ქვეშ შეიძლება განთავსდეს ქვიშის მოედანი, რათა ბავშვებს ჩრდილში შეეძლოთ ქვიშაში თამაში და ა.შ.

10. აუცილებელი მოწყობილობები და ნივთები

სათამაშო მოედნების დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკული დანიშნულების ისეთ მოწყობილობებსა და ნივთებს, რომლებიც სათამაშო მოედნით სარგებლობისა და მისი მოვლისთვის მნიშვნელოვანია: დაჩრდილული ადგილი, სასმელი წყალი, სკამები უფროსებისთვის, ნაგვის ურნები, თავისუფალი ნაწილებისა და მსგავსი სათამაშო რესურსის შესანახი სივრცეები/კონტეინერები, სათამაშო მოედნის წესები და ნიშნები.

სტატია მომზადებულია ორგანიზაცია Playground Ideas რესურსებზე დაყრდნობით.

რესურსების გასაცნობად ეწვიეთ ორგანიზაციის ვებგვერდს https://playgroundideas.org/dashboard/

ფოტოების წყაროები:

1. https://blog.esi.info/2016/12/20/big-outdoor-musical-instruments-a-guide/
2. https://www.childrenandnature.org/2016/06/03/a-melbourne-natural-playground-named-australias-best-playground/
3. https://www.aspect-studios.com/au/project/pelzer-park-pityarilla-activity-hub/
4. https://www.kidsinadelaide.com.au/marshmallow-park-glen-osmond-road-adelaide/
5. http://www.startupdaily.net/2011/07/playground-ideas/

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ეროვნული ეროვნულაშვილი

ძე

ბებიაჩემი სკოლაუსწავლელი გონიერი ქალი იყო. სწორფერთა მსგავსად და დროების შესაბამისად, სიტყვა გზიანად მოუდიოდა. კითხვაზე პასუხის გაცემისას არასოდეს აჩქარდებოდა, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ნელა, დინჯად, მოზომილად გიპასუხებდა. რომ გეკითხათ, რამდენი შვილი გყავსო, გეტყოდათ, ხუთი შვილი და ორი ქალიო. დღეს შესაძლოა საკვირველი ჩანდეს ასეთი პასუხი, მაგრამ მაშინდელი ყოფისა და დროებისათვის ეს ჩვეული ამბავი გახლდათ. უფრო მეტიც: ქალვაჟის ასეთი დაყოფა მხოლოდ მთაში არ ყოფილა მიღებული – ასევე ითვლიდნენ შვილებს ბარშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ერთი უმნიშვნელო სხვაობით: „შვილს“ ზოგან „ძე“ ცვლიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი აუცილებლად იქნებოდა ის, რომ ძე ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლად მიიჩნეოდა. გვარის გაჩენის აუცილებლობაც ამან განაპირობა. სახელი მხოლოდ ვინმესადმი (ან რამისადმი) მიმართვისთვის არის საჭირო, ის „მშრალად“ ახასიათებს „ობიექტს“, გვარი კი – „თვისებრივად“. ის ინდივიდსა და წინაპრებს შორის გადებული ერთგვარი ხიდია. მაგრამ სახელიცა და გვარიც, ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული, მაინც მოკლებულია უნიკალურობას. ამ კუთხით გვარ-სახელისთვის მამის (და არა დედის) სახელის დამატებაც ვერაფერი შეღავათია, რადგან მაინც შესაძლებელია, ერთ სოფელში ცხოვრობდეს ორი მარინე, ორივე – ფერაძე და ორივე – გიორგის ასული. მაშ, სად არის გამოსავალი? კოდირების უნიკალურ სისტემაში. ასეთი ჩვენ უკვე გვაქვს – ე.წ. პირადი ნომერი.

ცამეტი ციფრისგან შემდგარი რიცხვი შეუიარაღებელი გონებისთვის, ცხადია, არაფრისმთქმელია. ვიწრო წრეში *ვაჟაფშაველა, ოთარანთ ქვრივი* თუ *შინჯიკაანთ მალხა* ზა უფრო ინფორმაციულია, მაგრამ რომელიმე უცხო ქვეყნის საზღვრის დაცვის პოლიციისთვის არც ერთი მათგანი არაფრის მაქნისია.

დღევანდელმა ციფრულ-ტექნოლოგიურმა ეპოქამ კლასიფიკაციის, მათ შორის - მოქალაქეთა კლასიფიკაციის, უნიკალური სისტემების შემოღების აუცილებლობა განაპირობა.

როგორ არის საქმე სხვა დარგებში? მაგალითად, ქიმიაში ნაერთების სახელდებისას? ქიმიის გარიჟრაჟზე, როცა ნაერთებზე უმთავრესად მეცნიერების ორღობეებში საუბრობდნენ, მათაც ასეთივე პრინციპით მოიხსენიებდნენ. ზოგიერთი სახელი დღემდე შემორჩა: ჭიანჭველამჟავა, ძმარმჟავა, კაპრონმჟავა, აჯასპის ზეთი, გოგირდის ეთერი... ნაერთების ასეთი სახელდება დღეისათვის მეტისმეტად არაპრაქტიკულია. როგორ გინდა დაიმახსოვრო ზეპირად 23 მილიონი ნაერთის დასახელება?!

ამიტომ გაჩნდა ნაერთთა ნომენკლატურის ჯერ აუცილებლობა, მერე კი წესების დამდგენი ორგანოც – IUPAC. ამ უკანასკნელის დამსახურებით მოწესრიგდა ნაერთთა სახელდების წესები, შემუშავდა განსაზღვრებები და სტანდარტები, შეიქმნა ნაერთების სახელდების ენა, რომელსაც აქვს თავისი გრამატიკა, ორთოგრაფია, სტილისტიკა, პუნქტუაცია... მისი წყალობით აღარ გვიწევს ნაერთთა სახელების დაზეპირება - ნომენკლატურის შემუშავებული კოდექსის მიხედვით შეგვიძლია დავასახელოთ ნებისმიერი ნაერთი ან დავწეროთ მისი სტრუქტურული ფორმულა, თანაც ისე, რომ ნაერთის წარმომავლობაზე მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს.

ამ წესების მიხედვით დასახელებული ნაერთი, ჩანს, „ვისი გორისაა“, თანაც მთელი დუნიისთვის გასაგებად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე. ორი მარინა ფერაძის ერთმანეთში არევამ რამდენი შფოთი გამოიწვია, ხომ გახსოვთ? წარმოიდგინეთ, რამხელა გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს, თუ ერთმანეთში ავურევთ სამკურნალო და ტოქსიკური ან ფეთქებად და ინერტულ ნაერთებს.

IUPAC-ის კოდექსი გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს შეიქმნა და ყოველწლიურად იხვეწება და ივსება ახალი ნაერთების აღმოჩენის გამო. უკვე რამდენიმე ათეული წელია გვაქვს ეს წესები, მაგრამ საბოლოოდ ჯერაც ვერ გვითქვამს უარი ზოგიერთი ნაერთის „ფამილარულ“ სახელზე. ეს მხოლოდ ინერციის ბრალი არ არის – სამწუხაროდ, ახალდაბეჭდილ სახელმძღვანელოებშიც მრავლადაა გაპარული ასეთი „შეცდომა“. არადა, დროა, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ ქიმიური ნომენკლატურის ლექსიკის არქაიზმებსა და ბარბარიზმებზე.

სულ ცოტა მონდომებაა საჭირო. თუ დრომოჭმული სახელების ტირაჟირებას აღარ მოვახდენთ, ახალი თაობა თავისუფლების მოედანს ლენინის მოედნის სახელით აღარ მოიხსენიებს.

ნინო ჭიაბრიშვილი

მტკიცე ხასიათის ბავშვი

მტკიცე ხასიათის შვილი გყავთ? როგორ გაგიმართლათ! ასეთ ბავშვთან ურთიერთობა ადვილი არ არის, თუმცა მგრძნობიარე მშობლის ხელში ის არაჩვეულებრივ მოზარდად და ზრდასრულად იქცევა. თვითმოტივირებული და შინაგანი მიმართულების მქონე, დასახულ მიზანს მიჰყვება და თანატოლთა ზეწოლასაც არ განიცდის. თუ მშობელი არ დანებდება შვილის „მორჯულების“ იმპულსს, შესაძლოა, მის ლიდერად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

გთავაზობთ მშვიდობიანი მშობლობის 12 წესს თქვენი მტკიცე ხასიათის მქონე ენერგიული შვილისთვის:

1. თქვენი შვილი გამოცდილებით სწავლობს. თუ სერიოზული საფრთხე არ ელის, აჯობებს, გამოცდილებით სწავლის ნება მისცეთ, ვიდრე მისი კონტროლი სცადოთ. თქვენ მიერ დაწესებულ საზღვრებს მრავალჯერ შეამოწმებს, რადგან სწორედ ასე შეიმეცნებს მათ. თუ ეს გეცოდინებათ, სიმშვიდეს უფრო ადვილად შეინარჩუნებთ, რაც ურთიერთობისა და ნერვების დაზოგვაში დაგეხმარებათ.

2. ყველაზე მეტად საკუთარი თავის მართვა სურს. ნება მიეცით, აიღოს პასუხისმგებლობა რაც შეიძლება მეტ ქმედებაზე. ნუ წაუკითხავთ გრძელ და უსარგებლო მონოლოგებს კბილების გამოხეხვაზე. უმჯობესია, ჰკითხოთ: „კიდევ რა უნდა გააკეთო სკოლაში წასვლამდე?“ პასუხს ჯიუტად ნუ დაელოდებით, მოკლედ შეახსენეთ: „ყოველ დილით ვსაუზმობთ, კბილებს ვიხეხავთ, საპირფარეშოში შევდივართ და ჩანთას ვილაგებთ. ვხედავ, ჩანთა უკვე ჩაგილაგებია. შესანიშნავია! კიდევ რა უნდა გააკეთო წასვლამდე?“

როცა ბავშვი დამოუკიდებლობასა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას გრძნობს, დაპირისპირების მიზეზიც უქრება. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამგვარად პატარაობიდანვე ეჩვევა პასუხისმგებლობას.

3. მიეცით არჩევანი. თუ ბრძანებებს გასცემთ, დიდი ალბათობით, შვილი აიჯაგრება. თუ არჩევანს მისცემთ, საკუთარი ბედის ბატონ-პატრონად იგრძნობს თავს. ცხადია, ისეთი არჩევანი უნდა მისცეთ, რომელიც სიცოცხლის ხალისს არ დაგაკარგვინებთ და ძალაუფლების გადაცემის გამო საკუთარ თავზე არ გაგაბრაზებთ. თუ მაღაზიაში წასვლა განხილვას არ ექვემდებარება, მას კი თამაშის გაგრძელება სურს, კარგი იქნება, თუ ჰკითხავთ: „ახლა გინდა წასვლა თუ ათი წუთის შემდეგ? კარგი, ათი წუთი და არავითარი წუწუნი! შევთანხმდით... ვიცი, რა ძნელია, ათ წუთში მორჩე თამაშს, შემიძლია, რამით დაგეხმარო?“

4. დაუთმეთ საკუთარ სხეულზე ბრუნვის უფლება. „მესმის, ჟაკეტის ჩაცმა არ გინდა... მაგრამ დღეს, მგონი, ცივა და მეც მაცვია ჟაკეტი. რა თქმა უნდა, საკუთარ სხეულზე თავად ხარ პასუხისმგებელი და საკუთარი ჯანმრთელობაც გადარდებს, ამიტომ თავად უნდა გადაწყვიტო, ჩაიცვა თუ არა ჟაკეტი. უბრალოდ, ვშიშობ, რომ გარეთ შეგცივდება, მე კი არ მინდა, მალევე დავბრუნდეთ შინ. რას იტყვი, ჟაკეტი რომ ჩანთაში ჩავდოთ იმ შემთხვევისთვის, თუ გადაიფიქრებ?“

თქვენს შვილს ანევმონია არ დაემართება, თუ გამარჯვებულის როლით არ აღფრთოვანდებით, როცა ის ჟაკეტის ჩაცმას მოგთხოვთ. საკუთარი თავის პატივისცემა და ღირსება არ შეებღალება და აუცილებლად გთხოვთ ჟაკეტს, როგორც კი შესცივდება. მას უჭირს იმის წარმოდგენა, როგორ ცივა გარეთ, როცა სახლში ასე თბილა და ჟაკეტი სრულიად ზედმეტ და უსარგებლო ტვირთად ეჩვენება. დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში — სხეულიც ამას კარნახობს და, ბუნებრივია, გეწინააღმდეგებათ. ცხადია, არ გსურთ მისი თავდაჯერების შერყევა, ამიტომ უნდა ასწავლოთ, რომ სულაც არ არის სამარცხვინო, თუ ახალი ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას შეიცვლის.

5. რუტინისა და წესების მეშვეობით თავიდან აიცილეთ ძალაუფლებისთვის ბრძოლა. ცხადია, არ ხართ ის უხეირო „მეფე“, რომელიც მხოლოდ ბრძანებებს გასცემს: „წესია, საპირფარეშოში ყოველი ჭამის შემდეგ შევიდეთ“; „განრიგის მიხედვით, შუქს საღამოს რვა საათზე ვანთებთ. თუ იჩქარებ, წიგნის წაკითხვას დღის შუქზე მოასწრებ“; „საშინაო დავალებებს ტელევიზორის ყურებამდე ვრჩებით“.

6. ნუ ჭრავთ ხელს „მოწინააღმდეგის ბანაკისკენ“. ძალადობას ნებისმიერი ასაკის ადამიანი ეწინააღმდეგება. თუ შეუვალი იქნებით, შესაძლოა, თქვენი შვილი „მოწინააღმდეგე მხარეს“ აღმოჩნდეს მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი სიმართლე დაიცვას. დარწმუნებული ვარ, მშვენივრად ხვდებით, როდის ილახება საზღვარი და იწყება ძალაუფლებისთვის ბრძოლა. შეჩერდით, ღრმად ჩაისუნთქეთ და საკუთარ თავს შეახსენეთ, რომ თქვენი ურთიერთობა შვილთან ბრძოლის მოგებას ეწირება.

მშვიდად უთხარით: „კარგი, ისე მოიქეცი, როგორც გსურს“. თუ თავად ვერ წყვეტს, აუხსენით, რა „ულუფაზეა“ პასუხისმგებელი ან მოძებნეთ სხვა გზა, რომ ავტონომიის მოთხოვნილება საკუთარი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯზე არ დაიკმაყოფილოს.

7. ძალაუფლებისთვის ბრძოლისას განზე გადექით და შვილს ღირსების შენარჩუნების საშუალება მიეცით. არ გჭირდებათ იმის მტკიცება, რომ მართალი ხართ. თქვენ შეგიძლიათ და უნდა გქონდეთ კიდეც გონივრული მოლოდინი, რომელსაც გაამართლებთ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ შვილის ნებისყოფის გატეხვას ან მისთვის თქვენი შეხედულებების თავს მოხვევას. უნდა გააკეთოს ის, რასაც სთხოვთ, მაგრამ დაუტოვეთ უფლება, ამის შესახებ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება ჰქონდეს.

8. მოუსმინეთ. ალბათ, გონივრული იქნებოდა გეფიქრათ, რომ, როგორც ზრდასრულმა, უკეთ იცით, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი შვილის მტკიცე ნებისყოფას, ნაწილობრივ, მისივე სიმართლე და მტკიცე ზნეობრივი პრინციპები განაპირობებს. მას საკუთარი შეხედულება აქვს და ცდილობს, დაიცვას ის, რაც მნიშვნელოვნად ეჩვენება. მხოლოდ მშვიდად მოსმენითა და მისი სიტყვების გააზრებით გაიგებთ, რატომ გეწინააღმდეგებათ.

ეცადეთ, მიუკერძოებელი იყოთ და განსჯის ნაცვლად გაუგოთ: „ვიცი, სააბაზანოში შესვლა არ გინდა. შეგიძლია მითხრა, რატომ?“ იქნებ მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინოთ, მაგალითად, სააბაზანოში მარტო ყოფნის შიში. შესაძლოა, ეს თქვენთვის არა, მაგრამ მისთვის წონიანი მიზეზი იყოს. ამას ვერასოდეს გაიგებთ, თუ შვილთან ცხარე დაპირისპირებას აირჩევთ და სააბაზანოში შესვლას უბრძანებთ.

9. შეხედეთ სამყაროს მისი თვალით. შესაძლოა შვილი იმის გამო ბრაზობდეს, რომ სუპერმენის მოსასხამის გარეცხვას შეჰპირდით, მაგრამ დაგავიწყდათ. თქვენი

აზრით, ის ჯიუტობს; მისი აზრით, სამართლიანად არის ნაწყენი – ფარისეველი ხართ, რადგან მას პირობის შეუსრულებლობას არ პატიობთ, თავად კი ადვილად არღვევთ.

როგორ უნდა დაიხსნათ თავი ამ სიტუაციიდან? გულწრფელად მოუბოდიშეთ პირობის შეუსრულებლობის გამო, დაარწმუნეთ, რომ ძალიან ეცდებით შეცდომის გამოსწორებას და ბოლოს ერთად გარეცხეთ მოსასხამი. შეიძლება, საკუთარი ტანსაცმლის გარეცხვაც კი ასწავლოთ მომავალში მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და რეცხვის უფლებამოსილების მისთვის გადასაცემად.

ისე მოექეცით შვილს, როგორც გსურთ, გექცეოდნენ თქვენ.

10. ასწავლეთ ურთიერთობით და არა დასჯით. ბავშვები „საომარ ვითარებაში“ ვერ სწავლობენ. როცა ადრენალინი მძლავრობს, სწავლის ადგილი არ რჩება. ბავშვს სურს, საკუთარი ქცევით უფროსი გაახაროს. რაც უფრო ხშირად გაუმართავთ ორთაბრძოლას და დასჯით, მით უფრო შეასუსტებთ მის ამ კეთილშობილურ სურვილს.

თუ ნაწყენია, დაეხმარეთ ტკივილის, შიშის, იმედგაცრუების გამოხატვასა და დაძლევაში. ისიც მზად იქნება, მოგისმინოთ, როცა შეახსენებთ, რომ თქვენს ოჯახში ერთმანეთს თავაზიანად ეპყრობიან (ცხადია, მაგალითი თქვენ უნდა იყოთ. შვილი ყოველთვის იმას არ გააკეთებს, რასაც ეუბნებით, მაგრამ გააკეთებს იმას, რასაც თქვენ აკეთებთ).

11. აჩვენეთ პატივისცემა და თანაგანცდა. მტკიცე ხასიათის ბავშვების უმრავლესობა პატივისცემისთვის იბრძვის. თუ პატივისცემით მოეპყრობით, ბრძოლის მიზეზი აღარ ექნებათ. ნებისმიერი ჩვენგანის მსგავსად, მათთვისაც მნიშვნელოვანია, გრძნობდნენ, რომ ესმით მათი. მაშინაც კი, როცა ფიქრობთ, რომ მისი პოზიცია არასწორია, – მაგალითად, სუპერმენის მოსასხამით სურს ეკლესიაში წასვლა, – ნაწილობრივ თანაუგრძნობთ და იმავდროულად საზღვრებს უწესებთ: „მესმის, ეს მოსასხამი მოგწონს და გინდა, სულ გეცვას, მაგრამ როცა ეკლესიაში მივდივართ, ჩაცმულობითაც გამოვხატავთ პატივისცემას, ამიტომ მოსასხამს იქ ვერ ჩაიცვამ. რას იტყვი, ჩანთით რომ წამოიღო და გზაში ჩაიცვა?“

12. ფაქიზი ძაფები. თუ შვილი ვერ გრძნობს ფაქიზ კავშირს, ის არც მშობლის მზრუნველობას აღიარებს. ეს განსაკუთრებით მტკიცე ხასიათის ბავშვებს ეხებათ. 21 წლის ასაკში ჩემმა ქალიშვილმა მითხრა: ჩემი მშობელი სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, დამნაშავე გავმხდარიყავიო. არა მგონია, მართალი იყოს, თუმცა მისი მშობლობა ნამდვილად არ ყოფილა ადვილი. ის მხოლოდ „ცივილიზებულ“ გავლენას ემორჩილებოდა, რადგან ვუყვარდი და პატივს მცემდა. ვფიქრობ, ურთიერთობა მუდამ ყველაზე ეფექტური გზაა მტკიცე ხასიათის ბავშვზე გავლენის მოსახდენად.

გეჩვენებათ, რომ ეს დამთმობი მშობლის ქცევაა? ასე არ არის. თქვენ აწესებთ საზღვრებს, მაგრამ ითვალისწინებთ შვილის შეხედულებას და ამით თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო ამყარებთ. უხეშობის მიზეზი უბრალოდ არ არსებობს. დალაი ლამა ამბობს: „იყავი კეთილი, როცა შესაძლებელია. ეს კი ყოველთვის შესაძლებელია“.

წყარო: https://www.ahapa-renting.com/parenting-tools/positive-discipline/Parenting-Strong-Willed-Child

ᲨᲘᲠᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ

„თემას არ გადაუხვიო“

ანუ როგორ წავშალოთ სასკოლო შტამპები

გახსოვთ სტერეოტიპული ფრაზები სასკოლო ცხოვრებიდან: „თემას არ გადაუხვიო“, „თემას არ ასცდე“? თითქოს ყველაფერი სწორხაზოვანი იყო და გადახვევა დროის კარგვას ნიშნავდა. შეშინებული, გამუდმებით წონიდი სიტყვებს, რომ მასწავლებელს არ მოსჩვენებოდა, თითქოს ამა თუ იმ პერსონაჟზე საუბრისას „თემას გადაუხვიე“ – ეს კარგს არაფერს მოასწავებდა.

არადა, სწორედ „თემიდან გადახვევაა“ ძალიან მნიშვნელოვანი შემეცნებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ავითარებ ასოციაციურ აზროვნებას და შეგიძლია დაძებნო ანალოგია, მაგალითად, ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის. ეს ეხმარება ადამიანს ახალი გამოცდილების მიღებაში, სამყაროსა და ცხოვრების ფართო რაკურსით დანახვაში, რაც მომავალში მის სწორ არჩევანს განაპირობებს. ფართო გაგებით, ეს მეტაფორაცაა: აღმოაჩინო ცხოვრებისეული და ლიტერატურული საგნების, ფაქტებისა და მოვლენების კავშირი.

„თემიდან არ გადაუხვიო“ – ეს სასკოლო შტამპი ვრცელდება ცხოვრებაზეც, ოდნავ იცვლის სახეს და იქცევა ახალ, თუმცა იმავე შინაარსის სტერეოტიპად: **„გზიდან არ გადაუხვიო“, „გზას არ ასცდე“.**

თუ არც თემიდან და არც გზიდან არ გადაუხვიე, როგორ უნდა შეიმეცნო ცხოვრება? ისიც სტერეოტიპია, რომ „გზიდან გადახვევას“ ჩვენს კულტურაში მაინცდამაინც ნეგატიური შეფერილობა აქვს. ეს ნიშნავს: „თავი დაიღუპა“. როგორ შეიძლება, გაგება ასეთი ცალსახა იყოს? თუ იტყვით, გამოცდილების საფუძველზეო, ისიც უნდა ახსნათ, რომლის. სკოლაში რომ გვასწავლიდნენ, „თემისთვის არ გადაგვეხვია“? ხშირად ე.წ. გამოცდილება ეფუძნება შიშსა და წინასწარგანწყობას, „რა იცი, რა ხდებას“ ფილოსოფიას და არა რეალობას. გზიდან რომ არ გადაუხვიო, უნდა იცოდე, საით მიდიხარ და რომელი გზა მიგიყვანს იქ. სანამ ეს გზა არ გიპოვია, მანამდე „გადახვევა“ ძიების თანმხლები ბუნებრივი პროცესია.

გახსოვთ მშვენიერი მულტფილმი – **„ზღარბი ნისლში“**? მეგობართან მიმავალი მთავარი პერსონაჟი ნისლში თეთრ ცხენს რომ დაინახავს და „გზიდან გადაუხვევს“? გადახვევა ერთგვარ ხიფათთანაა დაკავშირებული, ამიტომ მხოლოდ გამბედავები უხვევენ გზიდან. მხდალები მუდამ გატკეპნილი გზით დადიან.

ერთხელაც ცხოვრება არჩევანის წინაშე დაგაყენებთ – გინდათ თუ არა, მოგიწევთ, რომელიმე გზა ამოირჩიოთ. ვთქვათ, გზა დაგებნათ (მეტაფორულად ან რეალურად). როგორ მოიქცევით? დადგებით და დაელოდებით, როდის გამოჩნდება „მხსნელი“? უკვე „გადახვეულ“ გზას ადგახართ; არ გაგრძელებთ სვლას? გაჩერდებით? მიმართულების არჩევა მოგიწევთ და აქ ინტუიციასა და ლოგიკას უნდა ენდოთ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დასასრული მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ჩვენ რომელიმე გზას ვირჩევთ და მივყვებით.

ტყეში შევედით და დავიკარგეთ... რას ვაკეთებთ? ცხოვრებაში „შევედით“ და დავიკარგეთ... როგორ გავაღწიოთ ულრანი ტყიდან? ზღარბმა მოახერხა ტყეში შესვლა, დაკარგვა, ფათერაკების გადალახვა და დაბრუნება... ჩვენც მოვახერხებთ.

ტყეში დაკარგვაზე ერთი იგავი გამახსენდა. იგავი ხუთ ბრძენზეა, რომლებიც ტყეში დაიკარგნენ და შინ დასაბრუნებელ გზას ეძებენ.

პირველმა თქვა: „მე მარცხნივ წავალ – ინტუიცია მკარნახობს ამას“. *მეორემ თქვა:* „მე მარჯვნივ წავალ, ეს უფრო სწორ გზად მეჩვენება“. *მესამემ თქვა:* „მე უკან გავბრუნდები, იქით, საიდანაც მოვედით, და საშშვიდობოს გავაღწევ“. *მეოთხემ:* „მე წინ წავალ, ბოლოს და ბოლოს, ტყე ხომ დასრულდება და რაღაც ახალი გამოჩნდება“. *მეხუთემ თქვა:* „არასწორად მსჯელობთ, დამელოდეთ ცოტა ხანს...“ და ყველაზე მაღალ ხეზე ავიდა (ამასობაში დანარჩენები არჩეულ გზას დაადგნენ) გარემოს დასაზვერად. იქიდან ყველა გზა კარგად ჩანდა, მათ შორის – უმოკლესიც. და მეხუთე ბრძენმა ჩათვალა, რომ მის გარდა ყველა ცდებოდა, მაგრამ...

მაგრამ ყველა ბრძენი მართალი იყო. ადამიანები სხვადასხვანაირები არიან და სხვადასხვა გზას ირჩევენ, რითაც უნიკალურ გამოცდილებას იღებენ. ამ ხუთმა ბრძენმაც სხვადასხვა გამოცდილება მიიღო: ერთმა ხელუხლებელი სანახები აღმოაჩინა, მეორე ყაჩაღებს გადაეყარა და ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება შეცვალა, მესამე უბრალოდ ტყეში სიარულით დატკბა, მეოთხე პრობლემის სწრაფად მოგვარების სპეციალისტი გახდა...

▷▷ დასასრული 30-ე გვერდზე

დათო გორგილაძე

მარტოხელა მწყემსი

ლითონის ბედაურების უსასრულო წყება ტალახის მდინარესავით მდორედ მიედინება ჭავჭავაძის გამზირზე. იგრძნობა, რომ მძღოლები ძლივს იოკებენ სურვილს, რკინის ცხენებს მათრახი გადაუჭირონ და გააჭენონ – პედალს ბოლომდე დააჭირონ ფეხი. ეს თბილისია, მძღოლები ერთდროულად მანქანებზეც სხედან და ნერვებზეც. 18:00-დან 20:00-მდე ჭავჭავაძე ყველაზე ხმაურიანი ადგილია. თუ ფეხით მოსიარულე ამ დროს აქ მოხვდი, ისე უნდა მოიქცე, როგორც გამოცდილი ბედუინი უდაბნოში ქვიშის ქარიშხლის მოახლოებისას – შედარებით წყნარი ადგილი მოძებნო და ბუნების მიყუჩებას დაელოდო.

აურზაურს რომელიღაც ეზოში ვემალები, სადაც მყუდრო ჩამოსაჯდომი ვნახე. ყურსასმენები მიკეთია, მანქანების ღმუილსა და სიგნალებს „მოკალი ბილის“ საუნდტრეკით, „მარტოხელა მწყემსით“ ვფარავ. დიდი ხანია, ვხედავ, რომ შორიდან ვიღაც მიახლოვდება. თითქოს მთელი დღეა მოიწევს სვენებ-სვენებით და სადაცაა, მიზანს მიაღწევს. ცოტაც და ჩემ წინ მოხუცი ქალი ჩნდება, წელში ნამგალივით მოხრილი. ქვედა კიდურები სამზარეულოს მორყეული სკამის ფეხებივით უყანყალებს და მეჩვენება, რომ ნიავიც წააქცევს. რაღაც აწუხებს, უთქმელადაც იგრძნობა. რაღაც რევმატულ ტკივილებზე მეტი. ასეთ ტკივილს მედიცინა ვერ უმკლავდება.

– ბებო, შეიძლება დავჯდე? – მეკითხება.

– რა თქმა უნდა, დაბრძანდით. დაგეხმაროთ?

ბებიაჩემის გარდაცვალების შემდეგ მოხუცებისადმი განსაკუთრებული გულჩვილობა დამჩემდა. ეს სისუსტე იქამდეც მქონდა, მაგრამ ერთი წელია, ყველა მოხუცი რუსიკო მგონია. რატომღაც მგონია, მცდის, როგორ მოვიქცევი, რას ვიზამ. ქალი ცდილობს, გული დაიმშვიდოს, დახმარებაზე კი ცივ უარს მეუბნება: „მე თვითონ, მე თვითონ“. გაჭირვებით ჯდება ხის სკამზე და ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს ძველ შენობას ძლიერი მიწისძვრის შემდეგ აგურის ნაფშვნები დასცვივდა. ყურსასმენებს ვიხსნი – ამგვარად თანავუგრძნობ მის წლებს. „მარტოხელა მწყემსის“ მელოდია ძლივსღა ისმის, მორიგი სიგნალის დროს კი სულმთლად იკარგება.

– ოთხმოცდარვა წლის ვარ, ბებო. ჩემი ასაკის ხალხი, ვინც ცოცხალია, ველარ ინძრევა. მე ჩიტივით ვარ.

თანხმობის ნიშნად ვუღიმი და უკვე ძეხორციელი ველარ გადამარწმუნებს, რომ ეს ქალი ბებიაჩემი არ არის. „მეთამაშება, როგორც სიცოცხლეში იცოდა ხოლმე“, – ვფიქრობ.

– ბებო, მესამე სართულზე აიხედე, მწვანედ შეღებილი მოაჯირი აქვს, შუქი ანთია?

– არა, ჩამქრალია.

– არ მოსულან ალბათ.

– გნებავთ, დავურეკოთ?

– არა, მაქვს ტელეფონი. დამირეკავენ, როცა მოვლენ.

მოხუცი ამბის მოყოლას იწყებს და ვხვდები, რომ ლიტერატურამ დიდი მთხრობელი დაკარგა. კი არ ჰყვება, წიგნს გაკითხებს. ვიგებ, რომ ჩაბნელებული ფანჯრის მიღმა მისი შვილი, სიძე და შვილიშვილები ცხოვრობენ. შვილი ორმოცდათვრამეტი წლისაა, სიძე – მასზე უფროსი. ყველას თავისი საქმე აქვს და, როგორც მოხუცი ამბობს, ცხოვრებისთვისაც არ სცალიათ.

– მოვაბეზრე თავი, მაგრამ რა ვქნა. ბებრებსაც შივდებათ.

– მაღაზიაში შევირბენ და გიყიდით რამეს.

– არა, – ამბობს და ხელს მკაცრი მასწავლებელივით იქნევს, – მანდ იჯექი! მოვლენ მალე.

ქალი თხრობას განაგრძობს: „ჩემს გოგოს ორი უმაღლესი დავამთავრებინე, ერთი – აქ, ერთი – მოსკოვში. იქ მუშაობდა კაი ხანს. პედიატრია. ძალიან კარგი პედიატრი. კაი ფულს შოულობს, მაგრამ დედა კი მოიბეზრა. შევარცხვინე ეგეთი ფული. საღამოობით ვაკითხავ ხოლმე, ცოტას მოვეფერები ყველას და მივბრუნდები მერე ჩემს სოროში, სახლი რო ქვია“.

მე თან გაფაციცებით ვუსმენ, თან მესამე სართულის ფანჯრებს მივჩერებივარ უიმედო შეყვარებულივით და სწორედ მაშინ, როცა ქალი ქმრის უცაბედი გარდაცვალების ამბავს მიადგება, ვხედავ, რომ ფანჯრებში სინათლე ფეთქდება. ბავშვივით მიხარია.

– აი, მოვიდნენ, – ვამბობ.

მოხუცი ძველ NOKIA-ს იღებს და მთხოვს, ნომერი ავკრიფო. სასამართლოს სტენოგრაფისტივით სწრაფად ვკრეფ ციფრებს და ტელეფონს ვუბრუნებ. ქალი საკუთარ შვილს, რომელსაც, როგორც ირკვევა, თამრიკო ჰქვია, სთხოვს, ბავშვმა ჩამომაკითხოს და ლიფტით ამიყვანოსო. „ეტყობა, კლაუსტროფობია აქვს“, – ვფიქრობ და თან მიხარია, დიდხანს რომ არ მოუწევს აქ ჯდომა. უცებ მოხუცი ტელეფონს მაწვდის.

– დაელაპარაკე, ბებო, დავყრუვდი კიდეც, ყველა სიკეთესთან ერთად.

თამრიკო, რომელსაც მოხუც იაპონელ მაფიოზიზე ბოხი ხმა აქვს, ხაზის მეორე ბოლოდან აღელვებული მეუბნება, რომ ჯერ შინ არ არიან და გვიან დაბრუნდებიან. „არ დაგველოდოს, ხვალ მოვიდეს“, – ამბობს და და ტელეფონს თიშავს.

მყისიერად ავხედე ფანჯარას და დავინახე, როგორ გაქრა ოთახში სინათლე. თითქოს თამრიკომ ალბუს დამბლდორის ილუმინატორი გამოიყენა. ენა ჩამივარდა.

– რაო, რა თქვა? – მკითხა ქალმა.

ფანჯარას მივჩერებოდი, სანამ კითხვა არ გამიმეორა და იძულებული არ გავხდი, სიტყვა დამეძრა.

– შინ არ ვართო. გვიან მოვალთო.

– როდისო? – გამომცდელი მზერით მკითხა.

– ხვალ მოვიდესო, დამაბარეს.

მოხუცმა მიწას დახედა, რომელშიც ოც წელზე მეტი ხნის წინ ჩაეწვინა ქმარი, თუმცა საქორწინო ბეჭედი დღემდე უელავდა დაჩირულ თითზე.

– ალბათ მომეჩვენა სინათლე, – ვუთხარი.

– არ მოგჩვენებია, ბებო. მოვბეზრდი, მოვბეზრდი...

მოხუცმა კიდევ ერთხელ მკაცრად იუარა დახმარება, მხოლოდ წამოდგომისას ხელის შეშველება მთხოვა და როცა შეძლებისდაგვარად მყარად დადგა ფეხზე, მითხრა:

– შენ არ მოგბეზრდეს, ბებო, დედაშენი.

– მე დედა აღარ მყავს, – ვუთხარი დაუფიქრებლად.

ქალის სახეზე ერთდროულად დაიხატა სევდა და გამოცდილება.

– აფსუს, რა პატარა ხარ სამაგისოდ. მშვიდად წავიდა?

– მგონი, დარდებით.

– ცხონებული მამაჩემი ამბობდა, ვისაც დარდი მიჰყვება, უკანაც იხედებაო, – თქვა მოხუცმა ქალმა, რომელსაც ჩემზე გაცილებით მეტი სიკვდილი ჰქონდა ნანახი და დაიძრა იქით, საიდანაც დიდხანს მოდიოდა.

მე ვიჯექი ხის სკამზე, მის თითოეულ ნაბიჯს ვაკვირდებოდი, ჩემი ყურსასმენებიდან „მარტოხელა მწყემსი“ იღვრებოდა და ვხვდებოდი, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად ვუსმენდი იმას, რასაც ვხედავდი.

„თემას არ გადაუხვიო“

◀◀ დასაწყისი 29-ე გვერდზე

ყველა ბრძენმა შეასრულა თავისი დანიშნულება, ყველამ რაღაც აღმოაჩინა თავის გზაზე. ამიტომ ყველაზე დიდი სიბრძნე ისაა, მისცე მოსწავლეს „თემიდან გადახვევის“ და საკუთარი გზის არჩევის უფლება.

ერთი შეხედვით, ამ ორ სიტუაციას საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით, მათ შორის მეტაფორულ კავშირს აღმოვაჩენთ. თუ ცნობიერებას რაღაც შტამპს ჩავუნერგავთ, ის თანდათან ავტომატურ რეჟიმში დაიწყებს მოქმედებას და კვლავწარმოებას. სკოლაში თუ შტამპი თემიდან არგადახვევას შეეხებოდა, ცხოვრებაში ის სრულიად ახალ შინაარსებს მოძებნის, რადგან სასკოლო ასაკში ცნობიერების პროგრამირება ძალიან ადვილია. გაცილებით რთულია, ზოგჯერ – შეუძლებელიც, ზრდასრულ ასაკში ამ პროგრამების წაშლა. ამის გამოა ადამიანი არარეალიზებული, განუხორციელებელი სურვილებით, მუდამ უკმაყოფილო, წარსულს გამოკიდებული, ოცნებებს ჩამოკონწიალებული, მენტალურად უმოქმედო... ამ ყველაფრის შედეგი კი არის ის ცხოვრება და ის საზოგადოება, რომელშიც სული გვეხუთება.

ასერომ, ხშირად გადაუხვიეთ თემიდან. ხშირად გადაუხვიეთ გზიდან.

ნუ შეგეშინდებათ დაკარგვის, რადგან ყველა ახალი გზა ახალ გამოცდილებას შეგძენთ. და აიღეთ პასუხისმგებლობა გზიდან გადახვევაზე.

მაია მენაბდე

სასვენი ნიშნების დღე

სასვენი ნიშნების მნიშვნელობაზე რომ ვესაუბრები ბავშვებს, ფილოლოგებში გავრცელებული ლეგენდით ვიწყებ – როგორ გადაარჩინა ერთმა მძიმემ ადამიანი.

ერთ ჩინოვნიკს ბრძანების დაწერისას მძიმის ადგილი შეშლია და დასახვრეტად გამზადებული ადამიანი გაუთავისუფლებიათ. ფრაზის *„დაიხვრიტოს, დაუშვებელია ეპატიოს!“* მაგიერ დაუწერია: *„დაიხვრიტოს დაუშვებელია, ეპატიოს!“*

ეს ლეგენდაც ძალიან მოსწონთ და სასვენ ნიშნებთან დაკავშირებული სხვა პატარ-პატარა სახალისო ხრიკებიც, მაგრამ სასვენი ნიშნების დასმისა რა მოგახსენოთ. იმასაც დავაკვირდი – მხოლოდ არცოდნის ბრალი არ არის, ვინც იცის, იმასაც ეზარება ხოლმე სასვენი ნიშნების დასმა.

ერთხელაც გადავწყვიტე, ჩემი მოსწავლეებისთვის დამეწესებინა სასვენი ნიშნების დღე. მე თვითონ ისე აღვფრთოვანდი ამ იდეით და ისეთი რიხითა და ზარ-ზეიმით გამოვუცხადე კლასში შესულმა, რომ ისღა დარჩენოდათ, ტაშის კვრით მიეღოთ ეს ახალი წინადადება და საკუთარი დაბადების დღეების აღნიშვნაზე ნაკლებად არ გახარებოდათ. მით უმეტეს, რომ ეს დღე სხვა მნიშვნელოვანი თარიღებივით წელიწადში ერთხელ კი არ იქნებოდა, არამედ თვეში ერთხელ!

პირველი დღე ვახტანგ ჯავახაძეზე საუბრით და მისი საოცარი ლექსით დავიწყე:

ქება სასვენი ნიშნებისა

„მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს, ვიცი მათი ფასი.
წერტილიდან წერტილამდე ძლივს მიმქონდა აზრი.
არასოდეს არ ვკარგავდი კითხვის ნიშნის იმედს
და ბოროტად არასოდეს ვიყენებდი მძიმეს.
ზოგჯერ, როცა სიტყვის შემდეგ ვერ დავწერდი წერტილს
და მძიმესაც ვერ დავწერდი, წერტილ-მძიმეს ვწერდი.
როცა რითმებს ვდარაჯობდი, როგორც მონადირე,
მწევრებივით მაქეზებდნენ დეფიზი და ტირე.
ხშირად, როცა არ მწყალობდა შთაგონების ღმერთი,
ბეწვზე გადავურჩენივარ ერთგულ მრავალწერტილს,
ხოლო როცა დადგებოდა ჟამი ყიჟინისა,
ხან ორ წერტილს მოვუხმობდი,
ხან – ძახილის ნიშანს....
ისევ ვწყალობ ნაცნობ ნიშნებს, როგორც მეცენატი,
თუმცა ზოგან სასვენ ნიშნებს აღარ სცემენ პატივს.
გრძნობის დილეგს უწოდებენ და ვნებათა კარცერს,
ზოგი ზოგჯერ გაიხსენებს, ზოგი სულაც არ წერს.
მე კი ისევ ერთგული ვარ ძველი მონაპოვრის:
სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო სასვენ ნიშნებს შორის“.

> სასვენი ნიშნების მნიშვნელობაზე რომ ვესაუბრები ბავშვებს, ფილოლოგებში გავრცელებული ლეგენდით ვიწყებ – როგორ გადაარჩინა ერთმა მძიმემ ადამიანი.

რადგანაც ჯავახაძე არაჩვეულებრივი პოეტია, დასაწყისი ძალიან ეფექტური იყო და მონუსხულები ელოდნენ, როგორი იქნებოდა გაგრძელება.

გაგრძელება კი ყველა კლასისთვის სხვადასხვანაირი იყო: მერვეებს გალაკტიონის ,,რომელი საათია“ წავუკითხე და მისი უსასვენნიშნებო ვარიანტი დავუდე წინ; მეშვიდეებს – მურმან ლებანიძის ,,შეჩერდი, მოასწარ!“ მეორედ წაკითხვის პარალელურად სასვენი ნიშნები უნდა დაესვათ ორივე ლექსში. მერე ერთად შევასწორეთ ნამუშევრები და სათითაოდ ახსნეს, რომელი სასვენი ნიშანი რატომ დასვეს. მე კი ავუხსენი, რომელიც არ დასვეს, რატომ უნდა დაესვათ.

პატარებთან (მე-5 კლასი) სხვაგვარად იყო. მანანა ტონიას ინტერნეტში მოძიებული ლექსი ,,სასვენი ნიშნები“ დავუდე წინ. წყვილებში სამუშაოდ დავალებებიც მივაყოლე ორ ეტაპად: 1) განვიხილოთ ლექსი და მასში ასახული სასვენ ნიშანთა გამოყენების წესები მივუწეროთ გვერდით; დავნომროთ თითოეული წესი; 2) ლექსში მოცემული თითოეული წესის გამოყენებით შევადგინოთ წინადადება.

ლექსად დაწერილი წესები მოეწონათ. დავალებები საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, მაგრამ თავი მაინც გაართვეს.

ის დღე იყო და ის დღე, ყოველი თვის ბოლოს ყველა კლასში დიდი ამბით ელოდებიან ,,სასვენი ნიშნების დღეს“. წინასწარ მაფრთხილებენ, რომ თვის ბოლო ახლოვდება. ზარმაცები თავიანთ სასარგებლოდაც კი იყენებენ ამ ტრადიციას – სასვენი ნიშნების დღე მეგონა და დავალება აღარ დავწერეო. ასეა თუ ისე, გვიხარია ამ დღის აღნიშვნა. ჩემი მთავარი პრინციპია, რომ თითოეული ეს დღე ლიტერატურასაც მჭიდროდ უკავშირდებოდეს.

ამიტომაც შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძისა და მისი არაჩვეულებრივი ,,ბებრების“ ჯერი დადგა. ჯერ წავიკითხეთ ეს მინიატურა, ვიმსჯელეთ ემოციებზე და მწერლის განსხვავებულ, ლაკონიურ სტილზე. მერე დავურიგე ტექსტი, რომელშიც მხოლოდ 6 სასვენი ნიშანი იყო გამოტოვებული, ხოლო 4 არასწორად იყო დასმული. ნამუშევრების ანალიზის შემდეგ ორი გენიალური მსახიობის, სანდრო ჟორჟოლიანისა და სესილია თაყაიშვილის მონაწილეობით ,,ბებრების“ სატელევიზიო დადგმასაც ვუყურეთ და კმაყოფილები დავიშალეთ.

შემდეგი თვე იგავებისა აღმოჩნდა. დავყავი ჯგუფებად, დავურიგე მცირე მოცულობის იგავი-მინიატურები (გია მურღულიას წიგნიდან ,,სიბრძნე მინიატურებში“. ბევრი მათგანი ინტერნეტშიცაა განთავსებული), რომლებშიც ბოლო (იგავის მორალის განმსაზღვრელი) ფრაზა არ ჩანდა – თვითონვე უნდა ამოეცნოთ და ტექსტი დაესრულებინათ. ძალიან საინტერესო ვერსიები გამოუვიდათ.

მაგალითად, აი, ეს იგავი:

ყველაზე შეუცნობელი

ერთი კაცი ცოლ-შვილთან ერთად უდაბნოში მიდიოდა. წყურვილით გატანჯულებმა ჭა დაინახეს და მისკენ გაემართნენ, მაგრამ კაცს შინაგანმა ხმამ უთხრა, რომ წყალი ამ ჭაში მოწამლული იყო. მან ხმას ყურადღება არ მიაქცია და ცოლ-შვილს წყალი მიაწოდა. როდესაც უკვე

ერთხელაც გადავწყვიტე, ჩემი მოსწავლეებისთვის დამეწესებინა სასვენი ნიშნების დღე. მე თვითონ ისე აღვფრთოვანდი ამ იდეით და ისეთი რიხითა და ზარ-ზეიმით გამოვუცხადე კლასში შესულმა, რომ ისლა დარჩენოდათ, ტაშის კვრით მიეღოთ ეს ახალი წინადადება და საკუთარი დაბადების დღეების აღნიშვნაზე ნაკლებად არ გახარებოდათ. მით უმეტეს, რომ ეს დღე სხვა მნიშვნელოვანი თარიღებივით წელიწადში ერთხელ კი არ იქნებოდა, არამედ თვეში ერთხელ!

თავადაც აპირებდა დალევას, დაინახა, რომ მისი უახლოესი ადამიანები სასიკვდილოდ იკრუნჩხებოდნენ. კაცმა ღმერთს შესთხოვა:
– ღმერთო, გადამირჩინე ჩემი ოჯახი! წყურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ყურად არ ვიღე შენი გაფრთხილება.
– დაგიბრუნებ ახლობლებს, – უთხრა ღმერთმა, – თუ ერთ კითხვაზე მიპასუხებ. რა არის ადამიანში ყველაზე შეუცნობელი?
კაცმა დიდხანს იფიქრა – ეშინოდა, ვაითუ არასწორად ვუპასუხოო და ბოლოს გაბედა:
*– ყველაზე შეუცნობელი ადამიანში ის არის, რომ **მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვების სიკვდილს ხედავს, მაგრამ ისე ცხოვრობს, თითქოს თვითონ არასდროს მოკვდება.***

და ღმერთმა მას ცოლ-შვილი დაუბრუნა. ხაზგასმული ფრაზა გაშავებული იყო და ბავშვებს თვითონ უნდა შეევსოთ ტექსტი.

თავიდანვე არ მითქვამს, რომ ტექსტში რამდენიმე მძიმე იყო გამორჩენილი, მაინტერესებდა, თვითონ თუ შეამჩნევდნენ. ზოგიერთმა შეამჩნია კიდეც, დანარჩენებს იგავის ანალიზის შემდეგ დავავალე, ეპოვათ კონკრეტული რაოდენობის გამორჩენილი მძიმე. ზოგი იპოვეს, ზოგი ჭიამაიამ აპოვნინა. გაკვეთილის დასრულებამდე დამატებით 1-2 იგავის წაკითხვაც მოვასწარით.

შემდეგი დღეები უფრო თამაშებსა და ხატვას დავუთმეთ.

თამაში N1 – ჯგუფებში ვანაწილებ სასვენ ნიშნებს და მათი გამოყენების წესებს. კითხულობენ, განიხილავენ. ერთ ჯგუფს ევალება, ყველა წესი გამოხატოს გრაფიკულად, ნახატით. სხვა ჯგუფის წევრებმა უნდა გამოიცნონ, ამ ნახატით რომელი წესია გადმოცემული.

თამაში N2 – მოსწავლეები ჯგუფებად იყოფიან. ჯგუფიდან გამოდის ერთი, იღებს რომელიმე სასვენი ნიშნის წესს და ცდილობს, მუნჯურად აუხსნას თავისი გუნდის წევრებს. თუ ასე ვერ გამოიცნეს, მერე რამე მიმანიშნებელი უნდა დახატოს, ხოლო თუ ასეც ვერ გამოიცნეს, ეძლევა 2 სიტყვის თქმის უფლება. თითოეულ გუნდს ქულა ეწერება.

ორივე შემთხვევაში შეჯამებისას წერენ წინადადებებს, რომლებშიც თავიანთივე შერჩეულ რამდენიმე წესს გამოიყენებენ.

მომდევნო აქტივობა ტიპური „წრეზე წერა“ იყო. ბავშვები სხდებიან წრეზე, წერენ ერთ თხზულებას მასწავლებლის შერჩეულ თემაზე, ორ-ორწუთიანი შუალედებით. იწყებს ერთი, ორი წუთის შემდეგ განაგრძობს მეორე – ჯერ პირველის ნაწერს გადაიკითხავს და მერე ლოგიკურად განაგრძობს დაწყებული თხზულების წერას. ასე იქცევა წრის თითოეული წევრი, სანამ ნაწერი დამწყებ მოთამაშეს არ დაუბრუნდება. ჩვენთან განსხვავებული მხოლოდ ის იყო, რომ შეფასების კრიტერიუმებში ყველაზე დიდი ქულა პუნქტუაციას მივანიჭეთ (განსაკუთრებული ყურადღება სასვენი ნიშნებისთვის უნდა მიექციათ), თუმცა ქულა ეწერებოდათ იმაშიც, რამდენად გამართული და საინტერესო იყო თხზულება.

სანამ წერას დავიწყებდით, განწყობის შესაქმნელად გოდერძი ჩოხელის პატარა, მაგრამ ძალიან საყვარელი მოთხრობა *„წერტილი და მძიმე“* წავიკითხეთ.

ერთ დღეს პატარებმა ნახატებით იქვე, ექსპრომტად, სასვენი ნიშნების გაცოცხლებაც გადაწყვიტეს. ეს აქტივობა სასვენი ნიშნების უფრო ემოციურ გააზრებას და ბავშვების გახალისებას ემსახურებოდა და არა წესების დამახსოვრებას.

ასეთი პატარ-პატარა გახალისებები ძალიან უხდება ჩვენი სასვენი ნიშნების დღეებს.

კიდევ ბევრი დღე გვაქვს დასაგეგმ-მოსაფიქრებელი.

აი, სკოლაში რომ დავბრუნდებით და სექტემბრის მიწურულს სასვენი ნიშნების დღეს აღვნიშნავთ, პოლ ელუარზე საუბრით დავიწყებ და მოსწავლეებს მის *„თავისუფლებას“* დავუდებ წინ. ჯერ ლექსზე იფიქრონ და იმაზე იმტვრიონ თავი, რატომ არ დასვა პოეტმა არც ერთი სასვენი ნიშანი და მერე საუკუნის დანაშაული ჩაიდინონ: თვითონ დასვან!

სტატიას კი ამ საოცარი ლექსით დავასრულებ:

ერთ ჩინოვნიკს ბრძანების დაწერისას მძიმის ადგილი შეშლია და დასახვრეტად გამზადებული ადამიანი გაუთავისუფლებიათ.

„სკოლის რვეულებს
მერხებს და ხეებს
ქვიშას და თოვლს
მე ვაწერ შენს სახელს

ყველა წაკითხულ
თუ სუფთა ფურცელს
ქვით სისხლით თუ ნახშირით
მე ვაწერ შენს სახელს

მოოქრულ ნახატებს
საომარ იარაღებს
მეფეთა გვირგვინებს
მე ვაწერ შენს სახელს

გაუვალ ტყეებს თუ უდაბნოებს
ბუდეებს ბალახებს
ექოებს ჩემი ბავშვობისას
მე ვაწერ შენს სახელს

ღამის საოცრებებს
თუ დღიურ საზრუნავს
მოკაზმულ სეზონებს
მე ვაწერ შენ სახელს

ჩემს წილ ცის ლაჟვარდებს
ობიან მზის გუბეს
მთვარის ლივლივა ტბორს
მე ვაწერ შენს სახელს

ვრცელ მინდვრებს ჰორიზონტებს
ფრინველთა ფრთებს თუ
წისქვილთა ჩრდილებს
მე ვაწერ შენს სახელს

შემკრთალ განთიადებს
ზღვებსა თუ ხომალდებს
და შეშლილ მწვერვალებს
მე ვაწერ შენს სახელს

დახავსებულ ღრუბლებს
დაქანცულ ქარებს
წვიმის ტლანქ ფარდებს
მე ვაწერ შენს სახელს

ელვარე საგნებს
ფერად-ფერად ზარებს
ყველაფერს არსებულს
მე ვაწერ შენს სახელს

გაქცეულ ბილიკებს
თვალუწვდენელ გზებს
წამლეკავ სიშორეს
მე ვაწერ შენს სახელს



სანთელს ანთებულს
სანთელს მინავლებულს
სიმტკიცეს ერთობას
მე ვაწერ შენს სახელს

სარკის ზედაპირზე
გახლეჩილ ჩემს ოთახს
ჩემს საწოლს როგორც ცარიელ ნიჟარას
მე ვაწერ შენს სახელს

ჩემს ძაღლს ალერსიანს
და ყურებდაცქვეტილს
მოუქნელ თათებზე
მე ვაწერ შენს სახელს

ზღურბლს ჩემი კარისას
საყვარელ საგნებს
ტალღებად დაფენილ
ღვთაებრივ ნათელს
მე ვაწერ შენს სახელს

დაწყვილებულ სხეულებს
მეგობრულ სახეებს
და ხელებს გამოწვდილს
მე ვაწერ შენს სახელს

გაბრწყინებულ თვალებს
მომლოდინე ბაგეებს
და სრულ მდუმარებას
მე ვაწერ შენს სახელს

ჩემს დაღლილ სხეულს
ჩემს დაბზარულ თვალებს
კედლებს ჩემი სევდისას
მე ვაწერ შენს სახელს

უსურვილო სიცოცხლეს
შიშველ სიმარტოვეს
სიკვდილის ნაბიჯებს
მე ვაწერ შენს სახელს

აღდგენილ ძალ-ღონეს
დაკარგულ საფრთხეს თუ
უხსოვარ იმედს
მე ვაწერ შენს სახელს

და ერთი სიტყვის ფესვებიდან ვიწყებ სიცოცხლეს
შენი შეცნობით ვიბადები
შენი სახელით

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.

მთარგმნელი – ნათია ნაცვლიშვილი

თამთა კობახიძე

პლაგიატი და ლიტერატურის მითითება

2011 წელს „ზუდდოიჩე ცაიტუნგმა“ გერმანიის თავდაცვის მინისტრ კარლ თეოდორ გუტენბერგს პლაგიატი დასდო ბრალად. საქმე ეხებოდა სადოქტორო ნაშრომს, რომელშიც ბრემენის უნივერსიტეტის იმდროინდელმა საჯარო და სამოქალაქო სამართლის პროფესორმა ფიშერ-ლესკანომ პლაგიატის შემთხვევები აღმოაჩინა. 2007 წელს დაცული დისერტაცია, რომლის მეშვეობითაც გუტენბერგმა სამართლის დოქტორის წოდება მიიღო, საჯარო სკანდალის შემდეგ განსახილველად გადაეცა უნივერსიტეტის ომბუდსმენს, რომელმაც დაადგინა, რომ ნაშრომში მთელი აბზაცები იყო კოპირებული სხვადასხვა ლიტერატურიდან ავტორისა და გამომცემლობის მიუთითებლად. ბაიროითის (გერმანია, ბავარია) უნივერსიტეტის უფლებამოსილმა საბჭომ მინისტრისთვის დოქტორის ხარისხის ჩამორთმევა გადაწყვიტა. გუტენბერგი, რომელსაც თავდაცვის მინისტრობამდე ეკონომიკისა და ტექნოლოგიების მინისტრის პოსტი ეკავა და რომელსაც ბრწყინვალე პოლიტიკურ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოჰყვა. თავდაპირველად იგი ყველა ბრალდებას უარყოფდა და ამბობდა, რომ სადოქტორო ნაშრომი მხოლოდ მისი „საკუთარი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი“ იყო, ომბუდსმენის დასკვნის შემდეგ კი მან დატოვა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაც, პარტიული მანდატიც და გერმანიაც.

ასეთი სკანდალები ხშირია სამეცნიერო საზოგადოებაში. გერმანულ გაზეთებში მრავლად ნახავთ ინფორმაციას პროფესორებზე, რომლებიც ერთ უნივერსიტეტში დაწუნებულ სამეცნიერო ნაშრომს წარმატებით იცავენ სხვაგან, აკოპირებენ კოლეგების სტატიებს და ა.შ. გუტენბერგის სკანდალის შემდეგ უნივერსიტეტებმა პლაგიატთან დაკავშირებული პოლიტიკა საგრძნობლად დახვეწეს და გაამკაცრეს. დანერგეს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამები, შემოიღეს დიდი ფულადი ჯარიმები. ბევრ უნივერსიტეტში სტუდენტი ყოველი წერილობითი ნაშრომის ჩაბარებასთან ერთად აბარებს ხელწერილს, რომლითაც ადასტურებს, რომ

არაფერი „მოუპარავს“. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნივერსიტეტიდან გარიცხვა და ფულადი ჯარიმა ემუქრება.

პლაგიატი, როგორც ყველამ იცის, ნიშნავს სხვისი ინტელექტუალური (ლიტერატურული, სამეცნიერო და ა.შ.) ნაშრომის მითვისებას ავტორის მითითების გარეშე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის გააზრებას მოითხოვს, რომ ინტელექტუალური შრომის ნაყოფიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ნებისმიერი უძრავი თუ მოძრავი ქონება. შესაბამისად, მისი მითვისება არაეთიკური და კანონსაწინააღმდეგოც შეიძლება იყოს.

ქართულ სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო სივრცეშიც პლაგიატის არაერთ შემთხვევას წააწყდებით. ბევრი ვერც კი ხვდება, რომ ეს პლაგიატია. მაგალითად, თუ მეთოდური სტატიის დასასრულს გამოყენებული ლიტერატურა მიუთითეს, მიაჩნიათ, რომ ეს საკმარისია. სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ არის და ახლავე მოგახსენებთ, რატომ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ავირჩიოთ ციტირების რომელიმე წესი. თავად Word-ის პროგრამას აქვს ფუნქცია, რომელიც გეხმარებათ ლიტერატურის მითითებასა და ციტირებაში და გთავაზობთ ციტირების რამდენიმე გავრცელებულ წესს, როგორებიცაა APA, Chicago, Turabian და სხვა. სპეციალურ ველში შეგიძლიათ შეიყვანოთ ინფორმაცია წიგნის, სტატიის, ელექტრონული რესურსის შესახებ და სურვილის შემთხვევაში პროგრამა, თქვენ მიერ შერჩეული ციტირების წესის შესაბამი-



> ის ფაქტი, რომ ქართველ მოსწავლეებს საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში პლაგიატთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ, არ ნიშნავს, რომ ყველა ყველასგან „იპარავს“. ეს, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციისა და პრაქტიკის ნაკლებობის შედეგია.

სად, ავტომატურად მიუთითებს შესაბამის ნაშრომს. თუ თავად გსურთ დახელოვნდეთ ციტირების წესებში, ინტერნეტში იპოვით შესაბამისი სტილის სახელმძღვანელოებს, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ციტირების ყველა ნიუანსი.

გახსოვდეთ, სამეცნიერო სტატიის წერის დროს ციტირების წესების დაცვა აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც რომელიმე ავტორის მოსაზრებას საკუთარი სიტყვებით გადმოსცემთ

მაგალითად, ვწერთ სამეცნიერო-მეთოდურ სტატიას, რომელშიც მოვიხმობთ თამთა კობახიძის მოსაზრებებს ჩვენი თეორიის გასამყარებლად: „სწორედ ამას ამბობდა თამთა კობახიძეც, როდესაც ამტკიცებდა, რომ...“ ამ შემთხვევაში აუცილებელია, ტექსტში მივუთითოთ, რომელ წყაროს ვეყრდნობით, სად ამოვიკითხეთ აღნიშნული მოსაზრება – რომელ წიგნში, რომელი გამომცემლობის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში. როგორ მიუთითებთ ლიტერატურას ტექტში, დამოკიდებულია იმაზე, ციტირების რომელი სტილს აირჩევთ. APA-ს შემთხვევაში, პირობითად, ასე: (კობახიძე, 2018).

2. როდესაც რომელიმე ავტორის მოსაზრებას გადმოსცემთ ზუსტად ისე, როგორც ნაშრომშია მოყვანილი, მაშასადამე, გადმოგაქვთ პირდაპირი კოპირებით

ამ შემთხვევაში ორგვარ წესს გვთავაზობენ: თუ ციტატა 40 სიტყვაზე მეტია, შეიძლება, პირდაპირ ტექსტში იყოს ჩართული, ჩაისვას ბრჭყალებში და ბოლოს მიეთითოს ავტორი, წელი და წიგნის კონკრეტული გვერდი; თუ ციტატა 40 სიტყვას აჭარბებს, მაშინ იმავე პრინციპის დაცვით ცალკე აბზაცად უნდა იყოს გამოტანილი.

ციტირება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც წიგნს მრავალი ავტორი ჰყავს, ერთი სახელწოდების ქვეშ სხვადასხვა ავტორია გაერთიანებული, ერთ ავტორს მეორის მოსაზრება აქვს გამოყენებული და ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელის ციტირება გვსურს, ან რესურსი განთავსებულია ინტერნეტში, ავტორი ანონიმია ან უცნობია და ა.შ.

ციტირების ყველა სტილი ასევე ითვალისწინებს მათემატიკური ფორმულების ნაშრომში წარმოდგენის, გრაფიკების, დიაგრამების აგებისა და ნაშრომის გაფორმების წესებს. ამასთან, აუცილებელია ნაშრომის ბოლოს მითითებულ ლიტერატურაში ყველა იმ ავტორის მოხსენიებაც, რომლებიც ტექსტში მოვიხმეთ.

არსებობს თვითპლაგიატის ცნებაც, რომელიც გულისხმობს საკუთარი ნაშრომის კოპირებას ან საკუთარი თავისთვის „მოპარვას“. მაგალითად, ახალი სტატიისთვის აბზაცების აღება ძველი, შენ მიერვე უკვე გამოქვეყნებული მასალიდან ავტორის მიუთითებლად. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში მოსაზრებები მხოლოდ შენ გეკუთვნოდა, მსგავსი შემთხვევები მაინც პლაგიატად განიხილება.

ციტირების სტილი მკაცრად განსაზღვრავს იმასაც, როგორ უნდა წარმოვადგინოთ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. მაგალითად, ჯერ წელი დავწეროთ თუ ავტორის გვარი, გამომცემლობა დახრილი შრიფტით უნდა იყოს თუ ჩვეულებრივით და ა.შ. ამ დონეზე ციტირების წესების დაცვა სამეცნიერო სფეროში, რა თქმა უნდა, სავალდებულოა, მასწავლებლის მიერ მომზადებული სტატიისთვის კი საკმარისია ის ძირითადი წესები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ის ფაქტი, რომ ქართველ მოსწავლეებს საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში პლაგიატთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ, არ ნიშნავს, რომ ყველა ყველასგან „იპარავს“. ეს, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციისა და პრაქტიკის ნაკლებობის შედეგია. ამიტომ მნიშვნელოვანია, პლაგიატთან ბრძოლა სკოლაშივე დაიწყოს, სადაც მოსწავლეებს ცნების მნიშვნელობას და გამოყენებული ლიტერატურის მითითების მარტივ წესებს ავუხსნით. მაგალითად, მასწავლებლები ხშირად აძლევენ მოსწავლეებს დავალებებს, რომლებიც ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებას ან რეფერატის, ესეს თუ სხვა წერილობითი ნაშრომის შექმნას ისახავს მიზნად. სწორედ ასეთი დავალებების დროს შეგვიძლია ავუხსნათ მოსწავლეებს ლიტერატურის მითითების მარტივი წესები და ვთხოვოთ, ყველა მომდევნო დავალებას დაურთონ გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი (თუნდაც სახელმძღვანელო გამოიყენონ). ამისთვის საჭიროა, ჯერ თავად მასწავლებლებმა გაიაზრონ, რა არის პლაგიატი, ნებით თუ უნებლიეთ არ მიითვისონ ის, რასაც სხვისი ინტელექტუალური საკუთრება ჰქვია.

თარგმნა ლევან აღფაიძემ

ერთი მასწავლებლის ისტორია

გერმანიაში მასწავლებლები იშვიათად ტოვებენ სამსახურს, ისიც – მხოლოდ დიდი დატვირთვის გამო.

ქცევის მენეჯმენტიდან კვირაში სამოცდაათ სამუშაო საათამდე – ვისბადენელი მასწავლებელი მარაიკა ჰაშემერი „გარდიანის“ ჟურნალისტ ჰოლი ველჰემს ესაუბრა:

– მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გავხდი. მოხდა ისე, რომ როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, გერმანიაში მასწავლებლების ნაკლებობა იყო. შესაბამისად, მთელ კურსს რეკომენდაცია მოგვცეს, მასწავლებლობა დაგვეწყო. ჩემი თანაკურსელების თითქმის ნახევარმა იმ წელს მასწავლებლობა აირჩია.

გერმანიაში, წესისამებრ, არჩეული სპეციალობის შესასწავლად ხუთწლიან კურსს გადიხარ. ჩემს შემთხვევაში ეს ინგლისური და გერმანული ენები იყო. ამას მოჰყვა სწავლების მეთოდების ორწლიანი კურსი.

დღეს, როგორც მასწავლებელს, კვირაში სამოცდაათიდან ოთხმოც საათამდე მიწევს მუშაობა.

სწავლის პერიოდში ადგილობრივ გაზეთში ვწერდი. ამან თეატრალურ საქმიანობამდე მიმიყვანა.

ერთ დღეს კონცერტის შემდეგ ინტერვიუს ვართმევდი ერთ-ერთ თეატრალურ ჯგუფს. მათ მითხრეს, რომ ხალხს ეძებდნენ მიუზიკლისთვის. ვუთხარი, რომ ვმღეროდი და მათაც მოსმენაზე დამიბარეს. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ თეატრალურ პროექტში მიმიწვიეს. ამას მოჰყვა სხვა წარმოდგენებიც. საბოლოოდ მე თვითონ დავიწყე სპექტაკლების დადგმა. მასწავლებლის დიპლომის აღების შემდეგ დრამის კურსებზე ჩავეწერე და დრამის სწავლების სერტიფიკატიც ავიღე.

სკოლაში სწავლების პირველ წლებში კლასში შესვლისა მეშინოდა. სწავლების ჩემეული იდეალი რეალობას არ დაემთხვა. მიუხედავად სწავლების პროცესში ბავშვების ჩართვის შესახებ წაკითხული სტატიებისა თუ გავლილი ტრენინგებისა, თითქმის არაფერი გამომდიოდა – მოსწავლეები დიდ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებდნენ.

იმედი გამიცრუვდა, მაგრამ არ დავნებდი. შთაგონება და იდეალისტური განწყობა აუცილებელია, თუმცა რეალობასაც უნდა გავუსწოროთ თვალი – შეუძლებელია, ყველა მოსწავლეს აღუძრა მოტივაცია.

სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი, განსაკუთრებით – დასავლურ სამყაროში, დიდ შესაძლებლობად განიხილება და მეც მთელი ეს ხანია ვცდილობ, ერთ ადგილზე არ ვიდგე. იცვლება სწავლების პროცესისადმი ჩემი დამოკიდებულებაც – ფოკუსირებას ვახდენ იმ მიმართულებებზე, რომლებიც წარმატებულია.

აქვე უნდა ვაღიარო, რომ დიდ ბრიტანეთში ერთწლიანი სტაჟირების დროს გაკვირვებული დავრჩი იმ ტერმინოლოგიით, რომელსაც ინგლისის სკოლებში იყენებენ. გამაკვირვა მოსწავლეების დაყოფამ „მოწინავეებად“ და „ჩამორჩენილებად“. მიმაჩნია, რომ შეუსაბამო ტერმინებია ბავშვებთან სამუშაოდ. ასევე გამაკვირვა რთული ყოფაქცევის მოსწავლეთა კლასიდან იზოლირებამ და თანაკლასელებთან საუბრის აკრძალვამ – ეს მათ კარცერში ჩასმას ჰგავდა.

> შეუძლებელია სილარიბეზე, ომზე, რასიზმზე ან ტერორიზმზე საუბარი განათლებაზე საუბრის გარეშე. განათლება პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოში არსებულ უამრავ პრობლემას და, ამავე დროს, მათი მოგვარების გასაღებია.

გერმანიაში მოსწავლეებს ფორმა არ აცვიათ. ინგლისში გასაოცრად ბევრი დრო მიაქვს მოსწავლეებისადმი მასწავლებლების შენიშვნებს პიჯაკის ჩაცმისა თუ პერანგის გასწორების თაობაზე. ბუნებრივია, ყველა ბავშვი ცდილობს, რაღაცნაირად განსხვავდებოდეს დანარჩენებისგან, რაც ინგლისში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის პაექრობას ემსგავსება.

სამაგიეროდ, მომეწონა ნათელი და მკაფიოდ გაწერილი სასკოლო წესები და სასკოლო პოლიტიკა. გერმანიაში სხვაგვარადაა: ყველა მასწავლებელი თვითონვე აყალიბებს კლასში წესებს – ან ინდივიდუალურად, ან კოლეგებთან შეთანხმებით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ სულ უფრო ვცილდებით „დასჯას“ და მსგავს მეთოდებს. მაგალითად, თუ ერთმა მოსწავლემ მეორეს ჩაარტყა, ორივეს სამედიაციო კლასში ვგზავნით ან ვაწერინებთ, როგორი გრძნობაა, როდესაც გირტყამენ. ეს იმისთვის, რომ ბავშვებმა აღიქვან ზიანი, რომელსაც ერთმანეთს აყენებენ.

> გერმანიაში მასწავლებელი კვირაში საშუალოდ სამოცდაათ-ოთხმოც საათს მუშაობს. ამასთან, ძალიან იშვიათია, რომ მასწავლებელმა სკოლა მიატოვოს. თუ მაინც მოხდა ასე, ვფიქრობ, მიზეზი მხოლოდ დიდი დატვირთვაა.

გერმანიაში მასწავლებელი კვირაში საშუალოდ სამოცდაათ-ოთხმოც საათს მუშაობს. ამასთან, ძალიან იშვიათია, რომ მასწავლებელმა სკოლა მიატოვოს. თუ მაინც მოხდა ასე, ვფიქრობ, მიზეზი მხოლოდ დიდი დატვირთვაა.

ცოტა ხნის წინ განათლების სამინისტროში დავიწყე მუშაობა არასრულ განაკვეთზე. უნდა ვაღიარო, რომ ეს ნამდვილი შვება აღმოჩნდა, რადგან საკლასო ოთახსა თუ დავალებების გასწორებაში გატარებული საათები ნამდვილად არ უწყობს ხელს მასწავლებლის ჯანმრთელობას.

ოცდახუთ საათს, ჩვეულებრივ, სკოლაში ვატარებთ, დანარჩენ დროს კი გაკვეთილისთვის მომზადებასა და დავალებების გასწორება-შეფასებას ვუთმობთ, რაც ჯამში ორმოც საათზე მეტია. ფაქტობრივად შეუძლებელია, გამონახო დრო არასასკოლო საქმეებისა თუ აქტივობებისთვის, რომლებიც პედაგოგის პროფესიის ნაწილია.

გერმანიაში განათლების სამინისტროს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მოქმედი მასწავლებლები სამინისტროს დეპარტამენტებში. ამჟამად ვმუშაობ ევროპულ და საერთაშორისო განყოფილებაში მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებსა და eTwinning-ზე *(ევროკავშირის საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტი, რომელიც მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარებსა და სკოლის ხელმძღვანელებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ ერთობლივი პროექტები სხვადასხვა ქვეყანასა და სკოლაში – ლ. ა.).*

ჩემი სკოლა მრავალეროვანი და მულტიკულ-ტურულია. სკოლის თეატრალური წრე ფართო შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ და გავაცნობიეროთ ეს მრავალფეროვნება. მე ვეხმარები მოსწავლეებს გერმანიაში არსებული რეალობის დანახვასა და უცხოელების შესახებ ცრურწმენების გააზრებაში – ჩვენ უმეტესად იმ ადამიანებთან ვმეგობრობთ, რომლებიც გვგვანან და გაუცნობიერებლად ვიზიარებთ საზოგადო-ებაში არსებულ სტერეოტიპებს. თეატრალურ წრეში მოსწავლეებს ვურჩევ როლებს და ვავალებ ინტერვიუების მომზადებას, რომლებიც დაეხმა-რება მათ, მეტი გაიგონ არაგერმანელების კულ-ტურისა და ცხოვრების წესის შესახებ; ვეხმარები, იპოვონ მეგობრები მთელ მსოფლიოში (სკაიპის ან ფეისბუკის დახმარებით), გაიგონ, როგორ ცხოვრობენ და სწავლობენ ისინი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა დაიჯერონ ერთი რამ: რასაც აკეთებენ, შედეგის მომტანია. დღეს ბევრს თავისი საქმიანობა უმნიშვნელოდ მიაჩნია. არ მინდა, ჩემი მოსწავლეებიც ასე ფიქრობდნენ. ბევრს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ მოსწავლეები საზოგადოების-თვის არაფერს ქმნიან. მე კი მჯერა, რომ ბავშვებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

ერთ-ერთი პროექტის მიმდინარეობისას ვკითხე კლასს, რას ფიქრობდნენ – შეეძლოთ თუ არა მსოფლიოში რამის შეცვლა. უმეტესობამ მიპასუ-ხა, არაო. ბავშვების აზრით, მსოფლიო სულელუ-რი სივრცეა, სადაც ადამიანები ერთმანეთს არ უსმენენ.

ამის შემდეგ მათ გავახსენე ახალგაზრდა კაცი, სახელად კრეიგ კილბურგერი *(კანადელი აქტივისტი, რომელმაც 1995 წელს, 12 წლისამ, წმ. კალაბრინის კათოლიკურ სკოლაში თანაკ-ლასელებთან ერთად წამოიწყო საპროტესტო კამპანია აზიაში არასრულწლოვანთა შრომის წინააღმდეგ. კამპანიამ მსოფლიოს უფლება-დამცველთა და კანადის პრემიერ-მინისტრის ყურადღება მიიპყრო და სათავე დაუდო უფლე-ბადამცველი ორგანიზაციის Free The Children-ის დაარსებას, რომელსაც კრეიგი და მისი ძმა მარკი ჩაუდგნენ სათავეში – ლ. ა.).* მოსწავლეებ-მა, რა თქმა უნდა, იცოდნენ კილბურგერის ამბავი, მაგრამ მაინც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი: „ისინი ხომ ცნობილი ხალხია“, „მათ ხომ უამრავი ფული აქვთ“. მე კი ვუთხარი, რომ თავადაც შეეძ-ლოთ, ეკეთებინათ, რაც სურდათ, მაგალითად, შეჭიდებოდნენ პრობლემებს, რომლებიც, მათი აზრით, მოსაგვარებელი იყო მათ სკოლაში, სამე-ზობლოსა თუ ქალაქში. ამისთვის მოსწავლეებს სამი კვირა მივეცი.

ამ ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბავშვებს უამრავი პრობლემა აწუხებდათ: უსახლკაროებისა, იმ ადა-მიანებისა, რომლებსაც საჭმელი აკლდათ, სამეც-ნიერო წრის არარსებობისა და სხვა. რამდენიმე პროექტი მართლაც დამაფიქრებელი აღმოჩნდა.

იქნებ ყველამ ვერ შეძლოს იმის გაკეთება, რაც სურს, მაგრამ ასეთი პროექტები მათ დაეხმა-რებათ, გააცნობიერონ მთავარი – ძალისხმევა ყოველთვის გამოიღებს შედეგს!

ცოტა ხნის წინ მაცნობეს, რომ მასწავლებლის მსოფლიო პრიზის (Global Teacher Prize) ნომინან-ტთა სიაში შემიყვანეს.

ამ კონფერენციაზე გავიაზრე, რამდენად მნიშვნე-ლოვანი პროფესიაა მასწავლებლობა!

შეუძლებელია სიღარიბეზე, ომზე, რასიზმზე ან ტერორიზმზე საუბარი განათლებაზე საუბრის გარეშე. განათლება პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოში არსებულ უამრავ პრობლემას და, ამავე დროს, მათი მოგვარების გასაღებია.

წინათ მეც სკეპტიკურად განვეწყობოდი ხოლმე, როდესაც მესმოდა: „შევცვალოთ ეს!“ ვფიქრობ-დი: „კარგი, გავაკეთებ, რაც შემიძლია“. დღეს კი ამისი მჯერა. რად გვინდა პომპეზური ფრაზები? მე უბრალოდ ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი ვარ, რომლებსაც სჯერათ, რომ „ჩვენ შევცვლით!“

ირმა კახურაშვილი

თამაში – ბავშვის განვითარების ყველაზე ბუნებრივი საშუალება

> მკვლევრები გამოყოფენ თამაშის სხვადასხვა დონეს: მარტივ თამაშებს, როდესაც ბავშვები შეისწავლიან საგნებსა და მათ თვისებებს და რთულსცენარიან თამაშებს, როდესაც თამაშის მონაწილე რამდენიმე როლს ირგებს, ჩვეულებრივი საგნები კი მისთვის თეატრალური რეკვიზიტი ხდება.

ცხოვრების შენება თამაშით

ბავშვისთვის თამაში თითქოს ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობაა. რატომ არის, რომ ზოგიერთ ბავშვს უძნელდება თამაშში ჩართვა? სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორი ილვა ანდერსონი, თამაშისა და ჩვენი ცხოვრების საუკეთესო პერიოდის, ბავშვობის, ფსიქოლოგიის მკვლევარი, პროექტის „ბავშვები, რომლებიც არ თამაშობენ“ ხელმძღვანელია.

თამაშით პატარა ადამიანი სხვებთან ურთიერთობას სწავლობს და სხვადასხვა როლს ირგებს. თამაში ყველა დიდ ძუძუმწოვარს შეუძლია, მაგრამ ადამიანია ერთადერთი არსება, რომელსაც ძალუძს, თავი სხვის ადგილას წარმოიდგინოს. სწორედ ამიტომ ადამიანს, სხვა ძუძუმწოვრებთან შედარებით, ბავშვობა უფრო ხანგრძლივი აქვს – ამ ხნის განმავლობაში მან ძალიან ბევრი უნდა ისწავლოს.

შეგვიძლია, ჩამოვწეროთ უგრძესი სია იმისა, რას აძლევს თამაში ბავშვს. მაგალითად, ამ დროს ის სწავლობს ემოციების გამოხატვასა და გაზიარებას, სხვების მოსმენას და საკუთარი აზრების ფორმულირებას, თანაგრძნობას, დახმარებას და, რაც მთავარია, ფანტაზიორობას და ახლის გამოგონებას. ამ სიას შეგვიძლია ასი პუნქტი შევმატოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს: ბავშვი იმიტომ კი არ თამაშობს, რომ ეს მისთვის სასარგებლოა, – ამ სარგებლობის შესახებ მხოლოდ ჩვენ ვიცით. სახტუნაოთი მოხტუნავე ბავშვი სარგებელზე არ ფიქრობს. არ ფიქრობს, რომ ხტუნვით მოტორიკას ივარჯიშებს. ბავშვები თამაშით ერთობიან – მათთვის ეს მხიარულებაა, ჩვენ კი ამ მხიარულების შეგრძნებაში უნდა დავეხმაროთ.

თამაშის უნარი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც სიარულისა ან საუბრისა

ბავშვი თამაშს რამდენიმე თვის ასაკიდან იწყებს. პირველი, რასაც სწავლობს, „სარკისებრი კომუნიკაციაა“. ყველასთვის უთბილესი შეძახილი: „ვინ არის ჩემი პატარა?“ – ბავშვისთვის ადვილი გასაგებია. ის იცინის, იმეორებს ჩვენს მოძრაობებს – ასე იბადება ურთიერთქმედება, მომავალი სოციალური უნარ-ჩვევები.

ბავშვთან ურთიერთობით – ბავშვთან, რომელსაც ჯერ ჯდომაც კი არ ეხერხება – დედ-მამა მნიშვნელოვან სიგნალებს გზავნის, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ ეს თამაშია: ისინი იცვლიან გამომეტყველებას, ხმას, ულიმიან პატარას, გამოსცემენ მხიარულ ბგერებს. ასეთივე სიგნალებს ვიყენებთ ხუმრობის დროს. „ამ გზით ჩვენ ვაღებთ თამაშის სამყაროს კარს და ვაჩვენებთ შვილებს, რომ ცხოვრება არ არის მხოლოდ კვება და ძილი, – განმარტავს ანდერსონი, – თამაშით გართობის სიამოვნება დაკავშირებულია ცხოვრების სიამოვნებასთან, რომელიც, თავის მხრივ, სიამოვნებით სწავლებასა და ახლის შემეცნებას უკავშირდება“.

მისი თქმით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე დაკვირვებისას ყოველთვის თვალსაჩინოა განსხვავება იმ ბავშვებს შორის, რომელთა საწოლიც კედელთან დგას და რომლებისაც – გასასვლელთან, სადაც ხშირად მიდი-მოდიან თანამშრომლები: ისინი საწოლთან იხრებიან და ბავშვის მიმართ მეტ ყურადღებას გამოხატავენ. ანდერსონი ამბობს, რომ კუთხეში მწოლიარე ბავშვს მომავალში უფრო მოწყვლადი ფსიქიკა ექნება.

თამაშის დროს მსოფლიოს ყველა ბავშვი უსიტყვოდ უგებს ერთმანეთს

იმ სიგნალებისა და სოციალური კოდების გაგების უნარი, რომლებიც თამაშში არსებობს, აუცილებელია, რათა სამომავლოდ ადამიანმა წარმატებით იარსებოს საზოგადოებაში. თამაშის პროცესში ჩასართავად ბავშვმა უნდა აითვისოს შემდეგი წესები:

- **თანამიმდევრობა** – თამაშში არ არსებობს ისეთი მკვეთრი თანამიმდევრობა, როგორსაც რიგში დგომას შევადარებდით. ეს უფრო მოქნილი თანამიმდევრობაა, რომლის დროსაც შესაძლებელია სათამაშოებისა და როლების გაცვლა, მაგრამ თუ ბავშვისთვის ეს ქმედება უცხოა, მას თამაშიც უძნელდება.
- **ურთიერთგაგება** – შეუძლებელია, ვინმეს თამაში დააძალო. ასევე აუცილებელია თამაშის საგანზე შეთანხმება. სათამაშო მოედნებსა და საბავშვო ბაღებში ბავშვების კონფლიქტის საგანი ძირითადად ის არის, რომ ყველას სხვადასხვა თამაში სურს. ერთიანი პოზიციის გამონახვაში მათ მოზრდილები უნდა დაეხმარონ. არ არის აუცილებელი, გადაწყვეტილება უფროსმა მიიღოს. მან უნდა უბიძგოს მშვიდობიანი თამაშისკენ, გამონახოს ყველა ბავშვისთვის საინტერესო გასართობი.
- **ურთიერთპატივისცემა** – თამაშში უნდა არსებობდეს ყველა მონაწილისთვის მისაღები წესები. ასეთებია: ნუ დააზიანებთ, ნუ ავნებთ და ატკენთ ერთმანეთს. თუ ბავშვმა რამე გააფუჭა, თამაში წყდება. საჭიროა უფროსის ჩარევა, თამაშის შეწყვეტა და საზღვრების დადგენა.



ეს წესები თამაშის ერთგვარი სოციალური კოდებია, რომელთა გარეშე ბავშვები ერთმანეთთან ურთიერთობას ვერ ისწავლიან. თუ ასეთი ბავშვი საბავშვო ბაღში მოხვდა, მას დახმარება დასჭირდება, მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ ასეთ ბავშვებს უბრალოდ არ ათამაშებენ. მათ შესახებ ამბობენ: „არა, ის არ თამაშობს, ის ყველაფერს აფუჭებს“ ან „შეეშვით, მას არ ესმის, რომ ეს თამაშია“. ამ შემთხვევაში ბავშვი ვერასოდეს ისწავლის თამაშს.

თამაშის სწავლა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტობრივი ცოდნის მიღება, თუმცა მშობლებს ხშირად ამის არ სჯერათ. მაგალითად, შვედეთში ასე ხდება: თუ ბავშვი ცხოველებს, ვთქვათ, ლეკვებს ეთამაშება, აღმზრდელი ეკითხება: „აქ რამდენი ლეკვია?“ ამით ის თითქოს ბავშვის ცოდნას აკონტროლებს, სინამდვილეში კი ხელს უშლის მას თამაშში და ანელებს თამაშით გამოწვეულ ემოციებს.

ანდერსონი გვიამბობს გოგონა მოლის ისტორიას, რომელიც მშობლებმა ერთი საბავშვო ბაღიდან მეორეში გადაიყვანეს. ერთხელ მოლიმ მამას უთხრა: „ამ საბავშვო ბაღში აღმზრდელები არ მუშაობენ, რადგან მთელი დღე თამაშობენ“. ეს იყო ბაღის საუკეთესო შეფასება.

სიღრმისეული და ზედაპირული თამაშები

ყველა ბავშვს აქვს თამაშისადმი მიდრეკილება, თამაშები კი ბავშვის გარემოსა და კულტურის გათვალისწინებით იცვლება. ამაზეა დამოკიდებული, როგორ ითამაშებს ბავშვი, რამდენად სიღრმისეულ და მრავალფეროვან სიუჟეტს მიმართავს.

„9 წლის ასაკში დიდი გატაცებით ვთამაშობდით მონებს, რომლებიც პლანტაციაში ყვავილებს კრეფდნენ. ახლა 60 წლის ვარ და მახსოვს, როგორ მცხელოდა იმ პლანტაციაში“, – ჰყვება ანდერსონი.

მკვლევრები გამოყოფენ თამაშის სხვადასხვა დონეს: **მარტივ თამაშებს**, როდესაც ბავშვები შეისწავლიან საგნებსა და მათ თვისებებს და **რთულსცენარიან თამაშებს**, როდესაც თამაშის მონაწილე რამდენიმე როლს ირგებს, ჩვეულებრივი საგნები კი მისთვის თეატრალური რეკვიზიტი ხდება.

თამაშით ბავშვები სწავლობენ კვლევას, პრობლემების მოგვარებას, იზრდებიან ადამიანებად, რომლებიც ხედავენ შესაძლებლობებს და ალტერნატივას იქ, სადაც სხვები ყრუ კედელს ეჯახებიან.

> ბავშვები, რომლებიც არ თამაშობენ, შესაძლოა საბავშვო ბაღში აუტსაიდერებად იქცნენ, მერე კი იგივე განმეორდეს სკოლაშიც. მათ მასხარად აიგდებენ, დასცინებენ, რაც ფსიქიკურ დაავადებებს გამოიწვევს. ასეთ ბავშვებს ხშირად უწევთ საძილე საშუალებების მიღება, რადგან ინსომნია აქვთ.

როდესაც ბავშვი ჯერ მხოლოდ იწყებს თამაშს, ის ყველაზე დაბალ დონეზე იმყოფება და თუ მისი თამაშის პროცესს უფროსებმა მხარი არ აუბეს, თამაში შეჩერდება: ხუთი წლის ასაკში ბავშვები ისევე ითამაშებენ, როგორც ერთი წლის ასაკში.

თუ ბავშვი არ თამაშობს, უფროსების ბრალია

შვედური პროექტის „ბავშვები, რომლებიც არ თამაშობენ“ აქტივისტები სამი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ თამაშის არმცოდნე ბავშვების ქცევას და დაასკვნეს, რომ ამაში დამნაშავე უფროსები იყვნენ: მშობლები, მასწავლებლები, აღმზრდელები.

პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი ჯამბაზად მომუშავე ადამიანი იყო. მან ყურადღება მიაქცია პატარა მაყურებლის ქცევას. წარმოდგენის დროს ბავშვებმა ვერაფრით წარმოიდგინეს, რომ ჯამბაზის ხელში ბანანს ტელეფონის ყურმილის ფუნქცია ჰქონდა. ბავშვები ბრაზობდნენ და გაჰყვიროდნენ: „სულელი ხარ? ვერ ხედავ, რომ ეს ბანანია და არა ტელეფონი?!“

ბავშვები, რომლებიც არ თამაშობენ, შესაძლოა საბავშვო ბაღში აუტსაიდერებად იქცნენ, მერე კი იგივე განმეორდეს სკოლაშიც. მათ მასხარად აიგდებენ, დასცინებენ, რაც ფსიქიკურ დაავადებებს გამოიწვევს. ასეთ ბავშვებს ხშირად უწევთ საძილე საშუალებების მიღება, რადგან ინსომნია აქვთ.

ზოგჯერ კი ბავშვები იზრდებიან ისეთ გარემოში, სადაც არ თამაშობენ. არსებობს ამის ათი მიზეზი: უფროსები მხარს არ უჭერენ ბავშვების თამაშს, საბავშვო ბაღებში არასკმარისადაა თამაშისთვის ვარგისი ნივთები, ბავშვები ვერ ახერხებენ სივრცის ორგანიზებას, რათა ავეჯი სათამაშოდ გამოიყენონ, სკოლის განრიგში თამაშს დრო არ ეთმობა, მასწავლებლები არ მიესალმებიან „ხმაურიან თამაშებს“ და სხვ.

ბევრ მშობელს ჰგონია, რომ ბავშვი მის დაუხმარებლადაც კარგად თამაშობს. სინამდვილეში ასე არ არის. ბავშვს სჭირდება უფროსის დახმარება როგორც სწავლაში, ისე თამაშში, რადგან თამაშიც სწავლაა. ამისკენ საუკეთესო ბიძგია, თავად მისცე თამაშის მაგალითი. არ არის აუცილებელი, აუხსნა ბავშვს, როგორ ითამაშოს – საკმარისია, თავად გააკეთო ეს და ბავშვიც გაიმეორებს.

ლელა კოტორაშვილი

სკოლის ბლოგის დანიშნულება

> თუ წიგნის კითხვა და მასთან დაკავშირებული აქტივობები წიგნიერების დონეს ამაღლებს, ბლოგის წარმოება კიდევ ერთი გამჭოლი კომპეტენციის – მედიაწიგნიერების – განვითარებას უწყობს ხელს.

არც ისე დიდი ხანია, რაც ქართულ ენაში ნეოლოგიზმი „ბლოგი“ დამკვიდრდა. რა არის ბლოგი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება სასწავლო პროცესში?

ბლოგი სოციალური ქსელია, რომელსაც მრავალმხრივი დანიშნულება აქვს. თემატურად მრავალფეროვანი არჩევანისა და მულტიმედიური რესურსების თავმოყრის პარალელურად ის თვითგამოხატვის საშუალებაცაა. ერთი თემა შეგვიძლია წარმოვაჩინოთ არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ვიზუალური სურათ-ხატებითაც.

უნდა ითქვას, რომ სოციალური ქსელების გავრცელებამ ბლოგებისადმი ინტერესი საგრძნობლად შეამცირა.

პირველი ქართული ბლოგის მკითხველი დაახლოებით ცხრა წლის წინ გავხდი. „სქოლიოზიანი ემბრიონის“ ავტორი, ნასტასია არაბული, დღეს ჟურნალ „მასწავლებლის“ ავტორია. დიდი ინტერესითა და აღფრთოვანებით ვკითხულობდი ნასტასიას წერილებს. მაშინ ერთი წამითაც არ დამიშვია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მეც შევქმნიდი საკუთარ ბლოგს – ისეთი რთული მეჩვენებოდა ბლოგის წარმოება და ფართო აუდიტორიისთვის წერა.

ქალაქიდან მაღალმთიან სოფელში საცხოვრებლად გადასვლამ სათქმელი დამიგროვა. მაშინ გადავწყვიტე საკუთარი ბლოგის შექმნა. გამოვიყენე ერთ-ერთი სოციალური ქსელი WordPress.com და მინიმალისტური დიზაინით გაფორმებულ სივრცეში დავიწყე წერა მასწავლებლური საქმიანობის, საინტერესო ადამიანების, წიგნების, საგანმანათლებლო საკითხების შესახებ.

ბლოგმა ჩემს ცხოვრებაში მრავალი სასწაული მოახდინა: ჩემამდე მოიყვანა ადამიანები, რომლებსაც, წესით, კარგად უნდა ვიცნობდე, ან მე მიმიყვანა მათთან; სრულიად უცნობმა ადამიანმა ბათუმიდან სკოლის მედიათეკისთვის ფოსტით წიგნები გამოგვიგზავნა. ის კი არა, ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა ჩვენი თავგადასავალი და გერმანიიდან ქართველი გოგონებისგან ამანათი ჩამომივიდა რაჭველი მოსწავლეებისთვის. ერთხელ კი ლიტერატურულ კაფეში მოულოდნელად მთელი ოჯახი გვესტუმრა ჩიკაგოდან. კანში მცხოვრები ანაც ბლოგის საშუალებით გვადევნებდა თვალს და ახლა საზაფხულო სკოლაში ჩვენთან ერთად არის ხოლმე. იმის თქმა მინდა, ურთიერთობების გასაბმელად და თანამოაზრეების აღმოსაჩენად როგორი მნიშვნელოვანია ბლოგი. მოკლედ რომ ჩამოვწეროთ მისი დანიშნულება, ნუსხა დაახლოებით ასეთი იქნება:

- თვითგამოხატვა;
- წერითი უნარების დახვეწა;
- პროფესიული საქმიანობის აღნუსხვა;
- საინტერესო თავგადასავლები;
- ურთიერთობების წამოწყება/განმტკიცება;
- სოციალური პასუხისმგებლობის გამომუშავება.

საკუთარი ბლოგის შემდეგ სკოლის ბლოგის შექმნის საჭიროება აღმოვაჩინე. გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილება მოსწავლეებისთვის გამეზიარებინა. ასე შევქმენით უწერის სკოლის ბლოგი და სახელად „ორიონი“ ვუწოდეთ, რაც, საბას მიხედვით, გაცისკრებას ნიშნავს. მაშინ სულაც არ გვიფიქრია იმაზე, რომ სიტყვა „ორიონი“ იმ მდინარისა და ქალაქის სახელებსაც შეიცავდა, რომლებიც სოფლისთვის ახლობელი და ძვირფასია.

ბლოგისთვის წინასწარ წერდნენ თემებს წაკითხული წიგნებისა თუ ჩატარებული სპექტაკლების შესახებ, შემდეგ ერთად ორი მეხუთე კლასისთვის შევქმენი ბლოგი, რომელსაც ბავშვებმა თვითონ შეურჩიეს სახელი: „საწიგნეთი“.



ერთად ვარედაქტირებდით, ვარჩევდით სათაურს, შესაბამის სურათს და ბლოგზე ვტვირთავდით. სოციალურ ქსელში ვაზიარებდით და საინტერესო უკუკავშირსაც ვიღებდით.

თბილისში დაბრუნების შემდეგაც გავაგრძელე ამ კუთხით მუშაობა და მოსწავლეებთან ერთად ორ ბლოგზე ვმუშაობ. ერთ-ერთ ბლოგზე ბავშვებს ვაძლევ ინფორმაციას ბიბლიოთეკის, ბიბლიოთეკარის, ბიბლიოთეკის ფონდის, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის, ანოტაციის, ანოტაციის ავტორის, ანოტაციის ადრესატის, ანოტაციის ადგილის, ანოტაციის ფორმის, ანოტაციის ენის, ანოტაციის ტექსტის, ანოტაციის ტიპის, ანოტაციის ფორმატის, ანოტაციის ინფორმაციის, ანოტაციის ინფორმაციის ტიპის, ანოტაციის ინფორმაციის ფორმატის, ანოტაციის ინფორმაციის ენის, ანოტაციის ინფორმაციის ტექსტის, ანოტაციის ინფორმაციის ადგილის, ანოტაციის ინფორმაციის ავტორის, ანოტაციის ინფორმაციის ადრესატის, ანოტაციის ინფორმაციის ფორმის, ანოტაციის ინფორმაციის ენის, ანოტაციის ინფორმაციის ტექსტის, ანოტაციის ინფორმაციის ტიპის, ანოტაციის ინფორმაციის ფორმატის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ტიპის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ფორმატის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ენის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ტექსტის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ადგილის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ავტორის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ადრესატის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ფორმის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ენის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ტექსტის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ტიპის, ანოტაციის ინფორმაციის ინფორმაციის ფორმატის, ანოტაციის ინფორმ

თვალით დანახული რომელიმე გაკვეთილი, ლიტერატურული კაფეს ირგვლივ დაგროვილი შთაბეჭდილებები, წაკითხული წიგნი, საშინაო დავალება, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა – ნებისმიერი აქტივობა შეიძლება წერის საბაბად ვაქციოთ.

ორგანიზება

ბლოგს მასწავლებელი მართავს. შეიძლება, უფროსკლასელებს განსაზღვრული პასუხისმგებლობა დავაკისროთ, თუმცა ამ ეტაპამდეც განსაზღვრული გზაა გასავლელი.

პროცესი

პროცესის ნაწილი უკვე აღვწერე, მაგრამ აუცილებლად უნდა გავამახვილო ყურადღება მასწავლებლის როლზე. თავდაპირველად დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ მოსწავლეები ავიყოლიოთ. ბლოგის შექმნამდე ბავშვებს დაწვრილებით გავაცანი მიზნები, გასავლელი ეტაპები და გამუდმებით ვგულშემატკივრობდი, მუდმივად ვახალისებდი.

ჩვენ ვთავაზობთ თემებს პოსტებისთვის, ვეხმარებით გეგმის შედგენისას. შემდეგ დგება საუკეთესო ეტაპი, როცა Word-ში აკრეფილ თხზულებას ერთად ვასწორებთ. ამისთვის 10-15 წუთი საკმარისია. მორიდებით მომაკითხავენ ხოლმე სამასწავლებლოში, მერე ერთად ვებრძვით შეცდომებს და დასწავლილ გრამატიკულ წესებს პრაქტიკულად ვაცოცხლებთ, ვიაზრებთ. მთავარია, ბავშვის სტილი მკვეთრად არ შევცვალოთ. ისინიც ნელ-ნელა სწავლობენ, როგორი უნდა იყოს იმ თხზულების ტონი, რომელსაც ფართო აუდიტორიისთვის წერენ. აუცილებელი პირობაა, სათაური თვითონ მოიფიქრონ. სურათსაც თავად არჩევენ. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობენ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებას. თითქოს ისეთი ხომ არაფერი – რა უნდა სურათის შერჩევას, მაგრამ დამიჯერეთ, ხშირად ესეც კი უჭირთ.

განსაკუთრებით გვიყვარს ბოლო წამები, როცა თემა აწყობილია, სათაური, სურათი – შერჩეული, „გამოქვეყნების“ ნიშნულს აჭერენ თითს და ერთმანეთს ულოცავენ. ძალიან სასიხარულო მომენტია და ჩვენც ვხარობთ. შემდეგ გამოქვეყნებულ წერილს ვაზიარებთ კლასის ჯგუფში, კითხულობენ მშობლები, მასწავლებლები, თანაკლასელები, ჩემი მეგობრები, ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები.

შედეგად

წლის ბოლოს ბლოგზე დაგროვილ წერილებს თავი მოვუყარეთ და წიგნად ავკინძეთ. ლიტერატურულ კაფეში სტუმრად მოსულ მშობლებსა და გულშემატკივრებს დავურიგეთ და ისინიც ფურცელ-ფურცელ ეცნობოდნენ პატარა ადამიანების ნააზრევს. ზაფხულის არდადეგებზე დისტანციურადაც ავტვირთეთ წერილი.

ახალი სასწავლო წლიდან ბლოგისთვის წერას უფრო მეტი გულმოდგინებით შევუდგებით, უფრო მრავალფეროვანს გავხდით და განსაზღვრული დროის შემდეგ წიგნიც უფრო სქელტანიანი გახდება.

სტატიის წერისას მომაფიქრდა ნასტასიას სკოლაში მოწვევა, რათა საკუთარი გამოცდილების შესახებ გვესაუბროს და ტექნიკურ საკითხებშიც დაგვაკვალიანოს.

თუ წიგნის კითხვა და მასთან დაკავშირებული აქტივობები წიგნიერების დონეს ამაღლებს, ბლოგის წარმოება კიდევ ერთი გამჭოლი კომპეტენციის – **მედიაწიგნიერების** განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის დახარისხებას, მოძიებას, გაზიარებას, სოციალურ სივრცეს არა მარტო გართობისთვის, არამედ თვითგანვითარებისა და ცნობიერების ამაღლებისთვისაც იყენებენ; ამასთანავე, სწავლობენ თვითგამოხატვის საინტერესო ფორმას, რაც თვითრწმენას განუმტკიცებთ. მათი ინდივიდუალიზმი კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება, დეტალებზე დაკვირვება კი ცხოვრებას ამრავალფეროვნებს.

ეს ჩვენი ბლოგების მისამართია. გვესტუმრეთ!
https://stgeorgeskid.wordpress.com/
https://schoolwordpresscom832.wordpress.com/

ანი კოპაღიანი

სტრატეგიული თამაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

> მე მგონი, ამ თამაშის ყველაზე ლოგიკური დასასრული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა, რაშიც მეფეებთან ერთად უდიდესი წვლილი სწორედ გრიგოლსა და მის თანამედროვე თუ მემკვიდრე სასულიერო პირებს მიუძღვით.

ერთხელ ბავშვები გაოცდნენ, რომ გაიგეს, თურმე მათი მასწავლებელიც ვთამაშობდი კომპიუტერულ თამაშს. სამასწავლებლოშიც შემომყვნენ და კითხვები დამაყარეს: მაინც რა თამაში იყო? რომელ დონეზე ვიყავი? მათი საყვარელი თამაშების შესახებ თუ ვიცოდი რამე? ახლახან გამოსული დისკი ხომ არ მნებავდა? და ასე შემდეგ. მოკლედ, რამდენიმე წუთში ლამის პოპულარულობის იმ ზღვარს მივაღწიე, რომელსაც სუპერვარსკვლავები ველარ უძლებენ და მავნე ჩვევებს ეძალებიან.

ხუმრობის გარეშე კი, მავნე ჩვევა უკვე მქონდა - კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში მე მე კი არა, წამოსასხამიანი კაცუნა ვიყავი, აქეთ-იქით დავრბოდი, მადნეულს და სასარგებლო წიაღისეულს მოვიპოვებდი, დაუსახლებელ ადგილებზე ჯერ ქოხებს, მერე აგურის სახლებს, ბოლოს კი სასახლეებს ვაგებდი, ცივილიზაციებს ვქმნიდი, არმიას ვაყალიბებდი, ომებს ვიგებდი და მგონი, კოსმოსშიც გავფრინდი... თუ არა? ამ უკანასკნელზე თავს ვერ დავდებ.

თავს ვინუგეშებ, რომ ამ თამაშში გატარებულ საათებს მთლად ამაოდაც არ ჩაუვლია, რაღაც დამიტოვა, ვთქვათ, მენეჯმენტის უმნიშვნელოდ გაუმჯობესებული უნარი. ის პერიოდი დიდი ხნის წინ ჩაბარდა წარსულს და ჩვეულებრივ არც კი მახსენდება. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, როდესაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ვკითხულობ, ბუნდოვნად ვგრძნობ, რომ ეს ნაწარმოები ასოციაციურად უკავშირდება რაღაც ისეთს, რისგანაც დრო, მანძილი, გარემო, მსოფლმხედველობა და მოკლედ, ყველა პარამეტრი აშორებს. უკავშირდება თამაშს, რომელშიც ჩემი ავატარი მიწის თხრას ქვის ბლაგვი იარაღებით იწყებდა და ბოლოს, მგონი, მეათასე ცდაზე, აწყობილ სისტემას ქმნიდა. და კიდევ ერთხელ მეღიმება იმაზე, თუ როგორ ჰგავს ერთმანეთს ამ სამყაროში ის მოვლენები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო და როგორი დაკვირვება და გამბედაობაც გვმართებს მასწავლებლებს, რომ მოსწავლეებს ეს მსგავსება გავუზიაროთ.

არადა, ხომ მართლაც იდეალური დასაწყისია კომპიუტერული თამაშისთვის: ოთხი ახალგაზრდა კაცი, რომელთაც სულს იქით არაფერი აბადიათ, დაუსახლებელ მიწაზე მონასტრის მშენებლობას იწყებს, გადალახავს ათას დაბრკოლებას („რამეთუ კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლეს არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთის უდაბნოთა“) პოულობს გამოსავალს ურთულესი სიტუაციიდან („რამეთუ არა აქვნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხვა ეგევითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა“) და საბოლოო ჯამში, პირველ, ჯერჯერობით ყველაზე არასრულყოფილ შედეგსაც იღებს: „პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაი და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირეი და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“.

მაშ ასე, ხის ეკლესია, სენაკები და საოსტიგნე მზადაა, პირველი „დონე“ დახურულია. გადავდივართ შემდეგ ეტაპზე.

შემდეგ ეტაპზე თამაშში ახალი პერსონაჟი ჩნდება – „ხორციელი კეთილით“ მდიდარი კაცი, რომე-

ლიც არც სულიერი ფასეულობების ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ იგი შიმშილით შეიწროვებული საძმოს მეთაურ ჩვენს გმირს მატერიალურად ეხმარება, ტოლი და სწორივით ექცევა მას, რასაც გრიგოლ ხანძთელის მაღალ წარმომავლობასა და არაჩვეულებრივ განათლებასთან ერთად მისი უკვე დამკვიდრებული სახელი იწვევს. გრიგოლი ხომ არასოდეს მიდის კომპრომისზე: მხოლოდ საუკეთესოებს იღებს თავისი საძმოს რიგებში და მათ უაღრესად ასკეტური ცხოვრების მაგალითს აძლევს. მაშასადამე, იგი ქმნის სწორ სტრატეგიას მომავალი განვითარებისათვის და ჩნდება კიდეც ადამიანი, გაბრიელ დაფანჩული, რომელიც ამჩნევს ამ ყველაფერს და სათანადოდაც აფასებს.

შედეგად: ქვიტკირის ეკლესია, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და გუნათლის ვანი – ჭეშმარიტმა მოთამაშეებმა კი კარგად იციან კიდევ ერთი შენობის ფასი, თუნდაც ის შემდეგ ნარატივში აღარსად იყოს ნახსენები. მეორე „დონე“ დახურულია, გადავდივართ მესამე ეტაპზე.

მესამე ეტაპზე ჩვენს თამაშში დიდებული პერსონაჟი შემოდის. მისი გმირის შესაქმნელად მართლაც ნიჭიერი გრაფიკოსი დაგვჭირდება, რადგან იგი ჭეშმარიტად დიდი საქმეებისა და დიდი ვნებების ადამიანია. არ აღგიწერთ, როგორი წარმომიდგენია აშოტ კურაპალატის ახოვნება და ფაფარივით მხრებზე დაცემული თმა, მისი ზორბა ბედაური და ძოწისფერი წამოსასხამი. პირდაპირ გეტყვით, რომ იგი შემდეგ მეკავშირედ ევლინება ჩვენს გმირს და მატერიალურ კეთილთან ერთად გავლენასაც ანიჭებს მას, რაც ალბათ, ჩვენი ეკრანის კუთხეში არა მხოლოდ მონეტების, არამედ ძალაუფლების აღმნიშვნელი სიმბოლოს რაოდენობის მატებით გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ეს გმირი მარტო არ შემოდის თამაშში მას მოჰყვებიან სამი ვაჟისა და „სიძვის დიაცის“ პერსონაჟები და ცოლის სევდიანი აჩრდილი. იმასაც გეტყვით, რომ მოკავშირეები ხშირად იქცევიან ხოლმე მოწინააღმდეგეებად და გრიგოლ ხანძთელს ერთ-ერთ ქუესტში თამაშის ყველაზე აღმატებული პრინციპების დასაცავად აშოტ კურაპალატის დამარცხებაც მოუწევს. გაფრთხილებთ, ეს ქუესტი განსაკუთრებით ფაქიზ სტრატეგიულ აზროვნებასა და დედა ფებრონიას მსგავსი გამოცდილი, რკინის ნებისყოფის მქონე მეკავშირის მხარდაჭერას მოითხოვს. ძლიერი თანაგანცდის მქონე მოთამაშეებს მისი დაძლევა გაუჭირდებათ.

შედეგი: ხანძთის განახლებული და ყოველი სიკეთით აღჭურვილი ეკლესია. სახნავ-სათესად მიღებული შატბერდის მიწები, საყოველთაო პატივისცემა და დაფასება.

მესამე „დონე“ დაძლეულია. წარმატებით გადავდივართ მეოთხე ეტაპზე. ჩვენს მთავარ გმირს უკვე შეუძლია თავისი უნაკლო ბერძნულით მოილოცოს კონსტანტინეპოლის წმინდა ადგილები და ტიპიკონის შედგენაზეც იფიქროს...

მეოთხე დონე უკვე გადამწყვეტია. წინა ეტაპზე შემოსული მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ბაგრატი ძალ-ღონეს იკრებს, ტახტს იბარებს და კურაპალატობასაც იღებს. ჩვენი მთავარი გმირი მას ულოცავს, შატბერდის მამულში ახალი მეფის სახელზე ტაძარს აშენებს, ბაგრატიონების ღვთიურ წარმოშობაზე გავრცელებულ მითსაც იმეორებს და ამით მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მას, მაგრამ... არ ემორჩილება მეფეს და ამ დაუმორჩილებლობის იდეას (რომელიც ადრე აფხაზეთის მმართველ დემეტრესთანაც გააჟღერა) არა თავისი, არამედ საბა იშხნელის პირით ახმოვანებს. წარმოუდგენლად ძნელი ქუესტია ძლევამოსილ მეფეს გამოუცხადო, რომ არავის ძალუძს ორი ბატონის მონება და იქვე იშხნის ეკლესია განაახლებინო, მაგრამ ჭეშმარიტი სტრატეგოსისათვის აუღებელი ციხე-სიმაგრე არ არსებობს. სახელმწიფო და საეკლესიო მმართველობათა საბოლოო გამიჯვნის საკითხი ჯავახეთის კრებაზე გვირგვინდება და აქვე პირობითი გვირგვინით იმოსება ჩვენი მთავარი პერსონაჟის ბერის კუნკულით შემკობილი თავი. ხოლო მის ჭეშმარიტ ძალაუფლებასთან შედარებით სიტყვა „არქიმანდრიტი“ არაფრისმთქმელიც კია.

მაგრამ რით შეიძლება დაგვირვგინდეს ჩვენი თამაში: მირონის კურთხევის მოპოვებითა თუ ოდესღაც უკაცრიელ ტერიტორიაზე „საღმრთო შურით“ მომრავლებულ ტაძრებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულებით? მე მგონი, ამ თამაშის ყველაზე ლოგიკური დასასრული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა, რაშიც მეფეებთან ერთად უდიდესი წვლილი სწორედ გრიგოლსა და მის თანამედროვე თუ მემკვიდრე სასულიერო პირებს მიუძღვით.

კომპიუტერული თამაშის იდეა რომ გვერდზე გადავდოთ... თუმცა რატომ უნდა გადავდოთ გვერდზე? ყველა მეთოდი, რომელიც კი გვეხმარება, რომ საუკუნეების წინანდელი ნაწარმოები გავათანამედროვოთ (უფრო კი, მკითხველს მისი თანამედროვეობა დავანახვოთ), ღირებული და პერსპექტიულია.

კომპიუტერული თამაშის იდეა რომ გვერდზე გადავდოთ... თუმცა რატომ უნდა გადავდოთ გვერდზე? ყველა მეთოდი, რომელიც კი გვეხმარება, რომ საუკუნეების წინანდელი ნაწარმოები გავათანამედროვოთ (უფრო კი, მკითხველს მისი თანამედროვეობა დავანახვოთ), ღირებული და პერსპექტიულია. გრიგოლ ხანძთელი კი სწორედ თანამედროვე ტიპაჟია: ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიზნების დასახვა და მიღწევის გზების პოვნა; ადამიანი, რომელსაც შეუძლია წარმატების გზაზე მიმავალი ყველა ნაბიჯის გათვლა და დაგეგმვა; ადამიანი, რომელიც ნულიდან იწყებს და მაინც არასოდეს ღალატობს პრინციპებს. გრიგოლ ხანძთელი ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი პერსონაჟია – გმირი, რომლის მიერ საფუძველჩაყრილმა იდეოლოგიამ არაბების ნამუსრევზე ერთიანი ქართული სახელმწიფო ამოზარდა. მისი, როგორც ქვეყნის იდეოლოგისა და შესანიშნავი სტრატეგის აღქმა მოსწავლეებს დაეხმარება ქართველი ერის ცხოვრებაში სულხან-საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის როლის შეფასებაშიც.

და კიდევ ერთ რამესაც დაანახვებს მათ ცხადად: გონივრულად წარმართული ცხოვრება ყველაზე საინტერესო სტრატეგიული თამაშია.

მანანა სეხნიაშვილი

რამდენიმე აქტივობა რეფლექსიისთვის

> მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის სტრუქტურის სავალდებულო ეტაპია რეფლექსია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა აქტიურობაზე გაკვეთილის ბოლოს. ამ შემთხვევაში პედაგოგი ორგანიზატორის როლს ასრულებს და მთავარი გმირები მოსწავლეები არიან.

რეფლექსიის მნიშვნელობა ხშირად არასათანადოდაა შეფასებული. პრაქტიკაში ხშირად გაკვეთილზე ის ბანალური „სიცილაკების", სხვადასხვა ფერის ფოთლებისა და სხვა სურათების სახითაა წარმოდგენილი. ზოგჯერ მასწავლებელი უბრალოდ შემოიფარგლება კითხვით: „მოგეწონათ გაკვეთილი?" მოსწავლეები პასუხობენ – „დიახ!" – და ყველა კმაყოფილია.

რეფლექსია მასწავლებელს ეხმარება კლასის კონტროლში: რა გაიგეს მოსწავლეებმა და რა დარჩა გადასახედი, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. რეფლექსია მოსწავლეს ხელს უწყობს არა მარტო განვლილი გზის გაცნობიერებაში, არამედ ლოგიკური ჯაჭვის დადგენაში, გამოცდილების სისტემატიზაციაში, საკუთარი წარმატებების (პროგრესის) შედარებაში.

მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის სტრუქტურის სავალდებულო ეტაპია რეფლექსია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა აქტიურობაზე გაკვეთილის ბოლოს. ამ შემთხვევაში პედაგოგი ორგანიზატორის როლს ასრულებს და მთავარი გმირები მოსწავლეები არიან.

რა არის რეფლექსია? იგი ლექსიკონში შედეგნაირად არის განმარტებული: ის, ვინც ასრულებს რეფლექსიის აქტს, რაღაცას უბრუნდება, ესე იგი, უბრუნდება უკვე გარკვეული სახით აღქმულ ფენომენს, იმისთვის, რომ მოახდინოს მასზე ყურადღების კონცენტრაცია და, შესაბამისად, აქციოს ის რეფლექსიის ობიექტად. ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება. გაკვეთილთან მიმართებაში რეფლექსია ასახავს ეტაპს, სადაც მოსწავლეები დამოუკიდებლად აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, ემოციებსა და მათი საქმიანობის შედეგებს.

- რა საჭიროა რეფლექსია?
- მოსწავლეს ესმის: რატომ სწავლობს ამ თემას და როგორ გამოიყენებს მას მომავალში;
- რა მიზნებს უნდა მიაღწიოს ზუსტად ამ გაკვეთილზე;
- რა წვლილის შეტანა შეუძლია მას საერთო საქმეში;
- შეუძლია თუ არა ადეკვატურად შეაფასოს თავისი და თავისი თანაკლასელების მუშაობა.

როდესაც მოსწავლე იგებს და აცნობიერებს იმ მოქმედების ან ქმედების მნიშვნელობას, რომელსაც ის ასრულებს, სწავლის პროცესი ბევრად უფრო საინტერესო და ადვილი ხდება მოსწავლეებისთვისაც და მასწავლებლისათვისაც. დაკვირვებული ვარ, როცა მოსწავლეებს წინასწარ ვუხსნი, რატომ უნდა შეასრულონ ყველაზე რუტინული სამუშაო, რა არის ამ აქტივობის მიზანი – ყველა ასრულებს.

რეფლექსიის რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს:

1. **შინაარსის მიხედვით: სიმბოლური, ზეპირი და წერილობითი.**

სიმბოლური – როდესაც მოსწავლე უბრალოდ აფასებს სიმბოლოებით (ბარათები, სიმბოლოები, ჟესტები და სხვ.). ზეპირი ითვალისწინებს ბავშვის შესაძლებლობას, გამოხატოს თავისი აზრები თანმიმდევრულად და აღწეროს თავისი ემოციები. წერა ყველაზე რთულია და ყველაზე მეტ დროს მოითხოვს. ეს უკანასკნელი

„რა არის რეფლექსია? იგი ლექსიკონში შედეგნაირად არის განმარტებული: ის, ვინც ასრულებს რეფლექსიის აქტს, რაღაცას უბრუნდება, ესე იგი, უბრუნდება უკვე გარკვეული სახით აღქმულ ფენომენს, იმისთვის, რომ მოახდინოს მასზე ყურადღების კონცენტრაცია და, შესაბამისად, აქციოს ის რეფლექსიის ობიექტად.

მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის ან დიდი თემის დასრულების ეტაპზე;

II. საქმიანობის ფორმა: კოლექტიური, ჯგუფური, ფრონტალური, ინდივიდუალური.

ამ მიმდევრობით უფრო მოსახერხებელია ამ ტიპის სამუშაოს მოსწავლეთა სწავლება. პირველ რიგში, მთელ კლასში, შემდეგ – ცალკეულ ჯგუფებში, შემდეგ კი – შერჩევით გამოკითხვა (ფრონტალური). ეს მოსწავლეებს მოამზადებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის;

III. მიზნობრივი:

ემოციური: იგი აფასებს განწყობას, საგანმანათლებლო მასალის ემოციურ აღქმას. ამ რეფლექსიის კატეგორიებია: „მომეწონა / არ მომეწონა“, „საინტერესო / მოსაწყენი“, „ეს იყო მხიარული / სევდიანი“.

ამ ტიპის რეფლექსია ეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს კლასის საერთო განწყობა. რაც მეტი პოზიტივია, უკეთესად ესმით თემა და პირიქით, თუ ნეგატივზეა აქცენტი, ნიშნავს, რომ გაკვეთილი ჩანდა მოსაწყენი, რთული. იყო სირთულეები თემის აღქმაშიც. დამეთანხმეთ, რომ მოსაწყენი და სამწუხაროა, როდესაც ჩვენ არ გვესმის რაღაც.

ამ კლასიფიკაციის გაცნობა, უფრო მოსახერხებელია მასწავლებლისთვის, რათა მოახდინოს მეთოდების ლავირება და დაკავშირება, მათ შორის გაკვეთილის გეგმაში გამოხატვა.

როგორ და როდის უნდა ჩატარდეს რეფლექსია?

რეფლექსია შეიძლება განხორციელდეს გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე, აგრეთვე თემისა და მასალის შეჯამებისას.

განწყობისა და ემოციების გამოხატვა ადვილია პირველი კლასის მოსწავლეებთან ერთადაც კი. არსებობს უამრავი ვარიანტი: სიცილაკების გადაცემა ან სურათები, ცერების აწევა, ფერადი ბარათები და ა.შ. გაცილებით მოსახერხებელია გაკვეთილის შემდეგი ეტაპის დასასრულს: ახალი თემის ახსნის შემდეგ, თემის განმტკიცების შემდეგ და ა.შ.

გაკვეთილის დასაწყისში ემოციური რეფლექსია ხორციელდება კლასთან კონტაქტის დამყარების მიზნით. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მუსიკა (მოტივი, რომელიც შეესაბამება თემას). ციტირებით წაიკითხეთ ემოციური პოემა. ამის შემდეგ თქვენ აუცილებლად უნდა ჰკითხოთ 3-4 მოსწავლეს: „რას გრძნობთ ახლა? რა განწყობა გაქვთ? და ა.შ. პირველ რიგში, მოსწავლეები (თუნდაც ყველაზე პატარა) შეეგუებიან თავიანთ მდგომარეობას, ემოციებს და მეორე მხრივ კი ეს გამოხატულება დაეხმარება მოსწავლეებს თემის აღქმაში.

საქმიანობის რეფლექსია – ამ ტიპის რეფლექსიის გამოყენება უფრო მოსახერხებელია საშინაო დავალებების დროს, თემის განმტკიცების ეტაპზე, პროექტების დაცვისას. იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ საკუთარი საქმიანობა, გააანალიზონ საკუთარი აქტიურობა და როლი და, რა თქმა უნდა, ეხმარება ხარვეზების გამოვლენაში.

როგორ უნდა ჩატარდეს სამუშაო(სამუშაო ორგანიზაციის მაგალითები):

წარმატების ხე – ყველა ფოთოლს აქვს სხვადასხვა ფერი: მწვანე – ყველაფერი სწორად გავაკეთე, ყვითელი – სირთულეები შემექმნა, წითელი – ბევრი შეცდომა დავუშვი. თითოეული მოსწავლე ხეს შესაბამისი ფოთლით რთავს.

იდეების კაღათა – მოსწავლეები გაკვეთილის შესახებ თავიანთ მოსაზრებებს ბარა-

თებზე წერენ და კალათაში (ყუთში, ჩანთაში) ყრიან. შემდეგ მასწავლებელი იღებს პასუხებს და ერთად განიხილავენ. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ანონიმურად გამოთქვამენ.

ფიქრები ჯიროში – ხელს უწყობს თქვენი გამოცდილების გააზრების უნარის განვითარებას და ცხოვრებისეული გამოცდილების პირად შეფასებას. მასწავლებელი ასახელებს საკვანძო სიტყვას (ერთს, ორს ან სამს). როგორც წესი, ის მჭიდროდაა დაკავშირებული გაკვეთილის თემასთან. ერთი წუთის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ ამ სიტყვებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომლებიც ახსოვთ. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ საკუთარ ნაწერს და პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

- რატომ დავწერე ეს კონკრეტული სიტყვები?
- რას ვფიქრობდი, როცა დავწერე ეს სიტყვები?
- რას შევცვლიდი ჩანაწერებში?
- აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩემს ჩანაწერს?

ერთი სიტყვით – მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას: დაასრულეთ წინადადება ერთი სიტყვით.

„დღევანდელი გაკვეთილი...“, „დღეს კლასში მე...“.

კუნძულები – პედაგოგი ქმნის პლაკატს, რომელზეც აღნიშნულია კუნძულები: სადაზვერვო კუნძული, სიამოვნების კუნძული, განგაშის კუნძული, განმანათლებლის კუნძული, შთაგონების კუნძული, კუნძული გაურკვევლობა, სიხარულის კუნძული. მოსწავლეებმა უნდა შექმნან კითხვები ან განსაზღვრონ თავიანთი ადგილი (მდგომარეობა) გაკვეთილზე, დაწერონ სტიკერებზე და გაკვეთილის დასასრულ პლაკატზე შესაბამის კუნძულს მიაკრან.

ფოსტა – გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ მოკლე წერილი-შენიშვნები გაკვეთილზე, მათ შორის შემოთავაზებულ წინადადებებზე. „ფოსტალიონი“ წერილებს მისამართზე მიიტანს.

რეფლექსიური ცოდნა – მოსწავლეები ასრულებენ ოთხ წინადადებას:

„– მე ვიცი, რომ...“ (ინფორმაცია ჩემი ცოდნისა და არცოდნის შესახებ);

„– მე ვიცი, როგორ...“ (ინფორმაცია ცოდნისა, რომელიც დაკავშირებულია ცოდნის შეძენის, განვითარებისა და ტრანსფორმაციის მეთოდებთან);

„– მე ვიცი, რატომ...“ (ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების მნიშვნელობის გაგება);

„– ვიცი...“ (ცოდნისა და შესაბამისი ინფორმაციის შესახებ დამოკიდებულების განსაზღვრა).

ექსპერტთა კომისია – გაკვეთილის დასაწყისში შეირჩევიან ექსპერტები (კრიტერიუმებისა და წესების შემუშავება ხდება მოსწავლეებთან ერთად). მთელი გაკვეთილის განმავლობაში ისინი აკვირდებიან მოსწავლეთა საქმიანობას. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ორმხრივი ჩანაწერების ჟურნალი, შეფასების სქემები. გაკვეთილის დასასრულ ექსპერტები აანალიზებენ დაკვირვების შედეგებს, მიუთითებენ წარმატებებსა და შეცდომებზე და იძლევიან რეკომენდაციებს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები პერიოდულად იცვლებიან.

რა მოხდება, თუ?.. – მეთოდი გულისხმობს კითხვების დასმას რეფლექსიის ეტაპზე, რომელიც იწყება სიტყვებით: “რა მოხდება, თუ?”. ეს კითხვები ერთი მხრივ მოსწავლეებს პრობლემის ახლებურად გადახედვის საშუალებას მისცემს; მეორე მხრივ კი, ისინი წარმოადგენენ თავიანთ ვარაუდებს, საკუთარ ჰიპოთეზებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

სამიზნე – აქ შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად: ერთ მეოთხედში ჩავწეროთ „აქტიურად ვიყავი ჩართული“; მეორეში – „საინტერესო იყო“; მესამეში – „გასაგები იყო“; და მეოთხეში – „ახალი გავიგე“. მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს ყველა მეოთხედში აკეთებენ აღნიშვნებს. შეფასების დონეების განსაზღვრაც ერთობლივად შეიძლება გადაწყდეს, მე პირადად 5-ბალიან შეფასებას მეტად ვიყენებ.

ნინო ჭიაბრიშვილი

დისკუსია წინასწარგანსაზღვრულ საკითხზე

> დააკვირდნენ დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას, სოციალურ ქცევებს, მონაწილეთა პოზიციების დამაჯერებლობას და ა.შ. დისკუსიის მიზანია საუბრის ხელოვნების განვითარება. ამ მიზანს შეესაბამება დახურული შიდა წრე.

„თევზის აკვარიუმის“ (Fishbowl), ან უბრალოდ „აკვარიუმის“ მეთოდი გამოიყენება ჯგუფური დისკუსიის დროს. მისი ზოგადი აღწერა ასეთია:

კლასი იყოფა ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს დამკვირვებლის ფუნქცია აქვს, მეორეს – მოქმედი ჯგუფისა. ჯგუფების წევრთა რაოდენობა არათანაბარია. მცირერიცხოვანი ჯგუფი (6-8 მოსწავლე) განლაგდება წრიულად საკლასო ოთახის შუაგულში. თანაკლასელები მათ გარშემო წრიულად სხდებიან. დისკუსია წრეში მიმდინარეობს . შიდა წრე შეიძლება იყოს დახურული ან ღია. ღია წრე გულისხმობს იმას, რომ დამკვირვებელ მოსწავლეებს შეუძლიათ დისკუსიაში ჩართვა, რისთვისაც შიდა წრეში თავისუფალი სკამია გამოყოფილი. მსურველი ჯდება ამ სკამზე, გამოთქვამს თავის მოსაზრებას და გარე წრეში კვლავ თავის ადგილს, ანუ დამკვირვებლის პოზიციას უბრუნდება.

გარე წრეს შეიძლება სხვადასხვა დავალება ჰქონდეს:

ა) თვალყური ადევნონ დისკუსიას, იფიქრონ თავიანთ არგუმენტებზე, რათა ის მოგვიანებით გააცნონ მთელ კლასს. ამ შემთხვევაში ორიენტაცია აღებულია დისკუსიის შინაარსზე. ასეთ შემთხვევაში მოსახერხებელია ღია ტიპის შიდა წრე.

ბ) დააკვირდნენ დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას, სოციალურ ქცევებს, მონაწილეთა პოზიციების დამაჯერებლობას და ა.შ. დისკუსიის მიზანია საუბრის ხელოვნების განვითარება. ამ მიზანს შეესაბამება დახურული შიდა წრე.

გარე წრისათვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით განისაზღვრება დისკუსიის შემდეგ საერთო საკლასო განხილვის შინაარსი. პირველ შემთხვევაში (ა) დისკუსია გრძელდება, მეორეში (ბ) – ხდება დისკუსიის მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება.

სასურველია მორცხვი და გაუბედავი მოსწავლეების ჩაბმა, თავდაპირველად დამკვირვებლის როლში. ისინი თანდათან, შეუმჩნევლად შეძლებენ თავიანთი წვლილის შეტანას დისკუსიაში. გარდა ამისა, შიდა წრის წევრების ქცევა გაუბედავი მოსწავლეებისათვის ერთგვარი სტიმული იქნება.

გარე მონაწილეები ერთ რომელიმე მხარეს ემხრობიან და როცა ორთაბრძოლაში ჩართვის სურვილი უჩნდებათ, ორთაბრძოლის მონაწილეს მხარზე ადებენ ხელს. ისინი ადგილებს ცვლიან.

აკვარიუმის მეთოდით ჩატარებული გაკვეთილისთვის:

- უკეთესია დიდი ჯგუფი. ის გონებრივი იერიშის ერთ-ერთი სახეობაა;
- მიზანშეწონილია დისკუსიის საკვანძო საკითხების მონიშვნა, რადგან შესაძლოა, გაგვიტაცოს ფართო და საინტერესო, მაგრამ არადოკუმენტირებულმა დისკუსიამ;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღებით მოსმენა;
- შესაძლებელია გარე მონაწილეები ფეხზე იდგნენ, რათა თავიდან ავიცილოთ მათი პასიურობა.

მეთოდის თავისებურებები:

- ეს არის ტრადიციული დებატების ალტერნატივა;
- ცვლის მრგვალ მაგიდასთან დისკუსიას;
- წაახალისებს დინამიკურ მონაწილეობას;
- სასარგებლოა წინააღმდეგობრივ თემებზე მუშაობისას;
- თავიდან გვაცილებს ხანგრძლივ პრეზენტაციებს.

რჩევები მეთოდის გამოყენებისთვის:

1. განსაზღვრეთ მეთოდის მიზანშეწონილობა თემასთან/საკითხთან მიმართებით;
2. წინასწარ შეუთანხმეთ მონაწილეებს „აკვარიუმის“ მეთოდის დრო, აუხსენით პროცედურა და მათი როლი;
3. წინასწარ განსაზღვრეთ საჭირო სივრცე;
4. შიდა წრეში დაგჭირდებათ რამდენიმე სკამი (შესაძლოა ეს სკამები შემაღლებულ ადგილზეც იყოს, რომ ყველა ხედავდეს);
5. შიდა წრის გარშემო დაალაგეთ სკამები ან მაგიდები მრგვალად;
6. დატოვეთ შიდა წრესთან მისასვლელი გზები;
7. საჭიროების შემთხვევაში მოიმარაგეთ მიკროფონები;
8. საკვანძო იდეების დასაწერად სასარგებლოა ფლიფჩარტის ან დაფის გამოყენება;
9. დასაწყებად შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს ვთხოვთ, აუხსნან ჯგუფს პროცედურის შესახებ. შემდეგ დავსვათ პროვოკაციული შეკითხვა და ვთხოვოთ მოსაზრების გამოთქმა;
10. მივცეთ 5-10 წუთი შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს და კიდევ 10 წუთი დამაზუსტებელი კითხვებისათვის;
11. მივცეთ ძირითად ჯგუფს განსაზღვრული დრო, რომლის შემდეგ დამკვირვებლებს შეუძლიათ კითხვების დასმა და კომენტარების შეთავაზება დისკუსიის კონკრეტულ ნაწილზე;
12. სთხოვეთ დამკვირვებლებს დისკუსიაში მონაწილეობა – მათ ადგილი უნდა გაუცვალონ ძირითადი ჯგუფის რომელიმე წევრს, ისე, რომ ცვლილებები მუდმივი იყოს და მონაწილეობა ყველამ მიიღოს;
13. განსაზღვრული დროის შემდეგ (მაგ., 5 წუთი), ჯგუფის წევრებს ისე შეუცვალეთ ადგილები, რომ დამკვირვებლები ძირითად ჯგუფში გადავიდნენ, ხოლო ძირითადი ჯგუფის წევრები დამკვირვებლების როლში მოხვდნენ.

> სასურველია მორცხვი და გაუბედავი მოსწავლეების ჩაბმა, თავდაპირველად დამკვირვებლის როლში. ისინი თანდათან, შეუმჩნევლად შეძლებენ თავიანთი წვლილის შეტანას დისკუსიაში. გარდა ამისა, შიდა წრის წევრების ქცევა გაუბედავი მოსწავლეებისათვის ერთგვარი სტიმული იქნება.

აქვე გთავაზობთ დილემის ნიმუშს:

დილემის მიზნები:

1. საზოგადოებისთვის უცნობ ქალთა ისტორიების მოძიება, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერების განვითარებაში;
2. დამახინჯებული ფაქტების გასწორება და გენდერული სამართლიანობის დამყარება;
3. მდედრობითი სქესის მოსწავლეების წახალისება ქალ მეცნიერთა გაცნობით.

რაჰელი ახალგაზრდა მასწავლებელია. მას ისტორიაში ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი აქვს. ერთ დღეს მან თავის მოსწავლეებს უთხრა, რომ სურს, ასწავლოს ახალი ისტორია, რომელიც განსხვავებული იქნება ისტორიის ტრადიციული სახელმძღვანელოებისაგან. მისი აზრით, მრავალი წლის განმავლობაში ისტორია მამაკაცი ისტორიკოსების მიერ იწერებოდა და სრულიად უგულებელყოფილი იყო ქალების წვლილი სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, მათ შორის, მეცნიერებაში. მისი მოსწავლეები მე-10 კლასელები არიან. კლასში თანაბრად არიან გოგონებიც და ბიჭებიც. ზოგიერთმა მოსწავლემ (ძირითადად ბიჭებმა) უკმაყოფილება გამოთქვა მასწავლებლის გადაწყვეტილების გამო და აღნიშნა, რომ ის, რაც ისტორიის სახელმძღვანელოებში წერია, მნიშვნელოვანი ფაქტებია, რომელთა ცოდნა და სწავლა მათთვის აუცილებელია. რაჰელმა გააცნობიერა, რომ მის გადაწყვეტილებას შესაძლოა უარყოფითი რეაქციები მოჰყოლოდა მშობლებისა და სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდანაც. ის საკუთარ თავს ეკითხება – ბოლომდე მიიყვანოს გადაწყვეტილება, თუ დანებდეს.

დილემის კითხვა: უნდა მიიყვანოს თუ არა ბოლომდე რაჰელმა საკუთარი გადაწყვეტილება?

შესაძლებელია გაიმართოს სკოლის საბჭოს სხდომა, სადაც მოსწავლეები შეასრულებენ შემდეგ როლებს:

- რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
- ისტორიის მასწავლებელი (რაჰელი);
- მშობლების წარმომადგენელი;
- მოსწავლეების წარმომადგენელი.

წყარო:

http://www.kstoolkit.org/home